# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

16 მაისი ორშაბათი 2011

№112 (13409) ფასი 80 თეთრი



ინტერნეტ-ტოტალიზატორი

www.liderbeti.com

LIDERBETI

ლიდერი ინტერნეტ სივრცეში

ეროვნული ბიბლიოთეკა


# მივულოცოთ ზესტაფონს კლუბსაც და ქალაქსაც! გაიხარეთ, ალალია!





ზესტაფონში ჩემპიონობა მოედანზეც იზეიმეს და ქალაქშიც

2-4

## სპორტის დედოფალს ფანებიც მოეფერებიან

12



მძლეოსნობის ფანკლუბის პრეზენტაციაზე. მარცხნიდან: მათე ტაკიძე, ზაალ უდუმაშვილი, ინგა გრიგოლია, თიკო სადუნიშვილი, ნანიკო ხაზარაძე



## მანჩესტერი მეცხრამეტე ცაზე, პორტუს ისტორიული სეზონი და ლილის ნაბიჯი დუბლისკენ

ევროპის ჩემპიონატების მიმოხილვა

5-10

## 30 აიაქსის საიუბილეო ჩემპიონობა

დღევანდელი ლელო 20-გვერდიანია

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ. | ბურთები გაშ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 34 | 23 | 6 | 5 | 67 | 18 | 75 |
| 2 | დინამო | 34 | 20 | 9 | 5 | 52 | 20 | 69 |
| 3 | ოლიმპი | 34 | 18 | 6 | 10 | 46 | 30 | 60 |
| 4 | ტორპედო | 34 | 12 | 13 | 9 | 28 | 21 | 49 |
| 5 | ვიტ ჯორჯია | 34 | 14 | 6 | 14 | 35 | 35 | 48 |
| 6 | ბაია | 34 | 12 | 5 | 17 | 31 | 48 | 41 |
| 7 | სიონი | 34 | 9 | 9 | 16 | 25 | 43 | 36 |
| 8 | კოლხეთი | 34 | 9 | 9 | 16 | 23 | 46 | 36 |
| 9 | სპარტაკი | 34 | 7 | 10 | 17 | 32 | 41 | 31 |
| 10 | სამტრედია | 34 | 6 | 7 | 21 | 26 | 63 | 25 |

14.05. ზესტაფონი. დ. აბაშიძე
4 000 მაყურებელი

**ზესტაფონი 4**
**სამტრედია 1**

1:0 გელაშვილი (23. გრიგალაშვილის პასით), 2:0 დვალი (27. გელაშვილის პასით), 3:0 ონიანი (42), 4:0 წინამძღვრიშვილი (79. გელაშვილის პასით), 4:1 დვალიშვილი (90)

| ზესტაფონი | სამტრედია |
|---|---|
| 4-4-2 | 4-1-4-1 |
| რ. კვასხვაძე | ბანძავა |
| ალადაშვილი | დვალიშვილი |
| გ. ონიანი | ხუმარაშვილი |
| კობახიძე | თ. შალიკაშვილი |
| ფოფხაძე | ენდელაძე |
| აფციაური | ცხადაია |
| დაუშვილი | ბურჯანაძე |
| გორგიაშვილი | გ. მიქაბერიძე |
| გრიგალაშვილი | ალავერდაშვილი |
| დვალი | ჩხიკვაძე |
| გელაშვილი | რუხაია |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი |
| გ. გეგუჩაძე | ლ. ანჯაფარიძე |

**ზესტაფონი**

53. გორგიაშვილი - **ძარია**
59. ონიანი - **ხიდეშელი**
66. დვალი - **წინამძღვრიშვილი**
*სათადარიგოები: მამალაძე, ბენაშვილი, ს. ლომია, ბაბუნაშვილი*

**სამტრედია**

46. რუხაია - **ნინუა**
68. ბურჯანაძე - **შენგელია**
70. ენდელაძე - **ხაჭაპურიძე**
*სათადარიგოები: გოგავა, გოგიშვილი, ხვადაგიანი, ახობაძე*

გაფრთხილება: **დვალიშვილი (41)**
არბიტრი: **ხ. გაგნიძე**

# ჩემპიონები!
# კლუბის, ქალაქის!
## იმერული მაისი: ზესტაფონის აისი და სამტრედიას დაისი


ჯერ იყო თამაში...


...მერე ზეიმი



„ზესტაფონი" საქართველოს ახალი ჩემპიონია! „სამტრედიასთან" მოგების შემდეგ იმერული კლუბი მდევარ „დინამოსთვის" მიუწვდომელი გახდა და ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე იზეიმა პირველობა... პირველად გახდა საქართველოს ჩემპიონი ფეროელთა მთავარი მწვრთნელი **გია გეგუჩაძეც**, რომელიც, დიდი სიხარულის მიუხედავად, ტრადიციულად თავშეკავებული და ობიექტური იყო: „რა თქმა უნდა, ჩემპიონობა გასახარია, მაგრამ რომ გითხრათ, ცაში დავფრინავ-მეთქი, მართალი არ ვიქნები. უბრალოდ, დროც არ გვრჩება, რომ გავიაზროთ ყველაფერი. სეზონის დამთავრების შემდეგ ფეხბურთელებს ერთი კვირით დავასვენებთ, მერე კი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის დავიწყებთ მზადებას..."

„ზესტაფონის" ჩემპიონობა მწვრთნელთა და ფეხბურთელთა გარჯის გარდა იმ დიდი ენთუზიაზმის, შრომის, მოთმინებისა და ერთგულების ლოგიკური დაგვირგვინებაა, რაც კლუბის ხელმძღვანელობამ, კერძოდ, კი „ზესტაფონის" პრეზიდენტმა **ილია კოკაიამ** წლების განმავლობაში გამოიჩინა. ზესტაფონელების მიზანი „ერთწლიანი" გუნდის გაკეთება არ ყოფილა. მათ კლუბის შექმნისთანავე (2004წ.) შორსმიმავალი გეგმები დაისახეს, რომელთაც ნაბიჯ-ნაბიჯ ახორციელებდნენ. ბოლო წლებში „ზესტაფონი" უმაღლესი ლიგის მოწინავეთაგანია, ზედიზედ სამჯერ გახლდათ თასის ფინალისტი. 2008 წელს ფეროელებმა თასიც მოიპოვეს. 2008 და 2010 წლებში „ზესტაფონი" ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. ერთი სიტყვით, ჩემპიონობა მომწიფებული იყო და XXII ეროვნული პირველობის დასასრულს ზემოიმერული გუნდის ისტორიაში კიდევ ერთი ლამაზი და ჯერჯერობით ყველაზე მნიშვნელოვანი ფურცელი ჩაიწერა - 14 მაისს „ზესტაფონმა" იჩემპიონა! კლუბის ხელმძღვანელობა კი ამაზე შეჩერებას არ აპირებს. ილია კოკაია თავიდანვე ამბობდა - მთავარი ჩემპიონატის მოგება კი არა, ის არის, ევროტურნირებზე როგორ წარმოვაჩენთ ჩვენს ქვეყანასო. ახლა ზესტაფონელთა წინაშე უფრო დიდი გამოწვევაა, გუნდი პირველად ითამაშებს ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში და იმედი ვიქონიოთ, რომ ევროსარბიელზეც ღირსეულად იასპარეზებს.

„სამტრედიასთან" მატჩის წინ ზესტაფონში უკვე იგრძნობოდა სადღესასწაულო განწყობა. ყველანი გამარჯვებისა და დიდი ზეიმის მოლოდინში იყვნენ. სტადიონიც ბოლომდე გაევსოთ (ცნობილი მოვლენების დროს დაზარალებული ერთი სექტორის გარდა) ადგილობრივ გულშემატკივრებს, რომლებსაც ახალ-ახალი სიმღერები და შეძახილები ჰქონდათ მომზადებული.

როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრა ზესტაფონელთა დიდი უპირატესობით წარიმართა. რამდენიმე სახიფათო შეტევის შემდეგ, 23-ე წუთზე ზესტაფონელებმა ანგარიში გახსნეს - გრიგალაშვილის პასით კარი **ნიკა გელაშვილმა** თავით დალაშქრა და ჩემპიონატში თავისი მე-17 გოლი გაიტანა. გელაშვილი საჩემპიონო მატჩში ყველაზე გამორჩეული ფიგურა იყო. გოლი ხომ გაიტანა, შემდეგ **დვალს** გაუკეთა საგოლე გადაცემა, **ონიანმა** მისი წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა შეაგდო, ბოლოს კი **წინამძღვრიშვილსაც** გაუწია ასისტენტობა. გასაკვირი არ არის, რომ **თემურ ქეცბაიამ** ექვს თანაგუნდელთან ერთად ნაკრებში გელაშვილიც გამოიძახა.

4:0-ის შემდეგ ზესტაფონელები მატჩის დასრულებასლა ელოდებოდნენ, დიდ ზეიმს რომ მისცემოდნენ. სამტრედიელებმა ამით ისარგებლეს და ბოლო წუთზე პრესტიჟის გოლი გაიტანეს - **დვალიშვილი** ფლანგიდან დაიძრა, 5 ზესტაფონელი ჩამოიცილა და მართლაც მშვენიერი გოლი გაიტანა... ორიოდე წუთში სასტვენის ხმაც გაისმა და, ალბათ, წარმოგიდგენიათ, რა ვითარება იქნებოდა სტადიონზე. საპატიო წრის შემდეგ ფეხბურთელებმა კლუბის პრეზიდენტი და მწვრთნელები „ააბურთავეს", ფეიერვერკის ფონზე შამპანური შესვეს და ყველაზე ერთგულ ფანებს მაისურები უსახსოვრეს. ფეხბურთელები სიხარულს ვერ ფარავდნენ. **მურთაზ დაუშვილი:** „გახარებულები ვართ. ჩემპიონობა ლამაზი მოგებით გავიფორმეთ. ვულოცავ კლუბის ხელმძღვანელობას, მწვრთნელებს, „ზესტაფონის" ყველა გულშემატკივარს ამ დიდ წარმატებას. ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ ჩემპიონები გავმხდარიყავით. დიდი მადლობა ყველას მხარდაჭერისთვის."

ნიკა გელაშვილი: „დღეს რაც ხდება, ეს არის სასწაული. პირველად გავხდით საქართველოს ჩემპიონები. დიდი მადლობა გულშემატკივარს. ასეთი ქომაგები რომ არ გვყოლოდა, ძნელი იქნებოდა მიზნის მიღწევა. ვეცდებით, ევროთასებზეც წარმატებით ვიასპარეზოთ". სტადიონიდან ზეიმმა ქუჩებში გადაინაცვლა. ჩემპიონობას მთელი ქალაქი გვიანობამდე ზეიმობდა. ქალაქის ცენტრში გამართულ კონცერტზე „ზესტაფონის" ავტობუსის გამოჩენას ისევ ფეიერვერკი და უსაზღვრო ემოციები მოჰყვა. ფეხბურთელები და მწვრთნელები სცენაზე ავიდნენ და გულშემატკივრებს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადეს, სამომავლოდ კი უფრო დიდ გამარჯვებებსა და სიხარულს დაჰპირდნენ...

...იმ დროს კი, როცა „ზესტაფონი" ჩემპიონობას ზეიმობდა, მის მეტოქე „სამტრედიას" საზეიმოდ სულაც არ ჰქონდა საქმე. ამ მარცხის შემდეგ სამტრედიელებმა ოფიციალურად გაიფორმეს პირველი ლიგის „საგზური".

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან
**ავტორის** ფოტოები

14.05. ქუთაისი. ტორპედო
1500 მაყურებელი

**ტორპედო 0**
**ვიტ ჯორჯია 0**

| ტორპედო | ვიტ ჯორჯია |
|---|---|
| 4-4-2 | 4-2-3-1 |
| მიგინეიშვილი | ა. მიქაბერიძე |
| დ. ფოფხაძე | ხურცილავა |
| ს. თოდუა | ადამაძე |
| ფარულავა | გოგიაშვილი |
| ჩიკვილაძე | ღანიაშვილი |
| დოლიძე | ვასაძე |
| ქებაძე | გურ. გურეშიძე |
| გ. დათუნაიშვილი | კორიფაძე |
| სეთურიძე | ჯანელიძე |
| ვ. კვარაცხელია | ზაქრაძე |
| რ. გოცირიძე | ჩიმაკაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| გ. გიგატაძე | ზ. ბერიძე |

**ტორპედო**

57. ქებაძე – **დილმელაშვილი**
61. კვარაცხელია – **საბანაძე**
79. ჩიკვილაძე – **კემუხტაშვილი**
*სათადარიგოები: ქვილითაია, მაჭავარიანი, თარხნიშვილი, ბაკურაძე*

**ვიტ ჯორჯია**

62. ზაქრაძე – **გიორგი გურეშიძე**
90. ჯანელიძე – **როსტიაშვილი**
*სათადარიგოები: ძაძამია, ჭანკვეტაძე, კასრაძე, დვალაშვილი, გაბრიჭიძე*

გაფრთხილება: **გურამ გურეშიძე (41), ზაქრაძე (44), მიქაბერიძე (67)**
არბიტრი: **გ. ვადაჭკორია**

# ლოგიკური ნულები

იმის მიუხედავად, რომ თასის წლევანდელმა გათამაშებამ ჩემპიონატის მეოთხე ადგილს ფასი დაუკარგა, "ტორპედოსა" და "ვიტ ჯორჯიას" დაპირისპირება უმოტივაციო სულაც არ ყოფილა. ამ გუნდების წევრებს საბრძოლოდ თუნდაც ის ფაქტი განაწყობდა, რომ ამ ჩემპიონატში ჩატარებული წინა სამი ურთიერთშეხვედრიდან "ვიტ ჯორჯიამ" "ტორპედოს" სამივე მოუგო და ქუთაისელები რევანშისთვის ემზადებოდნენ, ვეტერინარები კი, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ შეეცადნენ იმის დამტკიცებას, რომ იმერლებზე არანაკლები გუნდი ჰყავთ.

მატჩი, რომელსაც "ტორპედოს" სათასო მეტოქის - "გაგრას" უკრაინელი მთავარი მწვრთნელი **ანატოლი პისკოვეცი** დაესწრო, არცთუ სანახაობრივი გამოდგა, მასპინძლებიცა და სტუმრებიც დაცვაში დიდი ყურადღებით თამაშობდნენ, ამავდროულად, შემტევები კი სცოდავდნენ. ამიტომაც დასამახსოვრებელი ეპიზოდი ბევრი არ გვინახავს.

პირველი ტაიმის მიწურულამდე გატანის რეალური შანსი არავის ჰქონია. ნახევარმომენტები ვერ გამოიყენეს **ჯანელიძემ, კვარაცხელიამ** და **ფარულავამ.** შესვენებამდე მცირე ხნით ადრე კი დაწინაურება ჯერ "ტორპედოს" შეეძლო, შემდეგ კი "ვიტ ჯორჯიას". **მიქაბერიძემ გოცირიძის** დარტყმა მოიგერია და დამატებაზე კვარაცხელიასაც აჯობა, სტუმართაგან კი **ჩიმაკაძეს** შეეძლო გატანა, მაგრამ ქუთაისელთა კარი **ქებაძემ** იხსნა.

მეორე ტაიმი მოსაწყენი გამოდგა და ანგარიშის გახსნის ხეირიანი შანსი ალარავის მისცემია. გასახსენებლად მხოლოდ ვიტელთა მეკარის მიერ მოგერიებული **დოლიძის** ჯარიმა და **სეთურიძისა** და ჯანელიძის არაზუსტი დარტყმები ღირს.

შეხვედრის მიწურულს **გიორგი დათუნაიშვილმა** გაიტანა, მაგრამ, როგორც ვიდეოგამეორებამ აჩვენა, მსაჯებმა სავსებით სამართლიანად დააფიქსირეს თამაშგარე მდგომარეობა.

საბოლოოდ, მატჩი ლოგიკური შედეგით დასრულდა. "ტორპედომ" რევანში ვერც ამჯერად მოახერხა, სამაგიეროდ, მეოთხე საფეხური შეინარჩუნა და სეზონის მთავარი მატჩისთვის მორიგი რეპეტიცია გაიარა. "ტორპედოს" რეალური ძალა ყველაზე ცხადად სწორედ თასის ფინალში გამოჩნდება.

**ნიკა გვათუა**
ქუთაისი-თბილისი

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# თბილისელები ავსტრიაში მოემზადებიან

## ძველი იმპულსი
## დინამო სომხებს შეხვდება

6 ივნისს თბილისის "დინამო" სომხეთის ჩემპიონატის უმაღლესლიგელ დილიჟანის "იმპულსს" ამხანაგურად უმასპინძლებს. მატჩის ჩატარების ინიციატორი ფიფას აგენტი **თემურ ტონიაა**, საფეხბურთო მენეჯერი, რომელმაც ამ საქმეს შვილის, **აკა ტონიას** გარდაცვალების შემდეგ მოჰკიდა ხელი.

ბატონ თემურს იმედი აქვს, რომ ქართული და სომხური კლუბების დაპირისპირება თბილისელ გულშემატკივრებს (მათ შორის, სომხებსაც) დააინტერესებს. თავიდან ტონია ერევნის "არარატის" ჩამოყვანას აპირებდა, მაგრამ სომხეთა ყოფილი პირველი გუნდი იმდენად დასუსტდა, უმაღლესიდან პირველ ლიგაში და პირიქით ხშირად "მოგზაურობს".

"იმპულსი" 1985 წელს დაარსებული კლუბია, რომელიც რვა ტურის შემდეგ რვაგუნდიან სომხეთის ჩემპიონატში 11 ქულით მეხუთე ადგილზეა.

დილიჟანელთა შემადგენლობაში მხოლოდ სამი ლეგიონერია, ორი ბრაზილიელი (მცველი **ჟულიან ხიმენესი**, თავდამსხმელი **ელტონი**) და ერთიც ქართველი - 26 წლის ნახევარმცველი **გაგა თიბილაშვილი**, რომელმაც წლეულს ექვსჯერ ითამაშა და გუნდს ერთი გოლით შეეწია.

ევროლიგის საგზურის მფლობელი თბილისის "დინამო" კი სეზონისთვის ადრიანად მოემზადება. 11 მაისს უეფამ ევროტურნირების კალენდარი დაადგინა და ცნობილი გახდა, რომ პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრები 30 ივნისს და 7 ივლისს გაიმართება, მეორე ეტაპისა – 14 და 21 ივლისს, მესამის – 28 ივლისსა და 4 აგვისტოს.

"დინამოს" სპორტული დირექტორი **გიორგი ნემსაძე** ახლახანს ავსტრიაში საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად იმყოფებოდა. მისი თქმით, კლუბი შეკრებას სწორედ ავსტრიაში გაივლის.

**მერაბ მამულაშვილი**



შეხვედრის ერთადერთი, ტატანაშვილის გოლი — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# უინტერესო, უმოტივაციო...

14.05. თბილისი. ბ. პაიჭაძე
800 მაყურებელი

**დინამო 1**
**სიონი 0**

1:0 ტატანაშვილი (81, თომაშვილის პასით)

| დინამო | სიონი |
|---|---|
| 4-2-3-1 | 5-4-1 |
| ლორია | გოგლიაშვილი |
| თომაშვილი | ნ. კვასხვაძე |
| კაკუბავა | სვანიძე |
| პომოლა | დიდავა |
| ხმალაძე | ორბელაძე |
| არზიანი | ქორიძე |
| კვეკვესკირი | მ. ოქროპირიძე |
| რობერტინიო | ნოზაძე |
| თექთურმანიძე | გოგოგერიშვილი |
| კახელიშვილი | ლ. ჩხეტიანი |
| ფანცხავა | რეხვიაშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| კ. კაჭარავა | ხ. ქასრაშვილი |

**დინამო**
59. რობერტინიო - **ლეკვთაძე**
69. კახელიშვილი - **ტატანაშვილი**
74. არზიანი - **გ. კვარაცხელია**
*სათადარიგოები: ზარქუა, ციმაკურიძე, ფირცხალავა, ჯუისი*

**სიონი**
59. რეხვიაშვილი - **ისიანი**
61. ჩხეტიანი - **ლომაია**
77. ქორიძე - **შალამბერიძე**
*სათადარიგოები: ზუხბაია, გ. ოქროპირიძე, მელქაძე, ჩირიკაშვილი*

გაფრთხილება: **ფანცხავა (85), შალამბერიძე (89)**
არბიტრი: **ა. კრიჭაშვილი (თბილისი)**

...მატჩის წინა დღეს ქართულმა საფეხბურთო საზოგადოებამ და საპატიო სტუმრებმა ერთად იზეიმეს დიუსელდორფის ტრიუმფიდან 30 წელინადი. ანუ, ასეთ საზეიმო დღეებში „დინამოს", ალბათ, უფლებაც არ ჰქონდა, თამაში რომ ვერ მოეგო; თუმცა, მასპინძლები, ფაქტობრივად უმოტივაციოდ დარჩნენ სეზონის ბოლოსკენ და, ალბათ, ამას უნდა მივაწეროთ დინამოელთა, რბილად რომ ვთქვათ, არადამაჯერებელი ასპარეზობა. სამაგიეროდ, მოტივაციის ნაკლებობას სტუმრები არ განიცდიდნენ — ბოლოდროინდელი წარუმატებლობის შედეგად „სიონი" ერთობ არასახარბიელო სატურნირო სიტუაციაში აღმოჩნდა და ფაქტია, რომ **ხვიჩა ქასრაშვილის** გუნდს მეტად და მეტად რთული ფინიში ელოდება.

... წინა ტურისგან განსხვავებით, ორივე გუნდის ძირითადში რამდენიმე ცვლილება ვიხილეთ, თუმცა მატჩის დასაწყისი (და, საერთოდაც მთელი შეხვედრა) დიდი ვერაფერი სანახავი გამოდგა. არადა, მშვენიერი ამინდი იყო, ეროვნული სტადიონის მოედნის საფარს ხომ მართლაც იდეალური ეთქმოდა, მაგრამ ორივე გუნდის ფეხბურთელები უჩვეულოდ ინერტულად გამოიყურებოდნენ. ეგ კი არა, ტაიმის ნახევარი ისე მიილია, მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი რასაც ჰქვია, არ გვინახავს! ამის შემდეგ თამაში ოდნავ „გამოცოცხლდა": **ლევან კაკუბავას** პასის მერე **ვახტანგ ფანცხავამ** მეტოქის საჯარიმოში გამჭოლი გადაცემა გააკეთა, მაგრამ იქ პარტნიორთაგან არავინ იყო. ამ ეპიზოდს სტუმართა პასუხი მოჰყვა: **ლევან ჩხეტიანმა** საჯარიმოს გარედან დაარტყა, მაგრამ **გიორგი ლორიამ** (ისე როგორც მთელი მატჩის განმავლობაში) უშეცდომოდ ითამაშა. კოლეგას არც **მინდია ბობლიაშვილი** ჩამორჩა: „სიონის" მეკარემ ჯერ **ზურაბ არზიანის** საჯარიმოდან დარტყმული ბურთი მოიგერია, შემდეგ კი **ლევან ხმალაძის** თავური დარტყმა. ტაიმის ბოლომდე „დინამოს" მეტი სახიფათო მომენტი არ შეუქმნია, აი, „სიონს" კი სამწუთიან ინტერვალში ორჯერ შეეძლო უჩვეულოდ ინერტულად მოასპარეზე მასპინძელთა დასჯა, თუმცა უშედეგოდ. არადა, ორივე მომენტი მართლაც სახიფათო იყო: ლევან ჩხეტიანი, ფაქტობრივად, პირისპირ დარჩა გიორგი ლორიასთან, მაგრამ დარტყმა ზუსტი არ გამოუვიდა, **გიორგი რეხვიაშვილის** ძლიერი დარტყმა კი ლორიას ნადავლი გახდა.

ასეთი უფერული პირველი ტაიმის შემდეგ გვეგონა, რომ მეორე ტაიმში ორივე გუნდის ფეხბურთელები ტემპს მოუმატებდნენ და განსაკუთრებულ სანახაობას თუ არა, ოდნავ მიმსგავსებულს მაინც ვნახავდით; სამწუხაროდ, მეორე ტაიმი პირველზე ბევრად უარესი გამოდგა: სტუმრები ქულაზე თანახმა იყვნენ და შეტევებზე აღარც ფიქრობდნენ, მასპინძლებმა კი ორადორი გააზრებული კომბინაცია გაითამაშეს და სულ ეს იყო! პირველი ეპიზოდი **ლევან ხმალაძის** აქტიური თამაშით დაგვამახსოვრდა — დინამოელმა მარცხენა მცველმა „კედელი" გაითამაშა **გიორგი კახელიშვილთან** და მეტოქის საჯარიმოში სახიფათოდ ჩააწოდა, მაგრამ **ვახტანგ ფანცხავას** თავური დარტყმა არაზუსტი გამოდგა. აი, მეორე შეტევას კი შედეგი მოჰყვა: **გულვერდ თომაშვილმა** მარჯვენა ფლანგიდან ბურთი სტუმართა საჯარიმოში ჩაჰკიდა, სადაც ყველას **დიმიტრი ტატანაშვილმა** დაასწრო და შეცვლაზე შემოსულმა ფორვარდმა ეფექტური თავური დარტყმით ყოვლად ულიმლამო მატჩში „დინამოს" გამარჯვება მოუტანა...

**გია ტუხაშვილი**

● U 16

# ბაქოში ორივე მოვიგეთ

ბაქოში შეკრებაზე მყოფმა საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა აზერბაიჯანის ნაკრებთან მეორე საკონტროლო მატჩი გამართა და კვლავ გაიმარჯვა, ამჯერად 2:1. **გელა შეყილაძისა** და **ლევან ხომერიკის** გუნდიდან დუბლი **რომან ჭანტურიამ** შეასრულა.

შეგახსენებთ, აზერბაიჯანელთა და ქართველთა პირველი სპარინგი ჩვენების გამარჯვებით, 3:1 დასრულდა. იმ შეხვედრაში გოლები ჭანტურიამ, **ცოტნე მესხმა** და **ლუკა ზარანდიამ** გაიტანეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

14.05. გორი. ქართლი
500 მაყურებელი

**ოლიმპი 0**
**კოლხეთი 1**

0:1 მდივნიშვილი (71. დათუნაიშვილის პასით).

| ოლიმპი | კოლხეთი |
|---|---|
| 4-4-1-1 | 4-1-4-1 |
| ბათიაშვილი | ძაგანია |
| ჯაფარიძე | ცხვიტარია |
| მურველაშვილი | მახვილაძე |
| ქემოკლიძე | ინწკირველი |
| დობროვოლსკი | მეგრელიშვილი |
| ტყემალაძე | პ. დათუნაიშვილი |
| ქავთარაძე | ლემონჯავა |
| აბურჯანია | ჯანაშია |
| დ. გოლქვაძე | კვერენჩხილაძე |
| ი. მაისურაძე | გვალია |
| პავლიაშვილი | მდივნიშვილი |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| არმაზ ჯელაძე | სოსო ფილია |

**ოლიმპი**
69. ქავთარაძე - **იაშვილი.**
*სათადარიგოები: ბედიაშვილი, ლ. სეთურიძე, თ. ბახტაძე, ქოჩლაძე, უგულავა, კანდელაკი.*

**კოლხეთი**
78. ჯანაშია - **სამადაშვილი**
89. კვერენჩხილაძე - **გელაჟეიშვილი.**
84. გვალია - **სიჭინავა.**
*სათადარიგოები: ლობჟანიძე, გულუა, გავაშელიშვილი, წიქარიშვილი.*

გაფრთხილება: **დათუნაიშვილი (15), ლემონჯავა (68).**
არბიტრი: **ლ. სილაგავა.**

# ფილიას იარაღი: სწრაფი კონტრშეტევები

ახლა ყველა ჩაწყობილ მატჩებზე ლაპარაკობს და სენსაციურ შედეგს უმალ გარიგებულად ასაღებენ. ცხადია, საქართველოს ჩემპიონ "ოლიმპის" აუტსაიდერ ფოთის "კოლხეთთან" შინ დამარცხებაც სენსაცია იყო, სტუმართა გამარჯვებას ტოტალიზატორები 10,5 კოეფიციენტით აფასებდნენ და უმალ გაჩნდა მორიგი ვარაუდები.

თუმცა ეს ყველაფერი მეტისმეტია, ჩვენ კი ისტერიკას ვერ ავყვებით და მოგითხრობთ მხოლოდ იმას, რაც საკუთარი თვალით ვიხილეთ. ფაქტია, რომ მასპინძლები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ წამყვანი ფეხბურთელების (**გიორგი რეხვიაშვილი, ლექსო კვახაძე, ლუკა რაზმაძე, რევაზ გეწაძე, ირაკლი მოდებაძე**) დისკვალიფიკაციის გამო, **სანდრო იაშვილი** კი მოედანს თვენახევრიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა.

საკადრო პრობლემების გამო რუსთაველთა სამწვრთნელო შტაბმა დაცვის ცენტრში მარჯვენა მცველი **გიორგი მურველაშვილი** დააყენა, ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე კი - 16 წლის (?!) **გიორგი აბურჯანია**. საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების კაპიტანმა პირველად ითამაშა ძირითად შემადგენლობაში (წინა ტურში "ბაიასთან" შეცვლაზე შევიდა) და კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა.

დანაკლისის მიუხედავად, რუსთაველებმა თამაში თავდაჯერებულად დაიწყეს, მაგრამ მათ საქმეს ურთულებდა სტუმართა პრესინგი, დაცვის საიმედო მოქმედება და ნახევარდაცვის სწრაფი და აქტიური თამაში. კოლხები დროულად ახერხებდნენ შეტევის მასპინძელთა კართან გადატანას. გუნდს აშკარად ეტყობოდა მწვრთნელის ხელი, ყველა ფეხბურთელი იყო იქ, სადაც საჭიროება მოითხოვდა.

მე-20 წუთზე **დავით მეგრელიშვილმა** და **ზამირ ჯანაშიამ** სწრაფი, ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს და დასარტყმელ პოზიციაზე **ლევან მდივნიშვილი** გაიყვანეს - "ოლიმპი" ხარიხამ იხსნა.

"ოლიმპს" ანგარიშის გახსნა 27-ე წუთზე შეეძლო, როდესაც კარის წინ ხელსაყრელ პოზიციაში **დენის დობროვოლსკი** აღმოჩნდა, მაგრამ ეს შეტევა უშედეგოდ დასრულდა.

32-ე წუთზე **ირაკლი მაისურაძის** კარგი პასით აბურჯანიას თავის გამოჩენის შანსი მიეცა, მაგრამ მეკარე **ლაშა ძაგანიას** ვერ აჯობა.

36-ე წუთზე "კოლხეთმა" რეალური საგოლე მომენტი შექმნა: მატჩის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა მდივნიშვილმა მეკარესთან პირისპირ **გიგა კვერენჩხილაძე** გაიყვანა, მაგრამ "ოლიმპი" **ზურაბ ბათიაშვილმა** გადაარჩინა.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა უფრო მონდომებით შეუტიეს: მშვენიერი მომენტი ჰქონდა მურველაშვილს, მაგრამ მის მიერ ქუსლით დარტყმული ბურთი ძაგანიამ მოიგერია.

შეტევით გართულმა მასპინძლებმა დაცვა მოაშიშვლეს, რამაც კონტრშეტევებზე მოთამაშე კოლხებს ხელ-ფეხი გაუხსნა. ნიჭიერი მოზარდების დაწინაურებით ცნობილმა ფილიამ სამი 19-20 წლის ფეხბურთელი ათამაშა – **დავით მეგრელიშვილი** (მარცხენა მცველი), **გიორგი ლემონჯავა** და **ლაშა გვალია** (ორივე ცენტრალური ნახევარმცველია), ვფიქრობ, ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელები ამ სამეულით თუ დაინტერესდებიან, არ ინანებენ. სამივემ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, განსაკუთრებით 19 წლის ლაშა გვალიამ, რომელიც სტუმართა შეტევებს უნარიანად წარმართავდა. მერწმუნეთ, უმაღლეს ლიგაში ასეთი ნათელი გონების ნახევარმცველი ბევრი არ გვეგულება – გვალია დროულად ცვლიდა შეტევის მიმართულებას, არც ბურთს აყოვნებდა და არც შეტევას, მწვავე, დროული გადაცემებით ამარაგებდა ფლანგელებსა და თავდამსხმელებს.

71-ე წუთზე მან შეტევა ცენტრიდან მარჯვენა ფლანგზე გადაიტანა, **პაატა დათუნაიშვილმა** კი საჯარიმოში სწრაფად მოძებნა მდივნიშვილი, რომელმაც მცველებს დაასწრო და ახლო მანძილიდან ანგარიში გახსნა – 0:1.

ეს შეხვედრის ერთადერთი გოლი აღმოჩნდა. "ოლიმპმა" მთელი ძალებით შეუტია, მაგრამ მასპინძლებს თვენახევრიანი პაუზის შემდეგ მოედანზე ტრავმამოშუშებული სანდრო იაშვილის დაბრუნებამაც ვერ უშველა. სანდრომ ორჯერ სცადა შეტევის გამწვავება, მაგრამ უშედეგოდ, სტუმრებს კი სხვაობის გაზრდის საშუალება მიეცათ, როდესაც **გურამ სამადაშვილმა** საჯარიმოში მახვილი კუთხიდან კარში ძლიერად დაარტყა – მასპინძლები ბათიაშვილმა იხსნა.

მოკლედ, ვერ გეტყვით, ვინ ვის როდის გაურიგდა, მაგრამ ამ შეხვედრაში "კოლხების" მთავარმა მწვრთნელმა სოსო ფილიამ თამაში რომ კარგად წარმართა, "ოლიმპს" კი ლიდერთა არყოფნა აშკარად დაეტყო, ვფიქრობთ, სწორედ ეს იყო სენსაციური, თუმცა ლოგიკური შედეგის მიზეზი – "კოლხეთმა" კი, ფაქტობრივად, უმაღლეს ლიგაში დარჩენა გაიფორმა. დარჩენილ ორ ტურში კოლხებს ორი ქულაც ჰყოფნით.

**მერაბ მამულაშვილი**
რუსთავი-თბილისი

● იქნება ცვლილებები?

# გადაწყვეტილია: კლუბებს გარანტიებს მოსთხოვენ

გარიგებულ მატჩებთან ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად, ასეთ გზად მომავალი ფეხბურთის ფედერაციის მიერ კლუბებისთვის საბანკო გარანტიების მოთხოვნის აღდგენა და უმაღლესი ლიგის ფეხბურთელის ხელფასის მინიმალური ზღვარის დაწესება მიგვაჩნია - ერთი მეორის გარეშე წარმოუდგენელია.

ამაზე თურმე, დიდი ხანია, ფეხბურთის ფედერაციაში ფიქრობენ. ეს საინფორმაციო პორტალ "ამბები.გე"-ს მორიგი კონფერენციის შემდეგ გაირკვა. ინტერნეტპორტალმა თემად ქართულ ფეხბურთში გაყიდულ თამაშებთან დაკავშირებული სკანდალი აირჩია, მკითხველთა შეკითხვებს კი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** უპასუხა.

ერთ-ერთმა მკითხველმა ფედერაციის თავკაცს ჰკითხა:

- ჩემი აზრით, ამ უბედურების მიზეზი უფულო და უპატრონო კლუბებია. მაინტერესებს, მომავალ ჩემპიონატში ასეთი უსახსრო გუნდების დაშვებას თუ აპირებთ?

ზვიად სიჭინავა: - არ ვაპირებთ. პირიქით, მიმდინარეობს მოლაპარაკებები იმის თაობაზე, რომ ყველა იმ კლუბს, რომელიც მომავალ ჩემპიონატში უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს, ჰქონდეს გარკვეული სახელფასო ბიუჯეტი.

ფოთის "კოლხეთის" მთავარმა მწვრთნელმა **სოსო ფილიამ** გაგვიმხილა, რომ ეს კლუბებისთვისაც ცნობილია: *"შევიტყვეთ, რომ ახალი სეზონიდან კლუბებს მოსთხოვენ არა მხოლოდ საგარანტიო წერილებს, არამედ მინიმალური სახელფასო ზღვრის დაწესებასაც. ეს აუცილებელია, რათა ჩემპიონატი არ ჩაიშალოს, ფეხბურთელი მინიმალური პირობებით იყოს უზრუნველყოფილი. ცხადია, მაღალ ხელფასებს მაინც ვერ გავცემთ, მაგრამ უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე კლუბი მინიმალურ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს".*

გარდა ამისა, სიჭინავამ გაამხილა, რომ მალე ფეხბურთის ფედერაცია უმაღლესი ლიგის კლუბებს სიურპრიზს უმზადებს.

*"კონსულტაციებს გავდივართ და არ არის გამორიცხული, კლუბების ფინანსურ დახმარებაში ჩვენი წვლილი შევიტანოთ"* – ამბობს სიჭინავა. ჩვენთან საუბარში კი ფედერაციის პრეზიდენტმა გვითხრა, რომ ორშაბათს, ანუ დღეს საზოგადოებას მნიშვნელოვან სიახლეს აცნობებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ქართული ფეხბურთი



მეორე გოლი ლაშა ჯაკობიამ პენალტით გაიტანა — ს.კ. სპარტაკის პრესსამსახურის ფოტო

# სპარტაკმა გაამგორა, ბაიამ გადაამგორა

14.05. გორი. ქართლი
100 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სპარტაკი | 3 |
| ბაია | 0 |

1:0. თ. შონია (16, კილასონიას პასით), 2:0. ჯაკობია (51, პენალტით), 3:0. დეკანოიძე (67)

| სპარტაკი | ბაია |
|---|---|
| 4-5-1 | 4-5-1 |
| დაუშვილი | სომხიშვილი |
| ჭაფოძე | რიგვავა |
| ბოიომო | აფაქიძე |
| მგელაძე | ქვარცხავა |
| მანჩხავა | გამრეკელიძე |
| მამუჩიშვილი | სამუშია |
| თ. შონია | ნ. შონია |
| ჯაკობია | სიხარულია |
| დეკანოიძე | ეხვაია |
| კილასონია | წურწუმია |
| მეტრეველი | ქოგალია |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ბ. კვარაცხელია | ე. ქომეთიანი |

**სპარტაკი**

46. მეტრეველი — **ბუზალაძე**
73. დეკანოიძე — **ვ. ბოლქვაძე**
84. მამუჩიშვილი — **ბურძენაძე**

*სათადარიგოები: გრიშიკაშვილი, ალავიძე, ზერეკიძე, ოთარიშვილი*

**ბაია**

68. ეხვაია — **ენდელაძე**
68. სამუშია — **კ. ახალაია**
83. სიხარულია — **ჩანგელია**

*სათადარიგოები: ზაუტაშვილი, მამულია, კუკავა, კალანდია*

გაფრთხილება: აფაქიძე (52), ენდელაძე (88)

**არბიტრი:** მ. ბეუქლიშვილი (ყვარელი)

სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე შეხვედრის შედეგის წინასწარ განჭვრეტას დიდი მისნობა არ სჭირდებოდა. უმაღლესი ლიგის დატოვების საფრთხის წინაშე მყოფი „სპარტაკი" მხოლოდ მოსაგებად უნდა გარჯილიყო, თითქმის უმოტივაციოდ დარჩენილი „ბაია" კი - მატჩის გადასაგორებლად. შეხვედრა თავიდანვე სწორედ ასეთ დინამიკაში წარიმართა. ფეხბურთელები თავიდანვე ტემპიანად კი შეუდგნენ თამაშს, მაგრამ გოლამდე არც ერთ კართან არ გვინახავს ხიფათი. მე-16 წუთზე „ბაიას" კარიდან 30 მეტრში მსაჯმა წესის დარღვევა აღნიშნა, **ვარლამ კილასონიას** ჩაწოდებული ბურთი **თემურ შონიამ** თავით გაახვია ბადეში 1:0. ანგარიშში დაწინაურებულმა მასპინძლებმა, უმალ თამაშიც დაალაგეს. მოედნის ცენტრში „სპარტაკის" ნახევარმცველები დომინირებდნენ, განსაკუთრებით **ლაშა ჯაკობიას** გარჯას გვინდა გავუსვათ ხაზი. ჩანს, იგი თანდათან იბრუნებს ოპტიმალურ სპორტულ ფორმას. მასპინძლებმა ანგარიშის გაზრდა შესვენების შემდეგღა შეძლეს. შეცვლაზე შესულმა **ილია ბუზალაძემ** პენალტი „მოინადირა", რომელიც გოლად ჯაკობიამ გარდასახა — 2 : 0. ამის მერე „სპარტაკს" თავდაჯერებულობა მოემატა და დარჩენილ წუთებში იმასღა ველოდით, მესამე გოლი როდის გავიდოდა. სამბურთიანი სხვაობა 67-ე წუთზე დაფიქსირდა. მასპინძლების მორიგი შეტევისას **ბესიკ დეკანოიძემ** დაახლოებით 20 მეტრიდან დაარტყა კარისკენ, ბურთი გზად ზუგდიდელ მცველ **აფაქიძეს** მოხვდა, მიმართულება ოდნავ შეიცვალა და ბადეში აღმოჩნდა, **სომხიშვილი,** რომელსაც რეაქცია უკვე გაკეთებული ჰქონდა, უშანსოდ იყო — 3:0. „ბაიამ" მხოლოდ ბოლოსკენ გაიბრძოლა პრესტიჟის გოლის გასატანად და ესეც ვერ შეძლო, „სპარტაკის" დაცვის ხაზი **ბოიომო ფრიდოლინის** მეთაურობით უშეცდომოდ მოქმედებდა. სხვათა შორის ცხინვალელთა ლეგიონერი ტრავმირებული **სოსო გრიშიკაშვილის** არყოფნაში გუნდის კაპიტანი გახლდათ, რაც, ვფიქრობთ, აღსანიშნავი ფაქტია, ვინაიდან ლეგიონერი კაპიტანი ჩვენი ფეხბურთისთვის იშვიათი შემთხვევაა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

● რეპლიკა

# მკითხველი წუხს და გვირჩევს

ქართულ ფეხბურთში არსებული დღევანდელი ტრაგიკომიკური სიტუაცია რეციდივის ის მორიგი გამოვლინებაა, რომელსაც საფუძველი ამ სამი ათეული წლის წინათ ქართულ ფეხბურთში თავჩენილმა მისტიფიკაციამ დაუდო. იმ დროს მავანს თავის გამორჩენა ფეხბურთით სურდა და ძალ-ღონეს არ იშურებდა მიზნის მისაღწევად. ამ ხნის განმავლობაში გაჩანაგდა საფეხბურთო მეურნეობა და ძნელი მოსახვედრი არ უნდა იყოს, რომ ჩვენში დღეს აღარ თამაშობენ ქართულ ფეხბურთს, რომელსაც საფუძველი პატრიარქმა ანდრო ჟორდანიამ ჩაუყარა. თვალსაწიერიდან გაქრა საფეხბურთო ეპიცენტრები ფოთში, ბათუმში, სოხუმში, ოჩამჩირეში, რაც შეეხება „გაგრას" და „ტორპედოს", ასევე „ზესტაფონს" ისინი, ფაქტობრივად, თბილისის გუნდებია და პერიფერიებს, ცხადია, მეორეხარისხოვან ფეხბურთელებს აწვდიან. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან აზრი დაკარგა დღევანდელი ფორმით საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გაგრძელებამ, კარგი იქნება, თუ სფფ ყურად იღებს დღევანდელ ქართულ ფეხბურთში არსებულ მდგომარეობას, ჩაატარებს ეროვნული ჩემპიონატის სრულ რეორგანიზაციას, ანუ მოეწყოს გათამაშების ორსაფეხურიანი სისტემა. პირველი საფეხური — ჩემპიონატი რეგიონებში; მეორე — გამარჯვებულთა ტურნირი საქართველოს ჩემპიონის გამოსავლენად. რაც შეეხება თასის გათამაშებას, მასში მონაწილეობა მიიღოს 8 საფეხბურთო რეგიონის უკლებლივ ყველა გუნდმა. ასეთი სისტემის დანერგვა ბატონმა **გუბაზ სანიკიძემ** აღნიშნა ამას წინათ „ლელოს" ფურცლებზე. დღევანდელი სტრუქტურით საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გაგრძელება თავის მოტყუებაა და სხვა არაფერი.

**დემურ ტორაძე**
ფეხბურთის მოყვარული 1948 წლიდან

## მოკლედ...

თბილისის ფეხბურთის ფედერაციისა და **ნოდარ ქუმარიტაშვილის** ოჯახის ახლობლების ინიციატივით, „საბურთალოს" საფეხბურთო სკოლაში ვანკუვერის ოლიმპიადაზე ტრაგიკულად გარდაცვლილი სპორტსმენის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი გაიმართა.

მთავარი პრიზის მფლობელი დაცვის პოლიცია გახდა, რომელმაც ფინალში „ელიტ-პაპერი" 3:1 დაამარცხა.

● პირველი ლიგა, XXXI ტური

**სქური–მერცხალი 3:0**

12.05. ნალენჯიხა. ს. კვარაცხელია. 300 მაყურებელი

1:0 გ. ჭკუასელი (71), 2:0 გ. ჭკუასელი (76), 3:0 ლ. ქანთარია

სქური: ვ. ჯომიდავა, ბ. გვილია (83. გ. აკობია), ე. ფარცვანია, თ. გერგედავა, ზ. მოლაშხია, დ. რაფავა (25. დ. კუტალია), ბ. გუჯეჯიანი, ი. მალიჩავა, გ. ჭკუასელი. ლ. გაბუნია (86. დ. ჩახაია), ლ. ქანთარია.

*სათადარიგოები:* ტ. ხარჩილავა, ი. ნაჭყებია, ბ. სვანიძე

მთავარი მწვრთნელი: ვ. გულორდავა

მერცხალი: გ. გოლიაძე, ზ. ტულუში, ვ. რამიშვილი (77. ლ. კოტრიკაძე), გ. ხამაშურიძე, ზ. ხურციძე (46. თ. ცეცხლაძე), კ. ნაკაიძე, მ. ქობულაძე, სერგო ვ. ჩიგოგიძე, ნ. ხინთიბიძე (80. ი. ბაჯელიძე), სერგო გ. ჩიგოგიძე, ლ. ათუაშვილი.

სათადარიგო: ი. მურუსიძე

მთავარი მწვრთნელი: ხ. ჩხატარაშვილი

გაფრთხილება: ი. მალიჩავა, ზ. მოლაშხია; ბ. გოლიაძე

არბიტრი: ო. ხეცაძე (თბილისი)

**ჩიხურა–ჩხერიმელა 2:0**

12.05. საჩხერე. ცენტრალური. 100 მაყურებელი

1:0 თ. მუმლაძე (10), 2:0 დ. ჩაგელიშვილი (59)

ჩიხურა: გ. ბეგაშვილი, ნ. მაჭარაშვილი. ე. ზივზივაძე, ი. გვეტაძე, ი. ტყებუჩავა, ი. ზაბახიძე, ა. ივანიშვილი (82. ა. ალავიძე), დ. ქამუშაძე, ბ. პეტრიაშვილი, თ. მუმლაძე (80. თ. მეტრეველი), დ. ჩაგელიშვილი (65. გ. ქიმაძე)

*სათადარიგოები: შ. დოლაძე, მ. გიორბელიძე, გ. ცარციძე, ბ. დემეტრაშვილი*

მთავარი მწვრთნელი: ს. ფრუიძე

ჩხერიმელა: ი. კუჭუხიძე, ვ. ტაბატაძე, ნ. ხარაბაძე, ა. ქაშაკაშვილი (30. ჯ. ავალიშვილი), ც. ხარაბაძე, ლ. მახარაძე, ა. ლაბაძე (76. ლ. გუმბერიძე), გ. კუხიანიძე, რ. ჩიხლაძე, გ. თურმანიძე, კ. ძაგანია (65. გ. ზაქარაშვილი)

*სათადარიგოები: მ. ლომსაძე, კ. კუბლაშვილი, გ. ხეცურიანი.*

მთავარი მწვრთნელი: მ. ხუნდაძე

გაფრთხილება: დ. ქამუშაძე; დ. მახარაძე, კ. ძაგანია, ლ. გუმბერიძე

გაძევება: ჯ. ავალიშვილი

არბიტრი: თ. ხუჭუა (სამტრედია)

**ნ/დინამო–ლოკომოტივი 1:1**

12.05. თბილისი. „შატილი". 200 მაყურებელი

0:1 გ. ბოჭორმელი (40), 1:1 ა. ხვთისავრიშვილი (81, პენალტით)

ნ. დინამო: ა. ბილიხოძე, გ. ჩუბინიძე, ვ. კაკაშვილი, გ. ლომიძე, ზ. ძაგანია, გ. გურაბანიძე (30. ზ. კვარაცხელია) ა. ხვთისავრიშვილი, გ. თანიაშვილი, ბ. ახალბედაშვილი (61. ო. გაგნიძე), ლ. ლაბარტყავა (46. გ. მაისურაძე), მ. ლომაია

*სათადარიგოები: თ. ცინცაბაძე, ი. მახათაძე, დ. ქიმერიძე, გ. ჯაჭვაძე*

მთავარი მწვრთნელი: ვალერი გაგუა

ლოკომოტივი: გ. ნაჭყებია, გ. მჭედლიშვილი, ზ. გვაძაბია, ნ. ჭანტურია, დ. საჯაია, გ. ბოჭორმელი, ბ. მახარაძე, დ. დარციმელია (86. ნ. შერაზადიშვილი), ა. შენგელია, გ. შარანგია (57. მ. მაკარაშვილი), დ. ბაქრაძე (46. ლ. კვარაცხელია)

*სათადარიგოები: გ. სლამაზიშვილი, გ. კაპანაძე, ა. ძიძიგური, დ. გაბელია*

მთავარი მწვრთნელი: ლ. ჭალიაშვილი

გაფრთხილება: გ. ჩუბინიძე, ვ. კაკაშვილი

გაძევება: დ. საჯაია

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი (თბილისი)

**ჭიათურა–ადელი 1:0**

12.05. ჭიათურა. „თ. მაღრაძე". 300 მაყურებელი

1:0 ლ. კობახიძე (2)

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, ნ. ტყემალაძე (58. გ. ზაბახიძე), გ. ბრეგვაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ლ. ცუცქირიძე, დ. ტაბატაძე, ზ. ნოზაძე, ლ. ქურდაძე, ლ. კობახიძე, გ. ცუცქირიძე (66. ა. დოლონაძე), დ. სევასტოპულო (90. ვ. ჯელაძე)

*სათადარიგოები: ა. დარბაიძე, ჯ. ლაშხი, თ. კურტანიძე, თ. მიშველიძე*

მთავარი მწვრთნელი: ა. სევასტოპულო

ადელი: ი. დევაძე, მ. ფუტკარაძე, ს. კახიძე, გ. ხაჩიძე, ლ. კვანტალიანი, ნ. ნასუაშვილი, დ. ჯალალანია, გ. ფალავანდიშვილი, ზ. მჟავანაძე, გ. ზოიძე (76. გ. დევაძე), ა. აბუსერიძე

*სათადარიგოები: ჯ. მერაბიშვილი, გ. რომანაძე, ა. ლორია*

*მთავარი მწვრთნელი: გ. ჯორბენაძე*

გაფრთხილება: დ. სევასტოპულო, ნ ტყემალაძე, ლ. ქურდაძე, გ. ზაბახიძე; გ. ფალავანდიშვილი

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი (თბილისი)

**ბათუმი–სამგურალი 5:1**

12.05. ბათუმი. ადელი. 150 მაყურებელი

1:0 ზ. ხაჭიპერაძე (1), 1:1 გ. უგულავა (30), 2:1 ე. გრიგალაშვილი (38), 3:1 ა. ბაჯელიძე (38), 4:1, 5:1 ნ. დიასამიძე (62, 76).

ბათუმი: შ. მამინაშვილი, დ. სამსეიშვილი (46. თ. ბერიძე), მ. ფარტენაძე, ა. ბაჯელიძე, კ. მაკარიანი, ზ. ლობჟანიძე, ე. გრიგალაშვილი, თ. ბერიძე (46. მ. ჟვანია), ზ. ხაჭიპერაძე, მ. კაკალაძე (64. ა. ბაციკაძე), ნ. დიასამიძე

*სათადარიგოები: რ. თევდორაძე, ვ. თევდორაძე, მ. ჯორბენაძე*

მთავარი მწვრთნელი: ა. გოგიტიძე

სამგურალი: დ. ხურცილავა, ლ. ცხადაძე, დ. ჩაკვეტაძე, ზ. ჩიხლაძე, გ. ჩიხლაძე, ხ. უგრეხელიძე, გ. ჯიმშელეიშვილი (68. მ. მესხი), ზ. კუხალაშვილი (71. გ. ბუხაიძე), გ. უგულავა, ზ. ქუთათელაძე, ლ. ნავერიანი (68. ზ. სალინაძე)

სათადარიგოები: შ. ესებუა, ი. შალიკაშვილი, გ. თევდორაძე

მთავარი მწვრთნელი: ტ. მანაგაძე

არბიტრი: კ. ჭაჭუა (ქუთაისი)

**იმერეთი–კოლხეთი(ხ) 2:0**

12.05. ხონი. ცენტრალური. 650 მაყურებელი

1:0 რ. კვერნაძე (26), 2:0, რ. კვერნაძე (89)

იმერეთი: ი. შენგელია, ბ. ბიბილაშვილი, ბ. ხაჭიპერაძე, თ. ხარებავა, რ. კაშია, ჯ. ლოლუა (55. დ. გოდერიძე), მ. ჩხარტიშვილი, ლ. კირკიტაძე (74. ა. მეტონიძე), ბ. ჩხეტიანი, რ. კვერნაძე, გ. ცაგარეიშვილი (53. ი. ასათიანი)

*სათადარიგოები: გ. ნიქაბაძე, გ. ქობალია, დ. კუხალაშვილი, დ. ხაბურძანია*

მთავარი მწვრთნელი: დ. ჭელიძე

კოლხეთი: ზ. გელაშვილი, გ. ფარფალია, ლ. გოგენია, გ. გოგენია, ო. ფიფია, ი. კუტალია (61. ლ. ჩაჩიბაია), მ. ბესარაშვილი, ც. ბუკია, ბ. ბუკია (67. კ. ალანია), გ. ლომაია (76. ვ. ფირცხალავა), თ. ღლონტი

სათადარიგოები: გ. ხუნჯუა, კ. გოგენია, ლ. მეფიშვილი

მთავარი მწვრთნელი: კ. ხურცილავა

გაფრთხილება: ჯ. ლოლუა, ი. შენგელია; ბ. ბუკია, ლ. გოგენია, თ. ღლონტი

გაძევება: გ. ფარფალია, მ. ბესარაშვილი

არბიტრი: გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**მერანი–მეშახტე 3:0**

12.05. მარტვილი. ცენტრალური. 1000 მაყურებელი

1:0 გ. თოდუა (17), 2:0 მ. ტაპე (49), 3:0 გ. თოდუა (51)

მერანი: ლ. გორდეზიანი, ვ. იობაშვილი, გ. ჟვანია, ლ. ჩალაძე, ა. სუხიაშვილი, გ. ილურიძე (56. დ. ბერუაშვილი), გ. წოწორია, გ. მემარნიშვილი (32. დ. დიდმარხვაშვილი), ლ. კუჭუხიძე, მ. ტაპე, გ. თოდუა (53. გ. ამბროლაძე)

*სათადარიგოები: ჯ. შეროზია, ო. ტორაძე, ი. ფაცაცია, თ. კაკუშაძე*

მთავარი მწვრთნელი: მ. ჟვანია

მეშახტე: დ. ოდიშარია, ა. ქუთათელაძე, ა. გუბელაძე, ბ. ბერაია, ვ. ჭაჭიაშვილი (59. ბ. ჯიშიაშვილი), გ. აბურჯანია, გ. ჯიშიაშვილი, ა. ნოზაძე, ვ. აფციაური, გ. ბოხუა (71. ა. სახელაშვილი), დ. გოგოლაძე

სათადარიგო: ი. ორბელაძე

მთავარი მწვრთნელი: მ. ბაბუხადია

გაფრთხილება: ბ. ბერაია

არბიტრი: მ. ურუშაძე (თბილისი)

**გურია–გაგრა 1:0**

12.05. ლანჩხუთი. „ე. შევარდნაძე". 300 მაყურებელი

1:0 გ. კვიტაიშვილი (10 პენალტით)

გურია: მ. გოგუაძე, ჯ. გოგიბერიძე, ს. ფირცხალაიშვილი, გ. შეწირული, ლ. რუსეიშვილი (90. ზ. რაზმაძე), გ. კვიტაიშვილი (87. ვ. ქვრივიშვილი), გ. თოლორდავა, ი. კილაძე, გ. ჭეიშვილი, ი. დეისაძე (77. ს. კახია), თ. სივსივე

*სათადარიგო: ი. ხვედელიძე*

მთავარი მწვრთნელი: ი. ფაცურია

გაგრა: ლ. ნადირაშვილი, ლ. კალანდაძე, გ. ტყეშელაშვილი, ზ. ჩხეტიანი, ი. ხუციძე (62. გ. გაბედავა), მ. ნაკონეჩნი, ბ. გედენიძე, ლ. შარიქაძე, დ. ციცხვაია (46. მ. კობერიძე), ვ. ორდინსკი, შ. კვანტალიანი

*სათადარიგოები: კ. სეფიაშვილი, დ. გიგაური, ჯ. გაბუნია, თ. მოსიაშვილი, დ. ჯანაშია*

*მთავარი მწვრთნელი: ა. პისკოვეცი*

გაფრთხილება: ი. დეისაძე, ს. ფირცხალაიშვილი, ჯ. გოგიბერიძე; ლ. შარიქაძე, გ. ტყეშელაშვილი

არბიტრი: ზ. ანიაშვილი (გორი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გაგრა | 29 | 21 | 5 | 3 | 67-17 | 68 |
| 2. მარტვილი | 30 | 20 | 7 | 3 | 56-15 | 67 |
| 3. დილა | 29 | 17 | 9 | 3 | 52-21 | 60 |
| 4. ჩიხურა | 29 | 18 | 5 | 6 | 54-24 | 59 |
| 5. ბათუმი | 29 | 16 | 8 | 5 | 62-16 | 56 |
| 6. გურია | 30 | 14 | 4 | 12 | 50-55 | 46 |
| 7. კოლხეთი (ხ) | 29 | 11 | 10 | 8 | 26-31 | 43 |
| 8. იმერეთი | 29 | 10 | 4 | 15 | 32-38 | 34 |
| 9. ჩხერიმელა | 29 | 7 | 12 | 10 | 34-42 | 33 |
| 10. მეშახტე | 29 | 9 | 5 | 15 | 30-43 | 32 |
| 11. ნ/დინამოელი | 29 | 9 | 5 | 15 | 36-53 | 32 |
| 12. მერცხალი | 30 | 8 | 7 | 15 | 40-64 | 31 |
| 13. ლოკომოტივი | 29 | 7 | 7 | 15 | 30-43 | 28 |
| 14. ადელი | 29 | 8 | 2 | 19 | 32-51 | 26 |
| 15. სამგურალი | 29 | 7 | 5 | 17 | 34-60 | 26 |
| 16. ჭიათურა | 29 | 7 | 5 | 17 | 25-64 | 26 |
| 17 სქური | 29 | 7 | 4 | 18 | 27-50 | 25 |

**მომდევნო ტური. 16 მაისი**

ჩხერიმელა-სქური
სამგურალი-ჭიათურა
კოლხეთი (ხ)-ბათუმი
ადელი-ნ. დინამო
იმერეთი-გაგრა
მეშახტე-გურია
ლოკომოტივი-ჩიხურა
მერცხალი-დილა

● მსაჯთა კორპუსი

# ქართველი ევროპის ჩემპიონატის ფინალში

ვერ გეტყვით, კიდევ რამდენი წელი დაგვჭირდება ცდა, სანამ ევროპის რომელიმე ასაკობრივი ჩემპიონატის ფინალში საქართველოს ნაკრებს ვიხილავთ, სამაგიეროდ, ამ წარმატებას მიაღწია ახალგაზრდა ქართველმა ლაინსმენმა **გიორგი ყრუაშვილმა,** რომელიც გუშინ ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის ფინალურ მატჩს მოემსახურა.

ფინალში ჰოლანდიამ გერმანია 5:2 გაანადგურა, შეხვედრის ესტონელ არბიტრ **კრისტო ტოჰვერს** კი ყრუაშვილი და უნგრელი **ვენცელ ტოტი** დაეხმარნენ.

გიორგი, რომელიც ცნობილი ქართველი არბიტრის, **კარლო ყრუაშვილის** შვილიშვილია, უეფამ ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის სამ მატჩზე (დანია-ინგლისი, დანია-საფრანგეთი, ჩეხეთი-რუმინეთი) გაამწესა, რის შემდეგაც იგი ჰოლანდია-ინგლისის ნახევარფინალშიც ამსაჯეს და როცა აქაც დამაჯერებლად გაისარჯა, ფინალში "გასვლის" უფლებაც მოიპოვა.

ორიოდე სიტყვით თვით ჩემპიონატზეც, რომლის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდამდეც მიაღწია **კობა ჟორჟიკაშვილის** მიერ გაწვრთნილმა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა. ფინალში ანგარიში გერმანელებმა გახსნეს, პირველი ტაიმი 2:2 დასრულდა, შესვენების შემდეგ კი ჰოლანდიელთა უპირატესობა გამოიკვეთა და **ალბერტ სტუივენბერგის** გუნდმა გერმანიას შანსი არ დაუტოვა.

ცნობისთვის, ეს გუნდები ერთ ჯგუფში იყვნენ და მაშინაც ჰოლანდიამ გაიმარჯვა – 2:0. ჰოლანდიელებმა მხოლოდ ჩეხებს ვერ მოუგეს, დანარჩენ მატჩებში კი დამაჯერებლად გაიმარჯვეს. საფრანგეთი, რომელიც ელიტრაუნდში ჩვენი მეტოქე იყო, ჯგუფში ჩარჩა, ხოლო ინგლისი, რომელიც საქართველოს ნაკრების მოწინააღმდეგე თბილისში გამართულ პირველ შესარჩევ ეტაპზე იყო, ევროპის ჩემპიონობისთვის ბრძოლას ნახევარფინალში ჰოლანდიასთან 0:1 დამარცხებით გამოეთიშა.

**ლევან ჯანეზაშვილი**




● იტალია. სერია A. XXXVI ტური

# ფიესტა გრძელდება, მილანი ისევ დუღს

## სამპა ელიტას დაემშვიდობა, იუვე და რომა კი ლიგას

„მილანი"-„კალიარის" პაექრობა სატურნირო თვალსაზრისით არაფრისმომცემი გახლდათ, მაგრამ მთელი საფეხბურთო იტალიის ყურადღება მაინც „სან სიროსკენ" იყო მიპყრობილი. **მასიმილიანო ალეგრის** გუნდმა პირველი საშინაო შეხვედრა გამართა ჩემპიონის რანგში და ბუნებრივია, სტადიონზე საოცარი ატმოსფერო სუფევდა. 85 000 გულშემატკივარი მთლიანად შავ-წითელ ფერებში შეიღება, მათი განბილება კი არაფრის დიდებით არ შეიძლებოდა - ამიტომ, „მილანმა" ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა მიმდინარე სეზონში და მეტოქე გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხა.

ანგარიში **რობინიომ** გახსნა და თანაც შესანიშნავი რეიდის შემდეგ - ორ მცველს აუარა გვერდი და ძლიერი დარტყმით ბურთი სარდინიელთა კიპერისგან შორეულ კუთხეში მოათავსა, 1:0. მალევე **ჯენარო გატუზომ** გაიტანა გოლი და რაც არ უნდა საოცარი იყოს, თავური დარტყმით - კარიდან გამოსული მეკარის მიერ მოგერიებულ ბურთს სწორედ თავი დაჰკრა და ბადეში გაახვია, 2:0. პირველ ტაიმში მილანელებმა კიდევ ერთხელ იხეირეს და ამჯერადაც რობინიომ გამოიჩინა თავი - ბრწყინვალედ მიიღო ბურთი, გაისწორა და საწყალი **მიკელე აგაცი** უშანსოდ დატოვა. მალევე **ანდრეა კოსუმ** გაქვითა ერთი ბურთი, **მარიო იეპესს** აუარა გვერდი და **კრისტიან აბიატის** კარის შორეული კუთხე დალაშქრა, 3:1.

მეორე ნახევარში თამაშის სურათი არ შეცვლილა, მილანელები სრულ უპირატესობას ფლობდნენ და 77-ე წუთზე კიდევ ერთი ბურთი „მიართვეს" მეტოქეს - **კლარენს ზეედორფი** მეკარესთან პირისპირ დარჩა და მარცხენა ფეხით უზუსტესად დაარტყა, 4:1. კიდევ თხუთმეტიოდე წუთი და დაიწყო ის, რისი ხილვაც ნამდვილად ერთ რამედ ღირდა - მილანელებმა კიდევ ერთხელ იზეიმეს მოგებული სკუდეტო და ამჯერად, კიდევ უფრო პომპეზურად და კიდევ უფრო მასშტაბურად. 85 000 გულშემატკივარი და მილიონობით ტელემაყურებელი ადევნებდა თვალს იმას, თუ როგორ გადასცეს თითოეულ ფეხბურთელს საჩემპიონო მედალი, როგორ აღმართა **მასიმო ამბროზინიმ** თასი, როგორ აიტაცეს კიდევ ერთხელ ხელში ალეგრი, როგორ გაიწუწნენ შამპანურით და რა თქმა უნდა, ულამაზესი შავ-წითელი ფეიერვერკი. კინაღამ დაგვავიწყდა - **კევინ-პრინს ბოატენგი მაიკლ ჯექსონის** ტანისამოსში გამოეწყო და პოპის მეფის ცნობილი ცეკვა მართლაც ბრწყინვალედ შეასრულა, რასაც გადაჭედილი „სან სირო" საოცარი ოვაციებით შეხვდა. ზეიმმა ქუჩებში გადაინაცვლა, „მილანი" ერთ ჭერგადახდილ ავტობუსში მოთავსდა და როგორც ტრადიციულად ხდება, მთელი ქალაქი შემოიარა. მოკლედ, ფიესტა შედგა, „მილანი" ჩემპიონია...

ფიესტაა ლეჩეშიც, რადგან ადგილობრივმა გუნდმა სერია A-ში ადგილის შენარჩუნება მოახერხა. დიახ, ეს იმას ნიშნავს, რომ „სამპდორია" ვერ გადაურჩა დაქვეითებას და მომდევნო სეზონს სერია B-ში გაატარებს. ბევრ ნეიტრალურ გულშემატკივარს დასწყდებოდა გული, რადგან „სამპა" ტრადიციული გუნდია, თუმცა რაც მოხდა, გენუელებმა თავის თავს უნდა დააბრალონ... პრეზიდენტმა **რიკარდო გარონემ** უამრავი შეცდომა დაუშვა და შედეგიც შესაბამისი მოიმკო - **ანტონიო კასანოსა და ჯამპაოლო პაცინის** გასხვისების შემდეგ, „სამპდორიას" ძალიან უჭირს შეტევაში და როდესაც გოლის გატანა გაქვს სადური საქმეა - ბოლო თხუთმეტ წუთში სიცილიელებმა ორჯერ გაუტანეს **ალეშანდრე დონის** და სეზონი მაჟორულ ნოტაზე დაასრულეს. ნამატჩევს **ვინჩენცო მონტელას** დანა პირს არ უხსნიდა, სწრაფად გაემართა გასახდელში და არც საპრესკონფერენციო ოთახში გამოჩენილა.

„უდინეზემ" და „ლაციომ" წყვილში მოიგეს და ბოლო ტურში გაარკვევენ თუ ვის ერგება ჩემპიონთა ლიგის საგზური. რომაელები „ლეჩეს" ესტუმრებიან და გამომდინარე აქედან, მათთვის ძალიან კარგია, რომ მომავალმა მეტოქემ უკვე დაიბევა ადგილი სერია ა-ში; აი „უდინეზე" კი „მილანს" მიიღებს, მართალია უმოტივაციოს, მაგრამ მაინც ჩემპიონს და ობიექტურად, უფრო ძლიერ მეტოქეს. ამ ყველაფერზე კიდევ არაერთხელ ვისაუბრებთ, დღეს კი აღვნიშნოთ, რომ



ზეიმი მილანში

ნატრელი, რაიმე შედეგზე საუბარი ზედმეტია. „სამპამ" „პალერმოსთან" წააგო სახლში, „ლეჩემ" გასვლაზე მოუგო „ბარის" და ყველაფერი დასრულდა...

ყველაფერი ჯერ არ დასრულებულა ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში, მაგრამ ორ კითხვას კი გაეცა პასუხი: ვერც „რომა" და ვერც „იუვენტუსი" ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირში ვერ იასპარეზებენ. „ბიანკონერის" შანსები ისედაც მიზერული იყო და „პარმასთან" მარცხიც არ გაკვირვებია არავის. აი რომაელთა „კატანიასთან" წაგებას კი ცოტა თუ ელოდა. არადა, **სიმონე ლორიას** გოლით სწორედ დედაქალაქელები დაწინაურდნენ და თითქოს არ უნდა გაჭირვებოდათ უმოტივაციო მეტოქესთან სამი ქულის აღება. თუმცა, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ფეხბურთში პროგნოზების კეთება უმადური საქმეა...

„ლაციომ" „ჯენოა" დაამარცხა დამაჯერებლად, „უდინეზემ" კი „კიევოს" არ დაუტოვა შანსები. ფრიულელთა თავკაცმა მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო, **ალექსის სანჩესი** თადარიგში დატოვა და გუნდი 3-5-1-1 ტაქტიკით განალაგა. ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი **ანტონიო დი ნატალე** გახლდათ, რომელმაც მართალია ვერ გაიტანა 29-ე გოლი, მაგრამ სამაგიეროდ **ისლამ და ასამოამ** იყოჩაღეს - შედეგად, უკანასკნელ ტურს „უდინეზე" სანუკვარ მეოთხე ადგილზე ხვდება.

**ბოლო ტური:**

22 მაისი: **ბოლონია-ბარი, პალერმო-კიევო, ინტერი-კატანია, ჯენოა-ჩეზენა, ბრეშა-ფიორენტინა, ლეჩე-ლაციო, უდინეზე-მილანი, კალიარი-პარმა, რომა-სამპდორია, იუვენტუსი-ნაპოლი.**

### ლაციო-ჯენოა 4:2

**ლაციო (4-2-3-1):** მუსლერა - ლიხტშტაინერი (62. სკალონი), ბიავა, სტენდარდო, გარიდო - ლედესმა, მათუზალემი (64. გონსალესი) - მაური, ერნანდესი, სარატე - როკი (83. ფლოკარი).

**ჯენოა (4-3-2-1):** ედუარდო - რეაფინია, დაინელი (62. მორეტი), ანტონელი, კრიშიტო - კუჩკა (67. დესტრო), როსი, მილანეტო (64. ველოზო) - პალასიო, ფლორო ფლორესი - ბოზელი.

**გოლები:** 1:0 ბიავა (7), 1:1 პალასიო (12), 2:1 როკი (52), 3:1 ერნანესი (56), 4:1 ერნანესი (66), 4:2 ფლორო ფლორესი (89).

**გაფრთხილება:** დესტრო (ჯენოა).

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 7-7; **თამაშგარე:** 1-6; **კარში დარტყმა:** 9(6)-12(5); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 27 000

### მილანი-კალიარი 4:1

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი - აბატე, იეპესი, ტიაგო სილვა, ძამბროტა - გატუზო (61. ფლამინი), ამბროზინი (46. პირლო), ემანუელსონი - ზეედორფი - რობინიო, პატო (82. ინძაგი).

**კალიარი (4-3-2-1):** აგაცი - პერიკო (79. არიაუდო), კანინი, ასტორი, აგოსტინი - ბიონდინი, ნაინგოლანი, ლაძარი - მისიროლი (59. რაგაცუ), კოსუ (90. ჩეპელინი) - აკვაფრესკა.

**გოლები:** 1:0 რობინიო (22), 2:0 გატუზო (24), 3:0 რობინიო (35), 3:1 კოსუ (38), 4:1 ზეედორფი (77).

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 15-7; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 9(9)-15(3); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 85 000

### ფიორენტინა-ბოლონია 1:1

**ფიორენტინა (4-3-1-2):** ფრეი - დე სილვესტრი, გამბერინი, კროლდრუპი, პასკუალი (87. ლიაიჩი) - მონტოლივო, ბეჰრამი, ვარგასი - ჩერჩი (56. ნატალი) - მუტუ, ჯილარდინო (42. სანტანა).

**ბოლონია (4-3-1-2):** ვივიანო - ბრიტოსი, პორტანოვა, მორასი (46. რამირესი), ჩერუბინი - პერესი, მუდინგაი, კაზარინი - დელა როკა - პაპონი (72. ხიმენესი), დი ვაიო (84. მუტარელი).

**გოლები:** 1:0 ჩერჩი (20), 1:1 რამირესი (50).

**გაფრთხილება:** სანტანა - ბრიტოსი, ჩერუბინი.

**გაძევება:** კროლდრუპი (54) - რამირესი (80).

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 23-13; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 10(2)-7(3); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 26 000

### ბარი-ლეჩე 0:2

**ბარი (4-3-1-2):** ჟილე - ბელმონტე, პარიზი (61. რივასი), ა. მაზიელო, როსი - გაცი, კოპუნეკი, დონატი - ბენტივოლიო - ჰუსეკლეპი, რომერო (31. ალვარესი).

**ლეჩე (4-4-2):** როზატი - ტომოვიჩი, გუსტავო, ფაბიანო, მესბა - ბერტოლაჩი (34. მუნარი), ვივესი, ოლივერა (40. ბრივიო), ჯაკომაცი - ჯედა, დი მიკელე.

**გოლები:** 0:1 ჯედა (52), 0:2 ჯედა (79).

**გაფრთხილება:** პარიზი - ტომოვიჩი, ბერტოლაჩი.

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 8-9; **ჯარიმა:** 16-8; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 7(2)-10(6); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 15 000

### კატანია-რომა 2:1

**კატანია (4-3-3):** ანდუხარი - სილვესტრი, პოტენცა, სპოლი (30. ტერლიცი - 67. ლოდი), კაპუანო - ლედესმა, კარბონი, ბიაჯანტი (53. რიკიუტი) - ბერგესიო, მაქსი ლოპესი, გომესი.

**რომა (4-4-2):** დონი - კასეტი, ჟუანი (5. ლორია), ნ. ბურდისო, რიისე - როზი, სიმპლისიო, ტადეი, გრეკო (60. პიზარო) - ტოტი, ბორიელო (46. ვუჩინიჩი).

**გოლები:** 0:1 ლორია (14), 1:1 ბერგესიო (78), 2:1 გომესი (90).

**გაფრთხილება:** ტერლიცი - როზი, სიმპლისიო, გრეკო.

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 22-12; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 17(7)-5(3); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 15 000

### ჩეზენა-ბრეშა 1:0

**ჩეზენა (4-3-3):** ანტონიოლი - ფელიპე, პელეგრინო, ჩეკარელი, ლაურო (48. სანტონი) - სამარკო, პაროლო, კაზერტა (90. კოლუჩი) - ხიმენესი (87. მალონგა), ჯაკერინი, ბუდანი.

**ბრეშა (3-5-2):** ლეალი - ძობოლი, ბერარდი (69. ძებინა), ბეგა - ძამბელი, კონე, დაპრელა, ჰეტემაი, ვასი (61. ა. ფილიპინი) - ჯონატასი (64. ედერი), კარაჩოლო.

**გოლი:** 1:0 ჯაკერინი (60).

**გაფრთხილება:** ფელიპე, კაზერტა - ძობოლი, ჰეტემაი.

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 12-14; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 12(5)-4(0); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 16 000

### კიევო-უდინეზე 0:2

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო - ფრეი, ცეზარი, მანდელი, იოკიჩი (62. კონსტანტი) - ფერნანდესი, გუანა, მარკოლინი - დიმიტრევიჩი (74. პულცეტი) - პელისიერი, თერეუ (55. მოსკარდელი).

**უდინეზე (3-5-1-1):** ჰანდანოვიჩი - ბენეტია, ზაპატა, დომიცი - ინლერი, ისლა, არმერო, პინცი, ასამოა - აბდი (65. კორადი) - დი ნატალე (85. პასკუალე).

**გოლები:** 0:1 ისლა (28), 0:2 ასამოა (75).

**გაფრთხილება:** კონსტანტი - აბდი.

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 3-12; **ჯარიმა:** 8-12; **თამაშგარე:** 0-6; **კარში დარტყმა:** 8(4)-16(6); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 12 000

### პარმა-იუვენტუსი 1:0

**პარმა (4-4-2):** მირანტე - პალეტა, ლუკარელი, ძაკარდო, გობი - მორონე (86. ნვანკო), მოდესტო, ჯემაილი, ვალიანი (71. ანჯელო) - ჯოვინკო, ბოჟინოვი (67. კანდრევა).

**იუვენტუსი (4-4-2):** ბუფონი - მოტა, კიელინი, ბარცალი, გროსო - მელო, ჯანდონატო (53. ტრაორე), პეპე (72. სალიჰამიჯიჩი), მარტინესი (66. ტონი) - დელ პიერო, მატრი.

**გოლები:** 1:0 ჯოვინკო (64).

**გაფრთხილება:** მორონე, ჯემაილი - მოტა, სალიჰამიჯიჩი.

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 16-15; **თამაშგარე:** 10-3; **კარში დარტყმა:** 6(3)-15(4); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 30 000

### სამპდორია-პალერმო 1:2

**სამპდორია (4-4-2):** და კოსტა - ლაუკო, ძაური, ლუკინი (20. გასტალდელო), ვოლტა - პალომბო, გუბერტი, ბიაბიანი, ტისონე (81. პოლი) - მაკარონე, პოცი.

**პალერმო (4-3-1-2):** ბენუსი - დარმიანი (78. ბოვო), მუნოზი, კასანი, დარმიანი - მილიაჩო, ნოჩერინო, ლივერანი (61. ბაჩინოვიჩი) - ილიჩიჩი - მიკოლი (54. პინილია), ერნანდესი.

**გოლები:** 0:1 მიკოლი (45), 1:1 ბიაბიანი (50), 1:2 პინილია (86).

**გაფრთხილება:** პალომბო, გასტალდელო - დარმიანი, ერნანდესი, ბაჩინოვიჩი.

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 14-7; **ჯარიმა:** 20-15; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 10(5)-2(5); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 25 000

### ნაპოლი-ინტერი 1:1

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანკტისი - კამპანიარო, არონიკა, კანავარო - მაჯო, გარგანო, პაციენცა, დოსენა (83. ვიტალე) - ჰამშიკი (78. სოსა), ცუნიგა (70. იებდა) - ლავეცი.

**ინტერი (4-3-1-2):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, რანოკია (77. სამუელი), მატერაცი, ნაგატომო - ძანეტი, კამბიასო (75. მარიგა), ხარჯა - მოტა - ეტოო (60. პაცინი), მილიტო.

**გოლები:** 0:1 ეტოო (15), 1:1 ცუნიგა (45).

**გაფრთხილება:** ცუნიგა (ნაპოლი).

**გაფრთხილება:** 1-0; **კუთხური:** 1-4; **ჯარიმა:** 7-7; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 12(7)-3(2); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 55 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 37 | 24 | 9 | 4 | 65-24 | 81 |
| 2. ინტერი | 37 | 22 | 7 | 8 | 66-41 | 73 |
| 3. ნაპოლი | 37 | 21 | 6 | 10 | 57-37 | 69 |
| 4. უდინეზე | 37 | 20 | 5 | 12 | 65-43 | 65 |
| 5. ლაციო | 37 | 19 | 6 | 12 | 51-37 | 63 |
| 6. რომა | 37 | 17 | 9 | 11 | 56-51 | 60 |
| 7. იუვენტუსი | 37 | 15 | 12 | 10 | 55-45 | 57 |
| 8. პალერმო | 37 | 17 | 5 | 15 | 57-60 | 56 |
| 9. ფიორენტინა | 37 | 12 | 14 | 11 | 47-42 | 50 |
| 10. ჯენოა | 37 | 13 | 9 | 15 | 42-45 | 48 |
| 11. კატანია | 37 | 12 | 10 | 15 | 39-49 | 46 |
| 12. პარმა | 37 | 11 | 12 | 14 | 38-46 | 45 |
| 13. კალიარი | 37 | 12 | 8 | 17 | 43-50 | 44 |
| 14. ჩეზენა | 37 | 11 | 10 | 16 | 36-47 | 43 |
| 15. კიევო | 37 | 10 | 13 | 14 | 35-39 | 43 |
| 16. ბოლონია | 37 | 11 | 12 | 14 | 35-48 | 42 |
| 17. ლეჩე | 37 | 11 | 8 | 18 | 44-62 | 41 |
| 18. სამპდორია | 37 | 8 | 12 | 17 | 32-46 | 36 |
| 19. ბრეშა | 37 | 7 | 10 | 20 | 32-50 | 31 |
| 20. ბარი | 37 | 4 | 9 | 24 | 23-56 | 21 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს სამი ქულა*

| 15 ინდეპენდიენტე | 13 | 3 | 7 | 3 | 17-15 | 16 |
| 16. ხიმნასია | 14 | 3 | 6 | 5 | 15-18 | 15 |
| 17. არსენალი | 14 | 3 | 5 | 6 | 18-19 | 14 |
| 18. კილმესი | 14 | 3 | 4 | 7 | 18-23 | 13 |
| 19. ურაკანი | 14 | 2 | 5 | 7 | 14-27 | 11 |
| 20. ნიუელსი | 14 | 2 | 2 | 10 | 13-30 | 8 |

## ბრაზილია
### პაულისტა A1
ფინალი

სანტოსი-კორინთიანსი 2:1

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩილე
XVI ტური

უნ. კონსეპსიონი-ს. მორნინგი 2:1
პალესტინო-უაჩიპატო 1:0
ო'ჰიგინსი-უონდერერსი 1:1
კოლო კოლო-დეპ. იკიკე 1:1
ლა კალერა-ატ. ნუბლენსე 2:0
უნ. კატოლიკა-უნ. დე ჩილე 2:2
კობრელოა-ლა სერენა 3:3
კობრესალი-სან ფელიპე 1:2
აუდაქსი-უნ. ესპანიოლ გვ. დასრულდა

## კოლუმბია
XVII ტური

ჩიკო-ატ. უილა 3:0
იტაგუი-ონსე კალდასი 0:1
დეპ. პერეირა-ატ. ნასიონალი 0:2
დეპ. ტოლიმა-ლა ეკიდადი 2:0
დეპ. კინდიო-ენვიგადო 3:3
ინდეპენდიენტე-კუკუტა 2:3
მილიონარიოსი-სანტა ფე 1:1
რეალ კარტახენა-ამერიკა 3:0
დეპ. კალი-ატ. ხუნიორი გვ. დასრულდა

## ეკვადორი
XVIII ტური

ლიგა დე ლოხა-ინდეპენდიენტე 3:2
ელ ნასიონალი-იმბაბურა 1:2
ესპოლი-დეპ. კიტო 0:3
დეპ. კუენკა-ოლმედო 2:1
მანტა-ლდუ კიტო 1:1
ემელეკი-ბარსელონა გვ. დასრულდა

## პარაგვაი
XIX ტური

3 დე ფებრერო-რუბიო ნუ 2:2
ინდეპენდიენტე-გუარანი 0:0
სოლ დე ამერიკა-ლუკენო 1:1
ხენერალი-სერო პორტენიო 1:0
ნასიონალი-ლიბერტადი 1:2
ოლიმპია-ტაკუარი 0:0

## პერუ
XIII ტური

სესარ ვალიეხო-უნიონი 1:1
კოლეგიო-სენსიანო 0:2
მელგარი-სპორტ ბოისი 0:1
სპორტი-ალ. ლიმა 0:2
ლეონი-ალ. ატლეტიკო 4:0
დ. სან მარტინი-სპ. კრისტალი 1:1
ხუან აურიჩი-ინტი გასი გვ. დასრულდა
უნივერსიტ-დ. კობრეს გვ. დასრულდა

## ურუგვაი
გადადებული მატჩი

პენიაროლი-რივერი 1:4

## ვენესუელა
XVII ტური

დეპ. ტაჩირა-დეპ. პეტარე 1:2
ატლეტიკო-დეპ. ლარა 0:4
კარაბობო-მინეროსი 0:2
კარაკასი-სამორა 0:1
ესტუდიანტესი-არაგუა 0:0
მონაგასი-ელ ვიხია 3:1
ტრუხილანოსი-ანსოატეგი 2:0
იარაკუიანოსი-რეალ ესპორი 1:2
კარონი-სულია გადაიდო

## მექსიკა
### პლეი ოფი
პუმასი-გვადალახარა 2:0
მორელია-კრუს ასული გვ. დასრულდა

## აშშ
IX ტური

ტორონტო-ჩიკაგო 2:2
დი სი იუნაიტედი-კოლორადო 1:1
ნიუ ინგლენდი-ვანკუვერი 1:0
დალასი-ფილადელფია 2:0
სოლტ ლეიკი-ჰიუსტონი 0:0
ლოს ანჯელესი-კანზასი 4:1
სან ხოსე-კოლამბუსი 3:0
სიეტლი-პორტლენდი 1:1
ნიუ იორკი-ჩივასი გვ. დასრულდა

## იაპონია
XI ტური

ვეგალტა-ივატა 3:3
შიმიძუ-კობე 1:5
ჰიროშიმა-იოკოჰამა 3:2
იამაგატა-ომიია 0:1
ნიიგატა-კაშივა 0:3
კოფუ-ნაგოია 3:1
ურავა-სერეზო 1:1
ფუკუოკა-გამბა 2:3
კავასაკი-კაშიმა 3:2

## აზერბაიჯანი
### საჩემპიონო ზონა
IX ტური

ყარაბაღი-ნეფთჩი 3:0
ხაზარი-ბაქო 2:0
ინტერი-აზალ 0:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნეფთჩი | 9 | 5 | 3 | 1 | 52-16 | 66 |
| 2. ხაზარი | 9 | 2 | 6 | 1 | 37-17 | 59 |
| 3. ყარაბაღი | 9 | 4 | 4 | 1 | 40-19 | 58 |
| 4. აზალ | 9 | 3 | 1 | 5 | 33-27 | 46 |
| 5. ინტერი | 9 | 0 | 6 | 3 | 28-24 | 46 |
| 6. ბაქო | 9 | 1 | 4 | 4 | 33-31 | 40 |

## ევრო 2011
### UNDER 17
ფინალი

ჰოლანდია-გერმანია 5:2

გერმანია. ბუნდესლიგა. ბოლო ტური

# ქირი იქა, ლხინი აქა

## დორტმუნდელებს მგლოვიარე დაუმი შემოეწუწათ...

ასეთ მომენტში სასწაულები იშვიათად ხდება ხოლმე: როგორც მოსალოდნელი იყო, „ზანკტ პაულისთან“ ერთად, ბუნდესლიგას ფრანკფურტის „აინტრახტი“ დაემშვიდობა. დორტმუნდში განცდილმა მარცხმა (1:3) ფრანკფურტი მინიმუმ ერთი წლით ელიტური ფეხბურთის გარეშე დატოვა. ამრიგად, **კრისტოფ დაუმმა**, რომელიც მთავარი მწვრთნელის პოსტზე სეზონის მინურულს დანიშნეს, გუნდის გადარჩენა ვერ შეძლო და ეს არის პირველი შემთხვევა 57 წლის სპეციალისტის სამწვრთნელო კარიერაში - დაუმი მეორე ბუნდესლიგაში აქამდე არასდროს გავარდნილა.

*„გაოგნებული ვარ. არ მეგონა, თუ გავარდებოდით... მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ზუსტად ვიცი, „აინტრახტის“ ადგილი პირველ ბუნდესლიგაშია,“* - თქვა იმედგაცრუებულმა დაუმმა მატჩის შემდეგ და რაც შეეხება მის მომავალს: *„ეს საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა. „აინტრახტთან“ ისეთი კონტრაქტი მაქვს გაფორმებული, რომ გადაწყვეტილება მხოლოდ ჩემზე არ არის დამოკიდებული. არც ის მინდა, რომ გუნდს ისეთი მწვრთნელი ჰყავდეს, რომელიც არ უნდა.“*

უფრო გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, „აინტრახტის“ გავარდნით დაუმის კონტრაქტი ივლისის ბოლოს ავტომატურად უქმდება. კრისტოფმა ჯერ თვითონაც არ იცის, უნდა თუ არა ფრანკფურტულ კლუბში დარჩენა და მომავალ სეზონში ელიტაში დაბრუნებისთვის ბრძოლა. მაგალითად, საფეხბურთო გერმანიის ნომერ პირველი ექსპერტი **ფრანც ბეკენბაუერი** ფიქრობს, რომ კრისტოფისა და „აინტრახტის“ თანამშრომლობა, რაც ძალიან ცოტა ხანს გაგრძელდა, აუცილებლად დამთავრდება - არა მგონია, რომ კრისტოფმა მეორე ბუნდესლიგა იკადროსო.

ერთი სიტყვით, 1996, 2001 და 2004 წლების შემდეგ, „აინტრახტი“ მეორე ბუნდესლიგაში კიდევ ერთხელ დაქვეითდა. პარადოქსი ისაა, რომ ფრანკფურტელებმა ამ სეზონის პირველი წრე საკმაოდ კარგად ჩაატარეს, მეშვიდე ადგილზე გამოიზამთრეს და სეზონის მეორე ნახევრისთვის სულაც ევროპის ლიგის საგზურზე ოცნებოდნენ. მეორე წრეში კი გუნდმა დაუჯერებელი რეგრესი განიცადა და ვერც მწვრთნელის შეცვლამ უშველა: მხოლოდ ერთი მოგება, ბურთების შეფარდება 7:28 და მხოლოდ 8 ქულა - ასეთია „აინტრახტის“ მონაგარი მეორე წრეში. დაუმის ხელში კი „აინტრახტმა“ ერთი თამაშის მოგებაც ვერ შეძლო.

*„ეს კატასტროფაა, მაგრამ რეალობას უნდა შევეგუოთ. მომავალი სეზონისთვის მზადება ახლავე უნდა დავიწყოთ. გულშემატკივრებს ვპირდები, რომ „აინტრახტი“ ელიტაში ძალიან ძლიერი გუნდით, აუცილებლად დაბრუნდება,“* - ეს გუნდის მთავარი ბოსის, **ჰერიბერტ ბრუხჰაგენის** სიტყვებია.

იმ დროს, როცა ფრანკფურტელი ფეხბურთელები ცრემლებს ვერ იკავებდნენ, მთელი დორტმუნდი უდიდეს ზეიმს მიეცა. „ბორუსიას“ თავკაც **იურგენ კლოპს** საფინალო სასტვენიდან სტადიონის დატოვებამდე ტანსაცმლის გამოცვლა სამჯერ მოუხდა, ამის მიზეზი კი რთული გამოსაცნობი არ უნდა იყოს - ფეხბურთელებმა კლოპს სამჯერ გადაავლეს ლუდის შხაპი. უშუალოდ მატჩის შემდეგ კი, BVB-მ „ვერცხლის სინი“ ჩაიბარა - „შავ-ყვითლები“ მეშვიდედ გახდნენ გერმანიის ჩემპიონები. როცა კაპიტანმა **რომან ვაიდენფელერმა** სინი ალმართა, „ვესტფალენშტადიონი“ ფანების გამაყრუებელმა კიჟინამ მოიცვა - ტრიბუნებზე 80 000 ფანი იყო, სტადიონთან კი 150 000 ქომაგი ზეიმობდა.

მოგვიანებით, ფეხბურთელები კლოპს და „ბორუსიას“ მენეჯერ **ჰანს-იოახიმ ვატცკეს** პრესკონფერენციაზე შეუვარდნენ და იქაც ლუდით წუწაობა მოაწყვეს, მანამდე კი, გასახდელისკენ მიმავალმა **პატრიკ ოვომოიელამ** შემთხვევით „აინტრახტის“ თავკაცი დაუმიც გაწუწა - ამ უკანასკნელს დანა პირს არ უხსნიდა, რის გამოც ოვომოიელას შეუტია, პატრიკმა კი ბოდიში მოუხადა. დორტმუნდელებმა იმდენიც ქნეს, რომ მსაჯების ოთახში შეალწიეს და არბიტრ **გაგელმანსაც** გადაავლეს ლუდი. მოკლედ, ამ შაბათ-კვირას დორტმუნდში ნამდვილი საგიჟეთი იყო - მთელი ქალაქი ზეიმობდა. კვირას, ჩემპიონებმა ქუჩებში მსვლელობა მოაწყვეს და „ვერცხლის სინთან“ ერთად პოზიორობდნენ. ოფიციალური მონაცემებით, „ბორუსიას“ ჩემპიონობა ამ არცთუ ისე დიდი ქალაქის ქუჩებში 400 000-მდე ფანმა იზეიმა.

მოკლედ, ესეც ასე: ბუნდესლიგა 2010-2011 ისტორიას ჩაბარდა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველამ მიიღო ის, რაც დაიმსახურა. დორტმუნდის „ბორუსია“ ბუნდესლიგის ისტორიაში ერთერთი ყველაზე ღირსეული ჩემპიონია - BVB სექტემბრიდან ჩემპიონთა ლიგაში ჩაერთვება და ძალიან საინტერესოა, როგორ ითამაშებენ კლოპის „პატარა ბიჭები“ ევროპის ელიტურ საკლუბო ლიგაში.



ვერცხლის სინი ბორუსიას მეკარემ და კაპიტანმა რომან ვაიდენფელერმა ალმართა

მიუნხენის „ბაიერნი“ აშკარად ცუდ შეფასებას იმსახურებს - მიუხედავად იმისა, რომ რეკორდმაისტერმა მესამე ადგილის დაკავება და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებით, პროგრამა მინიმუმის შესრულება შეძლო. „ბაიერნს“ პოტენციალით ყველაზე უკეთესი შემადგენლობა ჰყავდა და **რობენის, რიბერის, შვაინშტაიგერისა** და **ლამის** გუნდს მესამე ადგილს კარგ შედეგად ვერ ჩავუთვლით. მიუნხენელთა ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც ქებას იმსახურებს, თავდამსხმელი **მარიო გომესია**, რომელიც 28 გოლით საუკეთესო ბომბარდირი გახდა და „კიკერის“ ოფიციალური პრიზი, ბომბარდირისთვის განკუთვნილი ზარბაზანი გუშინვე ჩაიბარა.

აი, „ლევერკუზენისთვის“ კი, ვიცე-ჩემპიონობა ნამდვილად კარგი შედეგია, რისთვისაც **მიხაელ ბალაკი** და კომპანია უდავოდ აპლოდისმენტებს იმსახურებენ. ტაშს ნაღდად ვერ დავუკრავთ იმ მწვრთნელებს, რომლებიც ერთი წლის წინ იდეალურ სპეციალისტებად მიიჩნეოდნენ, წელს კი კრახი განიცადეს: ვგულისხმობთ **ლუის ვან გაალს**, რომელიც „ბაიერნიდან“ გააგდეს და **ფელიქს მაგათსაც**, რომელიც „შალკედან“ დაიფრინეს. მართალია, ეს უკანასკნელი „ვოლფსბურგში“ დაბრუნდა და „მგლების“ ელიტიდან გავარდნა არ დაუშვა, მაგრამ ეს ვერაფერი შეღავათია. დაუმზე ზემოთაც ვისაუბრეთ. მოკლედ, ამ სეზონმა დაადასტურა მოსაზრება იმის შესახებ, რომ მომავალი კლოპის და „მაინცის“ თავკაც **თომას ტუხელის** დარი მწვრთნელებისაა. თუმცა ის ამბავი, რომ მომავალ სეზონში „ბაიერნს“ **იუპ ჰაინკესი** გაწვრთნის, ამ მხრივ დიდ ინტრიგას ტოვებს. იქნებ მაგათმაც შეძლოს თავისი „ვოლფსბურგით“ ქვესკნელიდან ამოსვლა.

უდავოდ საუკეთესო შეფასებას იმსახურებენ გულშემატკივრებიც, რომლებიც ამ სეზონში სტადიონებს სტუმრობდნენ. ბუნდესლიგაში დასწრება ისევ ყველაზე მაღალი იყო მთელი ევროპის მასშტაბით და მთელი სეზონის განმავლობაში მხოლოდ ორი სკანდალი მოხდა. თუმცა ნამდვილად ალიბია ის, რომ ორივე შემთხვევაში მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებული გუნდების, „აინტრახტისა“ და „ზანკტ პაულის“ ფანები აიჭრნენ.

ამ სეზონმა რამდენიმე ფეხბურთელის ნამდვილი სახეც გამოააშკარავა. მაგალითად, ჰოფენჰაიმელი **დემბა ბა** ზამთარში ძალიან უნამუსოდ მოიქცა და მერე ინგლისში გაიქცა. ბოლო ტურში კი, „ვოლფსბურგის“ ბრაზილიელმა გამთამაშებელმა **დიეგომ** თავის გუნდსა და მწვრთნელ მაგათს ბოიკოტი გამოუცხადა - ეს იმ დროს, როცა მის თანაგუნდელებს ელიტაში დარჩენა ჯერ კიდევ არ ჰქონდათ განაღდებული. დიეგოს ბოიკოტის მიზეზი ის გახლდათ, რომ მაგათი მის ძირითად შემადგენლობაში გამწესებას არ აპირებდა. ეგოისტმა ბრაზილიელმა კი სათადარიგოთა სკამზე დაჯდომა იუარა და თამაშზე საერთოდ არ მისულა. ფაქტია, დიეგოს „ვოლფსბურგში“ მომავალი აღარ აქვს. თუ მაგათმა ის ვერ გაყიდა, ორი აზრი არ არსებობს: 2014 წლამდე (ანუ, კონტრაქტის ამოწურვამდე) მოყვარულებში ათამაშებს, პირველ გუნდს კი ნაღდად არ გააკარებს.

ბუნდესლიგა დამთავრდა, გერმანული სეზონი კი ჯერ არ მორჩენილა. წინ გერმანიის თასის ფინალია, რომელშიც ერთმანეთს „შალკე“ და „დუისბურგი“ დაუპირისპირდებიან. და რელეგაცია, ანუ, ბრძოლა პირველი ბუნდესლიგის საგზურისთვის, რომელშიც ერთმანეთს ელიტაში ბოლოდან მესამე ადგილზე გასული „გლადბახი“ და მეორე ბუნდესლიგის მესამეადგილოსანი „ბოხუმი“ შეხვდებიან.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### თურქეთი

სუპერლიგა. XXXIII ტური

**ანთალია-ქარაბიუქი 1:2**

**გოლები:** 1:0 ათესი (1), 1:1 კოელიო (68), 1:2 კოელიო (87)

**კონია-სივასი 1:1**

**გოლები:** 1:0 გრაიჩარი (57), 1:1 საიატე (90-საკ. კარში)

**მანისა-ბუკა 4:2**

**გოლები:** 0:1 მენდი (24), 1:1 გოკოგლანი (45), 1:2 მ. აიდინი (71), 2:2 მაკუკულა (75), 3:2 მ. ერდოღანი (78), 4:2 სიმპსონი (90)

**გენჩლერბირლიგი-გალათასარაი 2:3**

**გოლები:** 1:0 ე. აიგიუნი (27), 1:1 კუელი (44), 1:2 კულიო (47), 2:2 ე. აიგიუნი (79), 2:3 კაზიმ-რიჩარდსი (86)

**ქაისერი-გაზიანთეფი 1:2**

**გოლები:** 0:1 ო. ადინი (63), 1:1 თურაჩი (80), 1:2 ჩეილანი (84)

**კასიმფაშა-ბურსა 0:3**

**გოლები:** 0:1 ოზთურქი (12), 0:2 ბაჰადირი (50), 0:3 პაში (80)

**ტრაბზონი-ბუიუქშეჰირი 3:1**

**გოლები:** 1:0 ბროძეკი (5), 2:0 ბ. ილმაზი (9), 3:0 ჯაჯა (45), 3:1 ჰოლმენი (58)

**ფენერბაჰჩე-ანკარაგიუჯუ 6:0**

**გოლები:** 1:0 ალექსი (26-პენ), 2:0 ალექსი (30-პენ), 3:0 ალექსი (48-პენ), 4:0 ირთეგუნი (74), 5:0 ალექსი (83), 6:0 ალექსი (90)

**ბეშიქთაში-ესქიშეჰირი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფენერბაჰჩე | 33 | 25 | 4 | 4 | 80:31 | 79 |
| 2. ტრაბზონი | 33 | 24 | 7 | 2 | 65:23 | 79 |
| 3. გაზიანთეფი | 33 | 17 | 7 | 9 | 44:33 | 58 |
| 4. ბურსა | 33 | 16 | 10 | 7 | 49:29 | 58 |
| 5. ბეშიქთაში | 32 | 14 | 8 | 10 | 50:35 | 50 |
| 6. ქაისერი | 33 | 14 | 8 | 11 | 43:41 | 50 |
| 7. ესქიშეჰირი | 32 | 11 | 11 | 10 | 36:37 | 44 |
| 8. ქარაბიუქი | 33 | 12 | 8 | 13 | 46:49 | 44 |
| 9. გალათასარაი | 33 | 13 | 4 | 16 | 39:46 | 43 |
| 10. მანისა | 33 | 13 | 3 | 17 | 49:52 | 42 |
| 11. ანკარაგიუჯუ | 33 | 10 | 11 | 12 | 50:59 | 41 |
| 12. ბუიუქშეჰირი | 33 | 12 | 5 | 16 | 40:45 | 41 |
| 13. გენჩლერბირ. | 33 | 10 | 10 | 13 | 43:50 | 40 |
| 14. ანთალია | 33 | 9 | 12 | 12 | 38:46 | 39 |
| 15. სივასი | 33 | 8 | 11 | 14 | 40:53 | 35 |
| 16. ბუკა | 33 | 6 | 7 | 20 | 34:62 | 25 |
| 17. კონია | 33 | 4 | 12 | 17 | 28:47 | 24 |
| 18. კასიმფაშა | 33 | 5 | 8 | 20 | 31:67 | 23 |

**ბომბარდირები:** 22 - ალექსი (ფენერბაჰჩე); 18 - ბ. ილმაზი (18), 15 - ნიანგი (ფენერბაჰჩე); 14 - ემენიკე (ქარაბიუქი).

### ბაიერნი-შტუტგარტი 2:1

**ბაიერნი (4-2-3-1):** ბუტი - ლამი, ვან ბუიტენი, ბადშტუბერი, კონტენტო - ტიმოშჩუკი (65. ოტლი), შვაინშტაიგერი - რობენი, კლოზე (65. კროოსი), თ. მიულერი - გომესი (87. პრანიჩი).

**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი - ბულარუზი, ტასკი, ნიდერმაიერი, ბოკა - ტრეში (85. დიდავი), კუზმანოვიჩი - ჰარნიკი, ჰაინალი (82. გენტნერი), ოკაზაკი - პოგრებნიაკი (78. შიპლოკი).

**გოლები:** 0:1 ოკაზაკი (24), 1:1 გომესი (37), 2:1 შვაინშტაიგერი (71)

**გაფრთხილება:** კლოზე, ვან ბუიტენი - ბოკა, ნიდერმაიერი

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 17-21; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 10(5)-10(5); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 69 000

### ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი 1:3

**ჰოფენჰაიმი (4-2-3-1):** შტარკე - ბეკი, იაისლე, კომპერი, ბრააფჰაიდი (84. კაიზერი) - რუდი, ალაბა - რობერტო ფირმინიო, სიგურდსონი (84. ობასი), ბაბელი - მლაპა (76. იბიშევიჩი).

**ვოლფსბურგი (4-1-2-1-2):** ბენალიო - ჰასებე, კიაერი, ა. ფრიდრიხი, მ. შეფერი - მადლუნგი (61. დეჟაგა) - რიტერი, ჟოსუე - კალენბერგი (57. სისერო) - მანჯუკიჩი (87. ჯონსონი), გრაფიტე.

**გოლები:** 1:0 რობერტო ფირმინიო (49), 1:1 მანჯუკიჩი (60), 1:2 მანჯუკიჩი (73), 1:3 გრაფიტე (78)

**გაფრთხილება:** მადლუნგი

**კუთხური:** 7-7; **ჯარიმა:** 11-17; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 17(4)-20(6); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 30 150

### ჰანოვერი-ნიურნბერგი 3:1

**ჰანოვერი (4-2-2-2):** ცილერი - ჩერუნდოლო, ჰაგი, პოგატეცი, კ. შულცი - ლალა (58. შმიდებახი), პინტუ - შტინდლი, რაუში (85. ჯაპკა) -ია კონანი, შლაუდრაფი (88. ფორსელი).

**ნიურნბერგი (4-2-3-1):** რ. შეფერი - ჩანდლერი, ნილსონი, ვოლშაიდი, პლატენჰარდტი (46. პინოლა) - სიმონსი, ექიჩი - ჰეგელერი, ვაისმაიერი (56. მინტალი), აიგლერი - შიბერი (17. მაკი).

**გოლები:** 0:1 ვაისმაიერი (25), 1:1 ჰაგი (30), 2:1 რაუში (60), 3:1 ია კონანი (78-პენ)

**გაფრთხილება:** ჩერუნდოლო, ია კონანი - ვოლშაიდი, სიმონსი

**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 22-23; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 20(5)-9(2); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 49 000

### ბორუსია (დ)-აინტრახტი 3:1

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, ფელიპე სანტანა, ჰუმელსი, შმელცერი - მ. გიოტცე (87. ფოილნერი), და სილვა - ბლაშჩიკოვსკი (87. კაგავა), ლევანდოვსკი, გროსკროიტცი (73. დედე) - ბარიოსი.

**აინტრახტი (4-2-3-1):** ფერმანი - ს. იუნგი, ვასოსკი, რუსი, კიოლერი (20. ჰალილ ალთინთოფი) - როდე (79. ტიჩ-რივერო), შვეგლერი (86. მ. ჰელერი) - ოხსი, კაიო, ფენინი - გეკასი.

*მე-12 წუთზე ბარიოსმა (ბორუსია) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

*81-ე წუთზე დედემ (ბორუსია) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გოლები:** 0:1 როდე (46), 1:1 ბარიოსი (68), 2:1 რუსი (72-საკ. კარში), 3:1 ბარიოსი (90)

**გაფრთხილება:** ბარიოსი - კიოლერი, ფენინი

**გაძევება:** რიჩ-რივერო (80. აინტრახტი)

**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 9-10; **თამაშგარე:** 6-2; **კარში დარტყმა:** 18(11)-9(3); **ბურთის ფლობა:** 66%-34%.

**მაყურებელი:** 80 720

### ჰამბურგი-ბორუსია (მ) 1:1

**ჰამბურგი (4-2-2-2):** როსტი - დიკმაიერი (85. ბენჯამინი), კაჩარი, ვესტერმანი, აოგო - ტეშე, ზე რობერტო (68. ვან ნისტელროი) - რინკონი, ელია - ბენ-ჰატირა, გერერო (37. პიტროიპა).

**ბორუსია მ. (4-2-2-2):** ტერ შტეგენი - იანტშკე, შტრანცლი, დანტე, დემსი - ნორდტვეიტი, ნოიშტედტერი - როისი, არანგო - ჰანკე (74. დე კამარგო), იდრისუ.

**გოლები:** 0:1 არანგო (41), 1:1 ბენ-ჰატირა (71)

**გაფრთხილება:** ბენ-ჰატირა - არანგო, შტრანცლი

**კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 8-10; **თამაშგარე:** 7-2; **კარში დარტყმა:** 16(4)-9(3); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 57 000

### მაინცი-ზანკტ პაული 2:1

**მაინცი (4-2-3-1):** ვეტკლო - ბუნგერტი, სვენსონი, ნოვესკი (43. კალიჯური), ფათი - კირხჰოფი, სოტო - ჰოლტბი, ივანშიტცი (75. რისსე), შიურლე - ფ. ჰელერი (46. ალაგუი).

**ზანკტ პაული (4-2-2-1-1):** კესლერი - გიუნეში, მორენა (74. ეგერი), თორანდტი, კალა (66. ლეხნერი) - დაუბე (84. ფილიპოვიჩი), მ. ლემანი - ბრუნსი, ბარტელსი - მ. კრუსე - ებერსი.

**გოლები:** 0:1 მ. ლემანი (42), 1:1 შიურლე (58-პენ), 2:1 ალაგუი (82)

**გაფრთხილება:** ბრუნსი, ეგერი

**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 11-13; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 19(7)-14(4); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 20 300

### კიოლნი-შალკე 2:1

**კიოლნი (4-2-3-1):** რენზინგი - ბრეჩკო, ჟერომელი, მოჰამადი, აიხნერი (65. მაკინო) - პეტიტი (75. მაკენა), პეცონი - ჩიჰი, პოდოლსკი, ჟაჟალო - ნოვაკოვიჩი (79. სანუ).

**შალკე (4-2-3-1):** ნოიერი - უჩიდა, ჰიოვედესი, მეტცელდერი, ესკუდერო (66. დანილო აველარი) - პაპადოპულოსი, კლუგე - ბაუმიოჰანი (34. დრაქსლერი), რაული, ხურადო - ედუ (34. ჰუნტელაარი).

**გოლები:** 1:0 ნოვაკოვიჩი (25), 2:0 ჟაჟალო (60), 2:1 რაული (87)

**გაფრთხილება:** ჟერომელი, მაკენა - პაპადოპულოსი

**კუთხური:** 4-10; **ჯარიმა:** 21-23; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 10(6)-17(5); **ბურთის ფლობა:** 41%-60%.

**მაყურებელი:** 50 000

### ფრაიბურგი-ლევერკუზენი 0:1

**ფრაიბურგი (4-1-4-1):** ბაუმანი - მუჯა, კრმასი, ბუტშერი, ბასტიანსი - შუსტერი (90. იანო) - კალიჯური (54. რაიზინგერი), მაკიადი, ...ზენტალერი, პუცილა (71. იეგერი) - სისე.

**ლევერკუზენი (4-2-3-1):** ადლერი - ბალიტში, შვააბი, რაინარტცი, კადლეცი - ლ. ბენდერი, ვიდალი - სემი (88. ბარნეტა), ბალაკი, რენატო (73. კასტრო) - დერდიოკი (91. კისლინგი).

**გოლი:** 0:1 ბალიტში (45)

**გაფრთხილება:** რენატო

**კუთხური:** 1-9; **ჯარიმა:** 8-20; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 8(2)-13(6); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 24 000

### კაიზერსლაუტერნი-ვერდერი 3:2

**კაიზერსლაუტერნი (4-1-2-1-2):** ტრაპი - კირხი, აბელი, როდნი, იესენი - პეცოსი - ტიფერტი (73. ფუხსი), დე ვიტი - ნემეცი - ლაკიჩი (88. ბ. შულცი), ჰოფერი (77. ვალხი).

**ვერდერი (4-2-3-1):** ვიზე - ფრიტცი, დ. შმიდტი, პასანენი, ვესლი - ფრინგსი, ბარგფრედე - ტრინკსი (65. ჰანტი), სტევანოვიჩი (84. ავდიჩი), მარინი - არნაუტოვიჩი.

*52-ე წუთზე ფრინგსმა (ვერდერი) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

გოლები: 1:0 ნემეცი (7), 2:0 როდნი (9), 3:0 ლაკიჩი (30), 3:1 ფრინგსი (43), 3:2 არნაუტოვიჩი (55)

**გაფრთხილება:** ბარგფრედე, არნაუტოვიჩი

**კუთხური:** 4-8; **ჯარიმა:** 14-10; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 12(4)-17(7); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 49 780

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 34 | 23 | 6 | 5 | 67:22 | 75 |
| 2. ლევერკუზენი | 34 | 20 | 8 | 6 | 64:44 | 68 |
| 3. ბაიერნი | 34 | 19 | 8 | 7 | 81:40 | 65 |
| 4. ჰანოვერი | 34 | 19 | 3 | 12 | 49:45 | 60 |
| 5. მაინცი | 34 | 18 | 4 | 12 | 52:39 | 58 |
| 6. ნიურნბერგი | 34 | 13 | 8 | 13 | 47:45 | 47 |
| 7. კაიზერსლაუტ. | 34 | 13 | 7 | 14 | 48:51 | 46 |
| 8. ჰამბურგი | 34 | 12 | 9 | 13 | 46:52 | 45 |
| 9. ფრაიბურგი | 34 | 13 | 5 | 16 | 41:50 | 44 |
| 10. კიოლნი | 34 | 13 | 5 | 16 | 47:62 | 44 |
| 11. ჰოფენჰაიმი | 34 | 11 | 10 | 13 | 50:50 | 43 |
| 12. შტუტგარტი | 34 | 12 | 6 | 16 | 60:59 | 42 |
| 13. ვერდერი | 34 | 10 | 11 | 13 | 47:61 | 41 |
| 14. შალკე | 34 | 11 | 7 | 16 | 38:44 | 40 |
| 15. ვოლფსბურგი | 34 | 9 | 11 | 14 | 43:48 | 38 |
| 16. ბორუსია (მ) | 34 | 10 | 6 | 18 | 48:65 | 36 |
| 17. აინტრახტი | 34 | 9 | 7 | 18 | 31:49 | 34 |
| 18. ზანკტ პაული | 34 | 8 | 5 | 21 | 35:68 | 29 |

**ბომბარდირები:** 28 - გომესი (ბაიერნი); 22 - სისე (ფრაიბურგი); 17 - ნოვაკოვიჩი (კიოლნი); 16 - ბარიოსი (ბორუსია დ), გეკასი (აინტრახტი), ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი).

### II ბუნდესლიგა

XXXIV ტური

**ბოხუმი-დუისბურგი 3:1**

**გოლები:** 1:0 მ. აიდინი (9), 2:0 ფედერიკო (82), 3:0 მ. აიდინი (87), 3:1 ექსლაგერი (89)

**ჰერტა-აუგსბურგი 2:1**

**გოლები:** 1:0 ლასოგა (44), 1:1 ს. ჰაინი (60), 2:1 კობიაშვილი (74-პენ)

**პადერბორნი-მიუნხენ 1860 3:2**

**გოლები:** 1:0 კაპლანი (19), 2:0 კაპლანი (21), 2:1 აიგიუნი (44), 3:1 ბრენდი (68), 3:2 რაკიჩი (74)

**კოტბუსი-ობერჰაუზენი 3:1**

**გოლები:** 1:0 იულა (16), 1:1 ლუცი (83), 2:1 პეტერსენი (85), 3:1 სომა (88)

**კარლსრუე-უნიონი 3:2**

**გოლები:** 1:0 კრისტეა (3), 1:1 მოსკერა (15), 2:1 ბაკლი (31), 3:1 კრისტეა (60), 3:2 მატუშკა (86)

**ფიურტი-ფორტუნა 1:1**

**გოლები:** 1:0 ნ. მიულერი (49), 1:1 ბაისტერი (61)

**ალემანია-არმინია 1:1**

**გოლები:** 1:0 აუერი (33), 1:1 კ. მიულერი (72)

**ფრანკფურტი-აუე 0:2**

**გოლები:** 0:1 კრ. მიულერი (25-საკ. კარში), 0:2 ჰოხშაიდტი (79)

**ინგოლშტადტი-ოსნაბრიუკი 0:1**

**გოლი:** 0:1 ტირალა (35)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰერტა | 34 | 23 | 5 | 6 | 69:28 | 74 |
| 2. აუგსბურგი | 34 | 19 | 8 | 7 | 58:27 | 65 |
| 3. ბოხუმი | 34 | 20 | 5 | 9 | 49:35 | 65 |
| 4. ფიურტი | 34 | 17 | 10 | 7 | 47:27 | 61 |
| 5. აუე | 34 | 16 | 8 | 10 | 40:37 | 56 |
| 6. კოტბუსი | 34 | 16 | 7 | 11 | 65:52 | 55 |
| 7. ფორტუნა | 34 | 16 | 5 | 13 | 49:39 | 53 |
| 8. დუისბურგი | 34 | 15 | 7 | 12 | 53:38 | 52 |
| 9. მიუნხენ 1860 | 34 | 14 | 10 | 10 | 50:36 | 50 |
| 10. ალემანია | 34 | 13 | 9 | 12 | 58:60 | 48 |
| 11. უნიონი | 34 | 11 | 9 | 14 | 39:45 | 42 |
| 12. პადერბორნი | 34 | 10 | 9 | 15 | 32:47 | 39 |
| 13. ფრანკფურტი | 34 | 11 | 5 | 18 | 42:54 | 38 |
| 14. ინგოლშტადტი | 34 | 9 | 10 | 15 | 40:46 | 37 |
| 15. კარლსრუე | 34 | 8 | 9 | 17 | 46:72 | 33 |
| 16. ოსნაბრიუკი | 34 | 8 | 7 | 19 | 40:62 | 31 |
| 17. ობერჰაუზენი | 34 | 7 | 7 | 20 | 30:65 | 28 |
| 18. არმინია | 34 | 4 | 8 | 22 | 28:65 | 17 |

** მიუნხენ 1860-ს დაკლებული აქვს ორი ქულა*

**ბომბარდირები:** 25 - პეტერსენი (კოტბუსი); 20 - აუერი (ალემანია); 16 - ლაუთი (მიუნხენ 1860); 15 - მიოლდერსი (ფრანკფურტი), რამოსი (ჰერტა)

### III ბუნდესლიგა

ერფურტი-აალენი 1:0, ჰანზა-ალენი 2:0, კობლენცი-რეგენსბურგი 0:2, ვერდერი II-ვეენი 1:4, უნტერჰახინგი-ბაიერნი II 0:4, ბაბელსბერგი-ზანდჰაუზენი 0:0, ბურგჰაუზენი-ზაარბრიუკენი 3:4, ოფენბახი-დრეზდენი 2:3, ბრაუნშვაიგი-ჰაიდენჰაიმი 4:0, შტუტგარტი II-კარლ ცაისი 3:2.

## უცხოური ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა. XXXVII ტური

# მანჩესტერ იუნაიტედი მეცხრამეტე ცაზეა!

პენალტი, რომლითაც **უეინ რუნიმ** ანგარიში გაათანაბრა და „მანჩესტერ იუნაიტედმა" ინგლისის ჩემპიონის მე-19 ტიტული მოიპოვა ან იყო ან არა, მაგრამ სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდი ამის გამო ნამდვილად არ დამცირებულა — პრემიერლიგას ღირსეული გამარჯვებული ჰყავს.

*„დავიზაფრე. მსაჯმა პენალტის დანიშვნას იმდენი ხანი მოანდომა, რომ თავის დაწყნარება დამჭირდა. არადა, მთელი კვირა ვემზადებოდი და ვვარჯიშობდი, — თქვა მატჩის შემდეგ „იუნაიტედის" ვარსკვლავმა, — ამ წარმატებას საკუთარ თავსა და ფანებს ვუძღვნი. ხომ გახსოვთ, რა რთული სეზონი მქონდა, რამდენი წინააღმდეგობა გადამხდა თავს".*

ხოლო **რაიან გიგზმა**, რომლისთვისაც ეს მეთორმეტე ჩემპიონობა იყო, იმ ხალხს უპასუხა, ვინც ამტკიცებს, რომ დღევანდელი „იუნაიტედი" ადრინდელზე სუსტია:

*„პრემიერლიგის ჩემპიონები გავხდით, ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავედით, მაგრამ მაინც არაფრად ვვარგივართ, არა? ჩვენი ჩემპიონატი უწინდებურად დაძაბულია და მასში გამარჯვება კვლავ ძალიან საამაყოა. „მანჩესტერ იუნაიტედში" თამაში უდიდესი სიამოვნებაა. მე ეს ძალიან მომწონს და მინდა ამ გუნდთან ერთად კიდევ მოვიგო ტიტულები".*

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ეს ტიტული „იუნაიტედისთვის" მე-19 იყო. ახლა ინგლისის ყველაზე ტიტულიანი გუნდი „ლივერპული" კი არა, „მანჩესტერ იუნაიტედია". გიგზმა თქვა:

*„ოცი წლის წინ „ლივერპულის" გვერდით არც კი ვჩანდით. ამიტომ, დღევანდელი გამარჯვება ძალიან ბევრს ნიშნავს. ეს ჩვენი მწვრთნელისა და ფეხბურთელების დონეზე მიუთითებს. დღეს, ჩვენს უდიდეს კონკურენტს უკვე გადავუსწარით".*

არადა, როდესაც პირველ ტაიმში „ბლექბერნი" დაწინაურდა, ბევრს გაუკვირდა. უმეტესობა ელოდა, რომ „იუნაიტედი" თავიდანვე ჩაიგდებდა ხელთ ინიციატივას და მეტოქეს შანსს არ დაუტოვებდა. თუმცა, მეორე მხრივ, რამდენად სამართლიანად ჩაითვალა მასპინძელთა გოლი? — ეჭვი ამ ეპიზოდშიც გაჩნდა: **მარტინ ოლსონმა** და **ჯუნიორ ჰოილეტმა** შეტევის მარცხენა ფრთაზე ბურთი გაითამაშეს და **ბრეტ ემერტონს** ჩააწოდეს, მან კი დიდებულად დაარტყა და შეაგდო, მაგრამ... ოლსონმა ბურთი პირველად რომ იხელთა, „პირით ხაზს" მიღმა ხომ არ იყო გადასული? ადამიანური საზომით თითქოს გადასული იყო, მაგრამ მიკრონებში რა მოხდა, თავს ვერ დავდებთ — თუ კომპიუტერით გავზომავთ, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ბურთი ხაზს მაინც ეხებოდა.

გუნდებმა თითოჯერ შეაზანზარეს ერთმანეთის ძელი, „იუნაიტედის" მეკარე **ტომაშ კუშჩაკმა** კი ორჯერ კინაღამ სისულელე ჩაიდინა, მაგრამ ბედი მის მხარეს იყო.

„ბლექპულისა" და „ბოლტონის" შვიდგოლიან თრილერში კი გადამწყვეტი სიტყვა **ჩარლი ადამმა** თქვა — 63-ე წუთზე, როდესაც ანგარიში 3:3 იყო, გამარჯვების გოლი შეაგდო. შემდეგ კვირას, „ბლექპული" აწ უკვე ჩემპიონ „იუნაიტედთან" მიემგზავრება და... მწვრთნელი **იან ჰოლოუეი** დარწმუნებულია, რომ თავს არ შეირცხვენს.

*„უკვე ოთხი თამაშია რაც არ დავმარცხებულვართ. ნებისმიერი, ვინც ეს ოთხი თამაში ნახა, დამეთანხმება, რომ „ბლექპული" ის მოკრძალებული გუნდი აღარ არის სეზონის დასაწყისში რომ იყო. ჩვენ ბოლო ორი წელიწადია ზღაპარში ვცხოვრობთ და მწამს, ეს ზღაპარი, ბოლო ტურში, „ოლდ ტრეფორდზეც" გაგრძელდება. ჩვენ „მანჩესტერ იუნაიტედს" უნდა მოვუგოთ და, მართალია, თეორიულად, შეიძლება ესეც არ გვეყოს, მაგრამ პრაქტიკულად დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი ჩვენს სასიკეთოდ მოხდება. ამის იმედი იმიტომაც მაქვს, რომ ამ დღეს „ვულვზი" „ბლექბერნს" მასპინძლობს.*

*საერთოდ, მე ის კაცი ვარ, ვის ცხოვრებაშიც ბევრი უცნაური ამბავი მომხდარა და იქნებ იქ, ზევით, კონკიას კიდევ ერთი ამბავი აქვთ შეთხზული".*

დიახ, ბოლო დღეს „ვულვზი" „ბლექბერნს" მასპინძლობს, „ვულვზი" კი ის გუნდია, რომელმაც შაბათს სანდერლენდში 3:1 გაიმარჯვა. გახარებულმა მწვრთნელმა **მიკ მაკარტიმ** თქვა:

*„დღეს ისეთივე მნიშვნელოვანი სამი ქულა მოვიპოვეთ, როგორიც წინა ტურში. გახსოვთ, რა ვთქვი მაშინ? მაშინ ვთქვი, რომ ყველაფერი ბოლო დღეს გადაწყდება-მეთქი. ხომ გამოვდექი მართალი? თამაშის ხარისხით, რასაკვირველია, კმაყოფილი არ დავრჩი, მაგრამ შედეგით, იცოცხლეთ".*

„ვესტ ბრომვიჩმა" კი „ევერტონს" 1:0 მოუგო — დიდი შანსია **როი ჰოჯსონის** გუნდმა პრემიერლიგაში ისეთი ადგილი დაიკავოს, არასდროს რომ დაუკავებია.

კვირას კი, „ენფილდ როუდზე" მეხუთე ადგილისთვის გადამწყვეტი მატჩი გაიმართა — „ლივერპულმა" „ტოტენჰემ ჰოთსპურს" უმასპინძლა და... ვერ ივარგა. ლონდონელებმა 2:0 მოიგეს. სამართლიანობისთვის ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ მსაჯმა **ჰოვარდ ვებმა**, „დეზებს" მეორე გოლი უსამართლოდ დანიშნული პენალტით გაატანინა, მაგრამ ეს ნამდვილად არ ნიშნავს იმას, რომ „წითლებმა" ამ შეხვედრაში რაიმე ღირებული გააკეთეს... თუ, მონადინებას და ძალ-ღონის ხარჯვას არ ჩავთვლით.

ანგარიში **რაფაელ ვან დერ ვაარტმა** გახსნა. მან ძალიან ლამაზად შეაგდო **პეპე რეინას** კარში, თუმცა მეორე ტაიმში დაშავდა და მოედნის ნაადრევად დატოვება მოუხდა. მეორე გოლი კი თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან **ლუკა მოდრიჩმა** შეაგდო.

„არსენალის" კოშმარი გრძელდება. გეხსომებათ, „მანჩესტერ სიტის" ფეხბურთელები კბილებს ილესავდნენ, მეოთხე ადგილზე კი გავედით, მაგრამ ამით დაკმაყოფილებას არ ვაპირებთო. ჰოდა, ნუ გაგვიკვირდება, ხვალ, ისტლენდელებმა „სტოკს" სამ დღეში მეორედ თუ მოუგეს (თუმცა, ეს ძნელია) და „მეთოფეებს" თავზე გადაახტნენ — **არსენ ვენგერის** დემორალიზებულმა გუნდმა ხომ „ასტონ ვილასთან" 1:2 წააგო და „სიტი" სახიფათო მანძილზე მიუშვა.



რუნის გოლს ულოცავენ

„არსენალი" შეხვედრის დასაწყისიდანვე საშინლად იცავდა თავს. **დარენ ბენტმა** მასპინძლებს საწყის 15 წუთში ორი გოლი გაუტანა. ვენგერი, ეჭვი არ არის, ტრადიციისამებრ მსაჯისკენ გაიშვერს ხელს — **მაიკლ ოლივერმა** ჯერ იყო და ლონდონელებს არ დაუჯერა და ერთ ეპიზოდში მათ ყვირილი რომ მორთეს პენალტი არ დანიშნა, შემდეგ კი **მარუან შამახს** ახლოდან გატანილი გოლი არ ჩაუთვალა. ერთი სიტყვით, **რობინ ვან პერსის** გოლი მხოლოდ გულის ფხანისა იყო და მეტი არაფერი.

**კარლო ანჩელოტიმ** „ჩელსი" „ნიუკასლთან" სათამაშოდ ნაწილობრივ გადახალისებული შემადგენლობით გაუშვა მოედანზე და... უნდა ითქვას, რომ გუნდი ყველაფერს ჰგავდა, მომავალი სეზონის ერთ-ერთი ფავორიტის გარდა. „ლურჯებმა" „კაჭკაჭებთან" მოგება ქარს გაატანეს. დიდი შანსია, რომ ეს ანჩელოტის ბოლო თამაში იყო „სტემფორდ ბრიჯზე" „ჩელსის" თავკაცის რანგში. „ლურჯები" ორჯერ დაწინაურდნენ, მაგრამ ნიუკასლელებმა ორივეჯერ გაქვითეს ანგარიში. ეს ოქმშიც წერია.

„ბირმინგემმა" შინ „ფულჰემთან" წააგო და ახლა, პრემიერლიგაში დასარჩენად ბოლო დღეს მოუწევს ბრძოლა — შემდეგ კვირა დღეს ის „უაით ჰარტ ლეინზე" „ტოტენჰემს" ჩააკითხავს. ვითომ, აქვს **ალექს მაკლიშის** გუნდს გადარჩენის შანსი? „ფულჰემს" კი ყველა ვარიანტში თავი ქუდში ჰქონდა. მეორე მხრივ, ლონდონელთა თავკაც **მარკ ჰიუზს**, წინა ტურში „ლივერპულთან" 5:2 წაგების შემდეგ გონს მოგების ასეთი იმედი არ ჰქონდა და, ბუნებრივია, ძალიან კმაყოფილი დარჩა.

„ვესტ ჰემმა" უიგანში 3:2 წააგო და გავარდა! თან როგორც, ორგოლიანი უპირატესობა გაუშვა ხელიდან. „ჩაქუჩთათვის" საბედისწერო გოლი 90-ე წუთზე 24 წლის ფრანგმა, **შარლ ნ'ზოგბიამ** გაიტანა. „უიგანს", როგორც ხედავთ, ჯერ კიდევ დარჩა პრემიერლიგაში დარჩენის შანსი.

### ბლექბერნი-მანჩესტერ იუნ. 1:1

**ბლექბერნი** (4-5-1): რობინსონი - სალგადო, ფ. ჯონსი, სამბა (78. ენდრიუსი), ჟივე - ემერტონი, ჰოილეტი (59. პედერსენი), ჯ. ჯონსი (74. დანი), ნზონზი, ოლსონი - რობერტსი.

**მანჩესტერ იუნაიტედი** (4-4-2): კუშჩაკი - ფაბიო (62. სქოულზი), ვიდიჩი, ფერდინანდი, ევანსი - ვალენსია, გიგზი, ქერიკი, ნანი (81. ბერბატოვი) - რუნი, ერნანდესი.

**გოლები:** 1:0 ემერტონი (20), 1:1 რუნი (73-პენ)

**გაფრთხილება:** ჯ. ჯონსი, ნზონზი, სალგადო

**კუთხური:** 2-6; **ჯარიმა:** 11-11; **კარში დარტყმა:** 6-12 (2-2); **თამაშგარე:** 0-1; **ბურთის ფლობა:** 24%-76%

**მაყურებელი:** 29 867

### ბლექპული-ბოლტონი 4:3

**ბლექპული** (4-3-3): გილკსი - ერდლი, ივეტი, ბეპტისტი, კრეინი - საუთერნი, ვუგანი, ადამი (88. კეთკერტი) - პანჩიონი (82. ბიტი), დ. ჯ. კემპბელი, ტეილორ-ფლეტჩერი (82. ორმეროდი).

**ბოლტონი** (4-4-2): იაასკელაინენი - სტეინსონი, ნაითი, გ. კეჰილი, რობინსონი - ლი, გარდნერი (78. კლასნიჩი), მუამბა (50. კოენი), ტეილორი - კ. დევისი (83. როდრიგო), სტარიჯი.

**გოლები:** 0:1 კ. დევისი (6), 1:1 დ.ჯ. კემპბელი (9), 2:1 პანჩიონი (19), 2:2 ტეილორი (24), 3:2 დ.ჯ. კემპბელი (45), 3:3 სტარიჯი (53), 4:3 ადამი (63)

**გაფრთხილება:** ტეილორ-ფლეტჩერი, საუთერნი - ნაითი, კ. დევისი, გ. კეჰილი, რობინსონი

**კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 16-13; **კარში დარტყმა:** 10-19 (5-6); **თამაშგარე:** 7-3; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 15 979

### სანდერლენდი-ვულვერჰემ. 1:3

**სანდერლენდი** (4-4-2): მინოლე - ალ მუჰამადი, ონუოჰა, მენსა (88. ლაინგი), ბერდსლი - ჰენდერსონი (76. ლინჩი), ზენდენი, კოლბეკი, მოლბრანკი (70. ნობლი) - რივეროსი, სესენიონი.

**ვულვერჰემპტონი** (4-4-2): ჰენესი - ფოული, მენსიენი, კრედოკი, ელოკობი - გუედიოურა (45. ჯერვისი), ო'ჰარა, ჰენრი, ჰანტი - უორდი, ფლეტჩერი (72. დოილი).

**გოლები:** 0:1 კრედოკი (22), 1:1 სესენიონი (34), 1:2 ფლეტჩერი (54), 1:3 ელოკობი (78)

**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 7-22; **კარში დარტყმა:** 14-13 (4-3); **თამაშგარე:** 1-4; **ბურთის ფლობა:** 60%-40%

**მაყურებელი:** 41 273

### ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი 1:0

**ვესტ ბრომვიჩი** (4-4-2): კერსონი - რიდი, ტამასი, ოლსონი, შორი - ბრანტი (90. ფორჩუნი), შარნერი, მულუმბუ, ტომასი (78. ტჩოი) - კოქსი (67. მორისონი), ოდემვინგე.

**ევერტონი** (4-4-2): ჰოვარდი - ჰიბერტი, დისტინი, ჯაგიელკა, ბეინესი - კოულმენი (62. ბეკფორდი), ფ. ნევილი (72. ბელიალეტდინოვი), ჰეიტინგა, არტეტა - ოსმანი, ენიჩიბე (80. როდუელი).

**გოლები:** 1:0 მულუმბუ (10)

**გაფრთხილება:** ტომასი, ტამასი - ფ. ნევილი, ჰეიტინგა

**გაძევება:** ბელიალეტდინოვი (77-ევერტონი)

**კუთხური:** 2-12; **ჯარიმა:** 15-9; **კარში დარტყმა:** 15-22 (4-2); **თამაშგარე:** 4-2; **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 25 838

### ჩელსი-ნიუკასლი 2:2

**ჩელსი** (4-3-3): ჩეხი - ივანოვიჩი, ტერი, ალექსი, ე. კოული - ლემპარდი, რამირესი (64. დროგბა), მაკეჩრანი (64. ესიენი) - ბენაიუნი (64. მალუდა), ანელკა, ტორესი.

**ნიუკასლი** (4-5-1): კრული - სიმპსონი, კოლოჩინი, ტეილორი, ენრიკე - ლოვენკრანდსი (83. ს. ამეობი), ბარტონი, ტეილორი, ხონასი (76. რეინჯერი), ფერგიუსონი (69. ლუალუა) - შ. ამეობი.

**გოლები:** 1:0 ივანოვიჩი (2), 1:1 ხონასი (10), 2:1 ალექსი (83), 2:2 ტეილორი (90)

**გაფრთხილება:** ტერი, რამირესი, ლემპარდი, ივანოვიჩი - სიმპსონი, ენრიკე

**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 18-13; **კარში დარტყმა:** 16-16 (2-4); **თამაშგარე:** 2-3; **ბურთის ფლობა:** 65%-35%

**მაყურებელი:** 41 739

### არსენალი-ასტონ ვილა 1:2

**არსენალი** (4-4-2): შჩესნი - სანია, სკილაჩი (45. შამახი), ვერმაელენი, გიბსი - უოლკოტი, უილშირი, სონგი, არშავინი (62. ბენდტნერი) - რემსი, ვან პერსი.

**ასტონ ვილა** (4-5-1): ფრიდელი - უოქერი, კოლინზი, რ. დანი, ლ. იანგი - დაუნინგი, რიო-კოკერი, ს. პეტროვი (80. ბერდსლი), დელფი (90. ჰესკი), ე. იანგი - ბენტი.

**გოლები:** 0:1 ბენტი (11), 0:2 ბენტი (15), 1:2 ვან პერსი (89)

**გაფრთხილება:** ბენდტნერი - ს. პეტროვი, რიოკოკერი, რ. დანი, ე. იანგი

**კუთხური:** 13-2; **ჯარიმა:** 9-10; **კარში დარტყმა:** 24-8 (6-5); **თამაშგარე:** 5-3; **ბურთის ფლობა:** 68%-32%

**მაყურებელი:** 60 023

### ბირმინგემი-ფულჰემი 0:2

**ბირმინგემი** (4-4-2): ფოსტერი - ვარი, რ. ჯონსონი, ჟირანეკი (67. კ. დევისი), პეჯერი (56. ბიუსეჟური) - ლარსონი, ბოუერი (50. [illegible]), ბ. ფერგიუსონი, ბენტლი - კ. ფილიპსი, ჟერზინიო.

**ფულჰემი** (4-4-2): შვარცერი - ჰიუზი, ჰანგელანდი, სენდეროსი, სალსიდო - გრინინგი, მერფი (72. ეტუჰუ), სიდუელი, დემპსი (89. გერა) - ე. ჯონსონი, ზამორა (50. გუდიონსენი).

**გოლები:** 0:1 ჰანგელანდი (5), 0:2 ჰანგელანდი (49)

**გაფრთხილება:** ე. ჯონსონი, სალსიდო, გუდიონსენი, მერფი, დემპსი (ყველა ფულჰემი)

**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 7-15; **კარში დარტყმა:** 11-21 (1-9); **თამაშგარე:** 5-0; **ბურთის ფლობა:** 58%-42%

**მაყურებელი:** 27 759

### ლივერპული-ტოტენჰემი 0:2

**ლივერპული** (4-4-2): რეინა - გ. ჯონსონი, შკრტელი, კარაგერი, ფლენაგანი - კუიტი, ლუკასი, სპირინგი (64. შილვი), მაქსი როდრიგესი (75. ნგოგი) - სუარესი, ქეროლი (88. ჯ. კოული).

**ტოტენჰემი** (4-4-2): გომესი - ქაბული, ლ. კინგი, დოუსონი, როუზი (82. ბასონგი) - ლენონი, სანდრო, მოდრიჩი, პიენაარი (90. კრანჩარი) - ვან დერ ვაარტი (53. დეფო), კრაუჩი.

**გოლები:** 0:1 ვან დერ ვაარტი (9), 0:2 მოდრიჩი (56. პენ)

**გაფრთხილება:** სუარესი, ფლენაგანი - სანდრო

**კუთხური:** 11-5; **ჯარიმა:** 13-8; **კარში დარტყმა:** 15-11 (3-3); **თამაშგარე:** 2-0; **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 44 893

### უიგანი-ვესტ ჰემი 3:2

**უიგანი** (4-3-3): ალ ჰაბსი - ბოისი, ალკარასი, კოლდუელი, ფიგეროა - მაკარტი (46. მოზესი), უოტსონი, დიამე - ნ'ზოგბია, კლივერლი (46. კლივერლი), როდალეგა (90. მაკარტური).

**ვესტ ჰემი** (4-3-3): გრინი - სპენსი, გებიდონი, ტომკინსი, ბრიჯი - კოლისონი (84. კინი), სპექტორი (61. პარკერი), ჰიცშპერგერი - პიქვიონი (75. კ. კოული), ჰაინესი, ბა.

**გოლები:** 0:1 ბა (12), 0:2 ბა (26), 1:2 ნ'ზოგბია (57), 2:2 სემონი (68), 3:2 ნ'ზოგბია (90)

**გაფრთხილება:** ნ'ზოგბია - პარკერი

**კუთხური:** 10-6; **ჯარიმა:** 7-10; **კარში დარტყმა:** 17-11 (10-7); **თამაშგარე:** 2-2; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 22 043

| | ტ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 37 | 22 | 11 | 4 | 74-35 | 77 |
| 2. ჩელსი | 37 | 21 | 8 | 8 | 69-32 | 71 |
| 3. არსენალი | 37 | 19 | 10 | 8 | 70-41 | 67 |
| 4. სიტი | 36 | 19 | 8 | 9 | 55-33 | 65 |
| 5. ტოტენჰემი | 37 | 15 | 14 | 8 | 53-45 | 59 |
| 6. ლივერპული | 37 | 17 | 7 | 13 | 59-43 | 58 |
| 7. ევერტონი | 37 | 12 | 15 | 10 | 50-45 | 51 |
| 8. ფულჰემი | 37 | 11 | 15 | 11 | 47-41 | 48 |
| 9. სტოკი | 36 | 13 | 7 | 16 | 46-44 | 46 |
| 10. ბოლტონი | 37 | 12 | 10 | 15 | 52-54 | 46 |
| 11. ვესტ ბრომვიჩი | 37 | 12 | 10 | 15 | 53-68 | 46 |
| 12. ნიუკასლი | 37 | 11 | 12 | 14 | 53-54 | 45 |
| 13. ასტონ ვილა | 37 | 11 | 12 | 14 | 47-59 | 45 |
| 14. სანდერლენდი | 37 | 11 | 11 | 15 | 42-56 | 44 |
| 15. ბლექბერნი | 37 | 10 | 10 | 17 | 43-57 | 40 |
| 16. ვულვზი | 37 | 11 | 7 | 19 | 44-63 | 40 |
| 17. ბირმინგემი | 37 | 8 | 15 | 14 | 36-56 | 39 |
| 18. ბლექპული | 37 | 10 | 9 | 18 | 53-74 | 39 |
| 19. უიგანი | 37 | 8 | 15 | 14 | 39-61 | 39 |
| 20. ვესტ ჰემი | 37 | 7 | 12 | 18 | 43-67 | 33 |

**ბომბარდირები:** 21 - ბერბატოვი (მანჩესტერ იუნაიტედი); 19 - ტევესი (მანჩესტერ სიტი); 17 - ბენტი (ასტონ ვილა), ვან პერსი (არსენალი); 15 - ოდემვინგე (ვესტ ბრომვიჩი); 13 - კემპბელი (ბლექპული), ქეროლი (ლივერპული), ერნანდესი (მანჩესტერ იუნაიტედი), კუიტი (ლივერპული), მალუდა (ჩელსი), ვან დერ ვაარტი (ტოტენჰემი); 12 - დემპსი (ფულჰემი), ნოლანი (ნიუკასლი), 11 ადამი (ბლექპული), დროგბა (ჩელსი).

17 მაისი. მანჩესტერ სიტი-სტოკი.

### XXXVIII ტური

22 მაისი. ასტონ ვილა-ლივერპული, ბოლტონი-მანჩესტერ სიტი, ევერტონი-ჩელსი, ფულჰემი-არსენალი, მანჩესტერ იუნაიტედი-ბლექპული, ნიუკასლი-ვესტ ბრომვიჩი, სტოკი-უიგანი, ტოტენჰემი-ბირმინგემი, ვესტ ჰემი-სანდერლენდი, ვულვერჰემპტონი-ბლექბერნი.

### პირველი ლიგა. პლეი ოფი

ბურნმუთი-ჰადერსფილდი 1:1, მილტონი-პიტერბორო 3:2

### მეორე ლიგა. პლეი ოფი

თორგუეი-შრუსბერი 2:0, სტივენიჯი-ეკრინგტონი 2:0

### ინგლისი. ფეხბურთის ასოციაციის თასი. ფინალი

# სიტი იგებს და... იწყებს!

### მანჩესტერ სიტი-სტოკი 1:0

**მანჩესტერ სიტი** (4-4-2): ჰარტი - კოლაროვი, ლესკოტი, კომპანი, რიჩარდსი - სილვა (90. ვიეირა), ბერი (73. ა. ჯონსონი), ი. ტურე, დე იონგი - ბალოტელი, ტევესი (87. საბალეტა).

**სტოკი** (3-5-2): სიორენსენი - შოუკროსი, უილკინსონი, ჰუთი - უილსონი, უილენი (84. პაფი), დილეპი (80. კარეუ), პენანტი, ეზერინგტონი (62. უაიტჰედი) - კ. ჯონსი, უოლტერსი.

**გოლი:** 1:0 ი. ტურე (74)

**გაფრთხილება:** ჰუთი, უილკინსონი (სტოკი)

**კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 14-9; **კარში დარტყმა:** 23-9 (14-1); **თამაშგარე:** 1-0; **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 88 643

გახსოვთ, კოტდივუარელმა ნახევარმცველმა **იაია ტურემ** ნახევარფინალში „მანჩესტერ იუნაიტედს" რომ გაუტანა? სწორედ იმ გოლის წყალობით გავიდა „სიტი" ფინალში. ჰოდა, ბარსელონაგამოვლილ 28 წლის ვარსკვლავზე, როგორც ჩანს, „უემბლის" ბალახი კარგად მოქმედებს — ისტლენდელებმა ფინალშიც 1:0 მოიგეს და გოლი ისევ ტურემ შეაგდო. ამრიგად, „მანჩესტერ სიტის" 35 წლიანი „შიმშილი" დასრულებულია. პრემიერლიგის ბოლო ტურში **რობერტო მანჩინის** გუნდმა ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილი მოიპოვა, ახლა კი ფეხბურთის ასოციაციის თასიც აღმართა. შეგახსენებთ, რომ „სიტის" 1976 წლის შემდეგ არაფერი მოეგო.

და აი, ახალ მეპატრონეთა 300 მილიონიანმა ინვესტიციამ შედეგი გამოიღო. კლუბის ყველაზე დიდხელფასიანმა ფეხბურთელმა (ტურე კვირაში 220 ათას ფუნტს იღებს), 74-ე წუთზე, თანაგუნდელთა სწრაფ და ჟინით აღსავსე კომბინაციას წერტილი დაუსვა — საჯარიმოში შუიდან შევარდა და გადმოვარდნილი ბურთი მთელი ძალით მიზანში დაარტყა. ამ გოლის გაშვებამ „სტოკზე" ძალიან იმოქმედა. არადა, სტოკელებს თავადაც შეეძლოთ გოლის გატანა, მაგრამ **კინუეინ ჯონსს** მეკარე **ჯო ჰარტმა** აუღო.

მეორე მხრივ კი უნდა ითქვას, რომ **ტონი პულისის** ფეხბურთელები „მანჩესტერ სიტის" მაინცდამაინც ვერ აწუხებდნენ. **ჯერმაინ პენანტი** და **მეტიუ ეზერინგტონი** ისტლენდელი მცველებისთვის დიდ საშიშროებას არ წარმოადგენდნენ, **რორი დილეპის** გრძელი ჩაწოდებები კი „უემბლის" უკიდეგანო მინდორში იკარგებოდა.

ეზერინგტონი ვახსენეთ... დიახ, ფინალის წინ როგორც ერთ, ასევე მეორე გუნდს, დაშავებული ფეხბურთელები გამოუჯანმრთელდა. „სიტის" შემადგენლობაში დაბრუნდა **კარლოს ტევესი**, „სტოკს" კი ეზერინგტონიც ჰყავდა და **რობერტ ჰუთიც**. კიდევ, ყურადღება მიიპყრო იმან, რომ პულისმა კარში **ტომას სიორენსენი** დააყენა და არა **ასმირ ბეგოვიჩი**. საქმე ის გახლავთ, რომ თასზე მწვრთნელი სიორენსენს ათამაშებდა, პრემიერლიგაში კი უფრო ბეგოვიჩს ეყრდნობა.

*„ჩვენ ფანტასტიკურად ვითამაშეთ, —* თქვა მატჩის შემდეგ ბედნიერმა მანჩინიმ. *— ერთადერთი, რისი თქმაც ახლა შემიძლია ის არის, რომ ბედნიერი ვარ. ძალიან მიხარია ალტაცებულ გულშემატკივრებს რომ ვხედავ. ამდენი წლის შემდეგ, ეს ხალხი, ბოლოს და ბოლოს იმსახურებდა რომელიმე დიდ ჯილდოს. რასაკვირველია, მომავალში ჩვენ თამაშის გაუმჯობესება დაგვჭირდება, მაგრამ დღეს ამაზე ლაპარაკი არ მინდა. დღეს სიხარულის დღეა. ჩვენ ისტორიაში შევდგით ფეხი, მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო. წარმატებები ახლა იწყება".*



„უემბლიზე" ფინალის საუკეთესო ფეხბურთელად „სიტის" 20 წლის თავდამსხმელი **მარიო ბალოტელი** დაასახელეს, მაგრამ ბალოტელი რის ბალოტელი იქნებოდა მორიგი უხერხულობა რომ არ გამოეწვია. როდესაც მატჩის შემდეგ პირდაპირ ეთერში კომენტარი სთხოვეს, მან ბილწი სიტყვა იხმარა:

*„მთელი სეზონი ცუდად (ბალოტელიმ აქ ვერ მოზომა) ჩავატარე. ხომ შეიძლება ეს სიტყვა რომ ვთქვა? კარგად ვერ ვთამაშობდი, მაგრამ დღეს მგონი არა მიშავდა. ვფიქრობ, გუნდისთვის უწინდელზე უფრო სასარგებლო ვიყავი. თამაშის წინ ბიჭებს ვეუბნებოდი, რომ ჩვენ „სტოკზე" ძლიერი გუნდი გვყავს და, მართალია, მოწინააღმდეგეს პატივს ვცემთ, თუ მოვინდომებთ, მოვიგებთ. ასეც მოხდა".*

ITV-ს წამყვანმა **ადრიან ჩაილსმა** ბალოტელის ეკრანიდან გაუჩინარების შემდეგ ტელემაყურებელს ბოდიში მოუხადა.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

**ევროპული** საფეხბურთო სეზონის მიწურულს ქართველ ლეგიონერებს საკმაოდ მოსავლიანი უქმეები ჰქონდათ. ეს განსაკუთრებით ახლა გამოჩნდა, რადგან ერთი კვირის წინ ქართული ლეგიონის ასეულიდან ვერავინ შეძლო თავის გამოჩენა. ახლა კი ქართული გოლები სად აღარ ვიხილეთ, რუსეთსა თუ იაპონიაში, გერმანიასა და აზერბაიჯანში. სამმა ჩვენებურმა კი სულაც ტიტული მოიგო. სანაკრებო მატჩიც გვიახლოვდება და, სამწუხაროდ, რამდენიმე ჩვენს ლეგიონერს ტრავმა აწუხებს, მათ შორის თვით კაპიტანია...



ჰერთამ სეზონი გამარჯვებით დაასრულა

# ლევან კობიაშვილის გამოსათხოვარი გოლი

## მათეს პირველი გასროლა, მუშუს მეორე

### სუფთა ქართული გოლი

22 წლის **მათე ვაწაძემ**, რომელიც რუსული საიტ „ჩემპიონატის" ვერსიით 400 ათასი ევრო ღირს, ლეგიონურ კარიერაში პირველი გოლი გაიტანა. თანაც, „დინამოს" ყოფილმა ფორვარდმა მეტად მნიშვნელოვან დროს შეაგდო - ნალჩიკში თამაშის ბოლო წუთზე, როცა ქართველთა „ვოლგა" აუტსაიდერთან 0:1-ს აგებდა. სხვათა შორის, ვაწაძეს ჯერ ერთხელაც არ უთამაშია „ვოლგას" სასტარტო შემადგენლობაში, ახლაც მეორე ტაიმში **გოგიტა გოგუა** შეცვალა. ნალჩიკში კი ძალზე მოსაწყენი თამაში გაიმართა, სადაც ცუდი მოედანი ფეხბურთელებს არ აძლევდა კომბინაციური ფეხბურთის ჩვენების საშუალებას. მასპინძლებს არ ჰყოლიათ **დავით სირაძე**, სტუმრებს კი ტრავმირებული **გოჩა ხოჯავა, გია გრიგალავა** ამჯერად სათადარიგოთა სკამს დააჯერეს. „ჩემპიონატმა" ვაწაძეს, **ოთარ მარცვალაძეს** და **ლაშა სალუქვაძეს** 6-6 ბალი დაუწერა, გოგუას კი - 5 (ყველაზე ცუდი შეფასება გუნდში).

მატჩის შემდეგ **ომარ თეთრაძემ** მადლობა გადაუხადა ფეხბურთელებს ბოლომდე ბრძოლისთვის და ნაგებათა 4-მატჩიანი სერიის შეწყვეტისთვის. ქულის მომტან გოლში კი ლომის წილი მარცვალაძემ დაიდო, რომლის ანგარიშზეც საგოლე პასია. გვსურს, რუსეთში მოთამაშე სხვა ქართველ ლეგიონერებზეც ვთქვათ რამე, მაგრამ... **ალეკო ამისულაშვილი** და **ჯანო ანანიძე** კვლავ არ არიან მწყობრში, არადა, სანაკრებო თამაში გვიახლოვდება. ერთადერთი გასახარი მცირე ტრავმის შემდეგ „ანჟის" კარში **ნუკრი რევიშვილის** დაბრუნებაა. ნუკრიმ კარი მშრალად შეინახა „ყუბანთან" მატჩში. თანაც ისე, რომ „ჩემპიონატმა" გუნდში საუკეთესო შეფასება დაუწერა - 6,5 ბალი. საქართველოს ნაკრების ამჟამინდელ ნომერ პირველ გოლკიპერს პრემიერლიგის 7 მატჩში მხოლოდ 5 გოლი აქვს გაშვებული (ერთი პენალტი).

დუბლების ჩემპიონატში თავი „ანჟის" 19 წლის ფორვარდმა **გიორგი ილურიძემ** გამოიჩინა. ეს მისი მე-3 გოლია სეზონში.



ოთარ მარცვალაძე (მარცხნივ) და გოგიტა გოგუა



ანჟის ქართველი მეკარე ნუკრი რევიშვილი ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდა

### 13-ში 13-მა

ის, რომ რომის ოლიმპიურ სტადიონზე „ჯენოას" **კახა კალაძე** არ ეყოლებოდა, წინასწარ ვიცოდით. ქართველი მცველის გარეშე მოთამაშე გენუელებმა „ლაციოსთან" წააგეს - 2:4. „ჯენოას" 13-მა ნომერმა 13 მაისს ვარჯიშზე დაიშავა კოჭი. კლუბში ირწმუნებიან, რომ ტრავმა საშიში არ არის. ბოლო ტურის წინ „ჯენოა" 48 ქულით მე-10 ადგილზეა. **ლევან მჭედლიძე** დისკვალიფიკაციის გამო ვერ დაეხმარა „ემპოლის", რომელსაც სერია ა-ში გადასვლის შანსი გაუჩნდა - პლეი ოფის ზონას 2 ქულალა აშორებს.

### ჩემპიონები

**ლევან კორღალიძე, დავით გამეზარდაშვილი** და **მამუკა ლომიძე** „დაჩიას" ფეხბურთელებთან ერთად ისტორიის შემოქმედნი შეიქნენ - მათ **ვაჟა თარხნიშვილის** „შერიფის" 10-წლიანი „მეფობა" დაამხეს და მოლდოვის ჩემპიონები პირველად გახდნენ. ეს „დაჩიამ" ორი ტურით ადრე მოახერხა, როცა სტუმრად „კოსტულენის" მოგებით „შერიფისთვის" მიუღწეველი გახდა. კორღალიძეს სეზონში 13 გოლი დაუგროვდა, გამეზარდაშვილს - 5. *„ჩვენ მხოლოდ ერთი ოცნებით ვცხოვრობდით - გავმხდარიყავით ქვეყნის ჩემპიონები. ახლა, როცა შამპანურით მთლიანად დამასველეს, ძალიან ბედნიერი ვარ. იმედია, ეს ჩვენი ბოლო ტიტული არ იქნება"*, - განაცხადა ლევან კორღალიძემ „დაჩიას" ოფიციალურ საიტთან ინტერვიუში. აქვე ვიტყვით, რომ ამ ტურში მოლდოვაში გოლები გაიტანეს **სანდრო შუბლაძემ** („ისკრა-სტალი") და **ვასილ ღუჭაშვილმა** („ზიმბრუ"), რომელმაც სეზონი „დაჩიაში" დაიწყო.

### მილენიუმი უემბლიმდე

**ზურაბ ხიზანიშვილი** პრემიერლიგაში დაბრუნებისთვის იბრძვის - მისმა „რედინგმა" „კარდიფ სიტის" პლეი ოფის პირველ მატჩში უმასპინძლა და 0:0 დაუზავდა. ახლა პლეი ოფის ფინალისტს უელსური შეხვედრა გამოავლენს. ჩვენებურმა ჩვეულად და დამაჯერებლად ითამაშა დაცვის ცენტრში. საპასუხო მატჩი სამშაბათსაა.

**დავით მუჯირმა** კლავ გაიტანა ჯეილიგაში, ამჯერად „იოკაჰამა მარინოსის" კარი აიღო, ქართველი მეკარესთან პირისპირ გავიდა და ბურთი თავზე გადაუგდო.

### ბოლო სიტყვა კობიმ თქვა

II ბუნდესლიგაში ადგილი ბოლო ტურში შეინარჩუნა **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუემ", რომელმაც შინ ბერლინის „უნიონი" 3:2 დაამარცხა და მე-15 ადგილზე დაასრულა ტურნირი. ქართველმა კაპიტანმა მე-3 წუთზე გაატანინა **კრისტეას**. ეს ჩვენებურის მე-8 საგოლე პასია სეზონში. „შპორტალმა" იაშვილს 2,5 ბალი დაუწერა.

II ბუნდესლიგის ჩემპიონმა „ჰერტამ" სეზონი მოგებით დაასრულა, გამარჯვების გოლი „აუგსბურგის" კარში **ლევან კობიაშვილმა** პენალტით გაიტანა. ლევანმა სეზონი 3 გოლით დაასრულა და ახლა ბუნდესლიგა ელის. კობიაშვილმა 3 ბალი დაიმსახურა.

ჰოლანდიაში კინაღამ კატასტროფულად დასრულდა **მერაბ ჟორდანიასთვის** „ვიტესში" პირველი საპრეზიდენტო სეზონი - ბოლო ტურში „ვიტესი" შინ 1:4 განადგურდა უშუალო კონკურენტ „ექსელსიორთან" და ბეწვზე გადაურჩა გასავარდნ პლეი ოფში თამაშს. **გურამ კაშიამ** შეუცვლელად ითამაშა მასპინძელთა რიგებში. მომავალ სეზონში კაშიას და **გიორგი ჭანტურიას** გუნდი ისევ ერედივიზიეში ითამაშებს.

**გიორგი ადამიას** ჰეთ თრიკზე ჩემპიონ „ნეფთჩის" კარში უკვე ვწერდით...

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

| ფეხბურთელი | ასაკი | კლუბი | მეტოქე | ანგ. | შენიშვნა | სეზონი |
|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია ა** | | | | | | |
| კახა კალაძე | 33 | ჯენოა | ლაციო | 2:4 (გ) | ტრავმა | 24 თამ., 1 გ. |
| **სერია ბ** | | | | | | |
| ლევან მჭედლიძე | 21 | ემპოლი | პორტოგრ. | 1:0 (გ) | დისკვ. | 19 თ, 2 გ |
| **ინგლისი. ჩემპიონშიპი** | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 29 | რედინგი | კარდიფი | 0:0 (შ) | 90 წთ | 23 თ |
| **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | 33 | ჰერტა | აუგსბურგი | 2:1 (შ) | 90 წთ, 1 გოლი | 32 თ, 3 გ |
| ალექსანდრე იაშვილი | 33 | კარლსრუე | უნიონი | 3:2 (შ) | 90 წთ, 1 საგ. პასი | 31 თ, 7 გ |
| **საფრანგეთი. ლიგა II** | | | | | | |
| გიორგი მაკარიძე | 21 | ლე მანი | ლავალი | | დღეს | 0 თ |
| **ნასიონალი** | | | | | | |
| ამირან სანაია | 21 | ბასტია | ლუზენაკი | 5:1 (გ) | არ უთამაშია | 8 თ |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| ლაშა სალუქვაძე | 29 | ვოლგა | ნალჩიკი | 1:1 (გ) | 90 წთ | 8 თ |
| გოგიტა გოგუა | 27 | ვოლგა | ნალჩიკი | 1:1 (გ) | 60 წთ (შეცვალეს) | 7 თ |
| გოჩა ხოჯავა | 26 | ვოლგა | ნალჩიკი | 1:1 (გ) | ტრავმა | 7 თ, 2 გ |
| ოთარ მარცვალაძე | 26 | ვოლგა | ნალჩიკი | 1:1 (გ) | 90 წთ. გააფრთხ, 1 საგ. პასი | 7 თ, 1 გ |
| მათე ვაწაძე | 22 | ვოლგა | ნალჩიკი | 1:1 (გ) | 30 წთ (შეცვლაზე), 1 გოლი | 4 თ, 1 გ |
| გია გრიგალავა | 21 | ვოლგა | ნალჩიკი | 1:1 (გ) | სათადარიგო | 7 თ |
| ალეკო ამისულაშვილი | 28 | კრასნოდარი | ტომი | 2:2 (შ) | ტრავმა | 5 თ |
| დავით სირაძე | 29 | ნალჩიკი | ვოლგა | 1:1 (შ) | არ უთამაშია | 5 თ |
| ნუკრი რევიშვილი | 24 | ანჟი | ყუბანი | 0:0 (შ) | 90 წთ | 5 თ |
| ირაკლი კლიმიაშვილი | 22 | ანჟი | ყუბანი | 0:0 (შ) | არ უთამაშია, დუბლები | 0 |
| ლევან გვაზავა | 30 | ტერეკი | ლოკომოტ. | 0:4 (გ) | არ უთამაშია | 5 თ |
| ჯანო ანანიძე | 18 | სპარტაკი | კრილია | 1:0 (გ) | ტრავმა | 1 თ |
| **უკრაინა. პრემიერლიგა** | | | | | | |
| უჩა ლობჟანიძე | 24 | დნიპრო | არსენალი | 1:0 (შ) | სათადარიგო | 17 თ |
| სანდრო კობახიძე | 24 | არსენალი | დნიპრო | 0:1 (გ) | 32 წთ (შეცვლაზე) | 2 თ |
| ვასილ გიგიაძე | 33 | ტავრია | ოგოლონი | 3:1 (შ) | 45 წთ (შეცვლაზე) | 21 თ |
| ჯაბა ლიპარტია | 23 | ზარია | კრივბასი | 2:0 (გ) | 79 წთ (შეცვალეს) | 10 თ |
| თორნიკე ოქრიაშვილი | 19 | ილიჩივეცი | მეტალისტი | 0:3 (გ) | 69 წთ (შეცვლაზე) | 9 თ |
| ჯაბა კანკავა | 25 | კრივბასი | ზარია | 0:2 (შ) | სათადარიგო | 8 თ |
| მათე ღვინიანიძე | 24 | სევასტოპ. | მეტალურგი ზ. | 0:1 (გ) | 90 წთ, გააფრთხ. | 8 თ |
| სანდრო გურული | 25 | კარპატი | მეტალურგი დ. | 1:4 (გ) | 25 წთ (შეცვლაზე) | 17 თ |
| **ჰოლანდია. ერედივიზიე** | | | | | | |
| გურამ კაშია | 23 | ვიტესი | ექსელსიორი | 1:4 (შ) | 90 წთ | 28 თ, 3 გ |
| **დანია. ვიასატდივიზიონი** | | | | | | |
| დავით დევდარიანი | 23 | ორჰუსი | ფინი | 3:2 (გ) | არ უთამაშია | 23 თ, 9 გ |
| **რუმინეთი. პროლიგა** | | | | | | |
| აკაკი ხუბუტია | 25 | გაზ მეთანი | კლუჟი | 3:2 (შ) | 90 წთ | 27 თ, 1 გ |
| **ისრაელი. ლიგათ ჰაალი** | | | | | | |
| ლადო დვალიშვილი | 24 | მაქაბი ჰ. | შმონა | | დღეს | 28 თ, 12 გ |
| **კვიპროსი. I დივიზიონი** | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | 33 | ერმისი | ეთნიკოსი | 1:0 (შ) | 90 წთ | 28 თ, 5 გ |
| ლევან ქებაძე | 36 | ეთნიკოსი | ერმისი | 0:1 (გ) | არ უთამაშია | 25 თ, 2 გ |
| **ბელარუსი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| ზაზა ჭელიძე | 24 | ბრესტი | ტორპედო | 1:3 (შ) | 90 წთ | 5 თ, 1 გ |
| უჩა გოგოლაძე | 21 | ბრესტი | ტორპედო | 1:3 (შ) | არ უთამაშია | 2 |
| **პოლონეთი. ექსტრაკლასა** | | | | | | |
| ნიკა ძალამიძე | 19 | ვიძევი | ზაგლებიე | 2:1 (შ) | 20 წთ (შეცვლაზე) | 10 თ, 2 გ |
| **სერბეთი. სუპერლიგა** | | | | | | |
| გიორგი მერებაშვილი | 24 | ვოივოდინა | სუბოტიცა | 1:0 (შ) | 56 წთ (შეცვალეს) | 22 თ, 7 გ |
| **ბოსნია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| ლევან კუტალია | 21 | ზრინსკი | ჟელეზნიჩარი | 1:3 (გ) | 90 წთ | 10 თ, 2 გ |
| **უნგრეთი. შოპრონილიგა** | | | | | | |
| რატი ალექსიძე | 32 | ეტო | ვიდეოტონი | 1:2 (გ) | 90 წთ | 24 თ, 8 გ |
| გიორგი განუგრავა | 23 | ეტო | ვიდეოტონი | 1:2 (გ) | სათადარიგო | 11 თ, 1 გ |
| ლაშა თოთაძე | 22 | ეტო | ვიდეოტონი | 1:2 (გ) | 45 წთ (შეცვლაზე) | 7 თ, 1 გ |
| თემურ შარაშენიძე | 19 | ეტო | ვიდეოტონი | 1:2 (გ) | დუბლები | 6 თ |
| **იაპონია. ჯეი ლიგა** | | | | | | |
| დავით მუჯირი | 33 | სანფრეჩე | იოკაჰამა | 3:2 (შ) | 73 წთ (შეცვალეს), 1 გოლი | 6 თ, 2 გ |

სამბო. ევროპის ჩემპიონატი



# სამბისტთა ბულგარული წარმატება



საქართველოს ვაჟ სამბისტთა ნაკრები წარმატებით გამოვიდა სოფიაში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატში. **ოლეგ იაძის** შეგირდთა მონაგარი ხუთი მედალია - ერთი ოქრო და ორ-ორი ვერცხლ-ბრინჯაო. ბულგარეთში ყველაზე კარგად **უშანგი კუზანაშვილმა** (57) იასპარეზა - ყველა შეხვედრა მოიგო და კონტინენტის ჩემპიონი გახდა. ვიცე-ჩემპიონის ტიტული **კახა მამულაშვილმა** (74) და **მინდია ბოდაველმა** (90) მოიპოვეს, ბრინჯაოს მედლები კი **ნიკოლოზ კუციამ** (82) და **მირიან პავლიაშვილმა** (100) ირგუნეს. გუნდის წარმატებაში თავისი წვლილის შეტანა მძიმეწონოსან **ვახტანგ ზოიძესაც** შეეძლო, მაგრამ ბრინჯაოსთვის შეხვედრა წააგო და მეხუთეზე დარჩა.

კუზანაშვილი ევროპის შარშანდელი ჩემპიონია, ოლონდ მაშინ 52-ში გამოდიოდა, ახალ წონაში კი პირველად იჭიდავა, თუმცა შედეგი კვლავაც უცვლელია - ისევ პირველი ადგილი. ახალ წონაში სერიოზული განაცხადი ჯერ კიდევ მარტში გააკეთა, როცა მოსკოვში ერთ-ერთი პრესტიჟული ტურნირი - ხარლამპიევის სახელობის მსოფლიოს თასის ეტაპი მოიგო. ამის მიუხედავად, სოფიაში ამგვარ წარმატებას მას გადაჭრით მაინც ვერავინ უწინასწარმეტყველებდა, რადგან ახალ წონაში დამკვიდრებას და ადაპტაციას ყოველთვის დრო სჭირდება, თუმცა, საბედნიეროდ, ჩვენებურმა დროს დაასწრო. სოფიაში ჩემპიონობისთვის კუზანაშვილს სამი შეხვედრის მოგება დასჭირდა - ჯერ რუსი **ილია ტუხფატულინი** დაამარცხა, ნახევარფინალში ბელარუს **ივან ანიშკევიჩს** მოუგო, ფინალში კი აზერბაიჯანელ **ისლამ გასიმოვს** აჯობა.

კუზანაშვილმა ეს წარმატება შაბათს მოიპოვა, რაც მალამოსავით მოეცხო გუნდს. საქმე ისაა, რომ ჩემპიონატი პარასკევს დაიწყო და სასტარტო დღესვე იაძის გუნდს ორჯერ მიეცა ოქროს მოპოვების შანსი, მაგრამ ხელი მოეცარა - ბოდაველი და მამულაშვილი გადამწყვეტ შეხვედრაში დამარცხდნენ. ამიტომ ჩვენებურთა უხასიათობა გასაგებია, ამ ოქრომ კი გუნება გამოუკეთათ. არადა, პარასკევსაც ფინალში ორივე ისეთი ფალავანი ჭიდაობდა, რომელთაგანაც ერთზე მაინც იგეგმებოდა ჩემპიონობა. ალბათ, მწვრთნელები ამგვარ წარმატებას უფრო ბოდაველისგან ელოდნენ, მაგრამ მამულაშვილმაც ისე დაიწყო შეჯიბრება, ყველაზე ურწმუნოსაც კი იმედს ჩაუსახავდა - ჯერ რუსი **ალექსანდრ შაროვი** დაამარცხა, რომელსაც უკრაინელი **დმიტრო ბაბიჩუკიც** ზედ მიაყოლა. აქ საინტერესოა შემდეგი გარემოება - სამბოში რუსთა გავლენა და ავტორიტეტი საყოველთაოდ ცნობილია, შედეგად კი მათთან მოგება საბოლოო წარმატებასთან ასოცირდება, ხოლო ბაბიჩუკთან მამულაშვილმა ევროპის შარშანდელი პირველობის ფინალში წააგო! ცხადია, ორ უმთავრეს კონკურენტთან გამარჯვების შემდეგ მამულაშვილის საჩემპიონო შანსები გაიზარდა. სამწუხაროდ, მან გადამწყვეტ შეხვედრაში ვერც წლეულს იყოჩაღა და კვლავაც ვერცხლის მედალს დასჯერდა - ამჯერად ბელარუს **სტეფან პოპოვთან** დათმო შეხვედრა.

ბოდაველი ნაცნობ და ქართველ სამბისტ-ძიუდოისტთათვის უხერხულად ქცეულ მეტოქესთან, ბელარუს **ანდრეი კაზუსიონაკთან** დამარცხდა. ამ წაგებამდე ბოდაველმა რუს **შეიხ-მაგომედ ბაკაევსა** და ფრანგ **ვალენტინ იურდანს** აჯობა.

ნიკოლოზ კუციამ ჩვენებურთაგან ყველაზე მეტი - ოთხი შეხვედრა ჩაატარა. ნახევარფინალამდე მან აზერბაიჯანელი **ელმადინ ახმადოვს** და მოლდოველ **კონსტანტინ ტიპას** სძლია, იქ კი ევროპის შარშანდელ ჩემპიონთან, ბელარუს **ალექსეი სტეპანკოვთან** წააგო.

მირიან პავლიაშვილს იაძე ბევრს კი აკრიტიკებს არაპროფესიული ხასიათისთვის და იქნებ საფუძვლიანადაც, მაგრამ ეს ბიჭი რომ ჩვენს ნაკრებში ერთ-ერთი წარმატებულია, ესეც ფაქტია. პირველ წრეში მან ბულგარელი **მიროსლავ დებრელიევი** დაამარცხა, მაგრამ ნახევარფინალში უკრაინელ **იაროსლავ რიტკოსთან** ხელი იტკინა და წააგო. ამ ტრავმის გამო იყო საშიშროება, ბრინჯაოსთვის შეხვედრაში რუმინელ **იოან ნედელკუსთან** ველარ ეჭიდავა, თუმცა ეს შიში არ გამართლდა - პავლიაშვილმა იასპარეზა და მოიგო კიდეც.

ზოიძემ პირველ შეხვედრაში ესტონელი **დენის სმოლდარევი** დაამარცხა, მერე კი ზედიზედ ორი შეხვედრა წააგო - ჯერ ძირითად ბადეში ძიუდოდან ცნობილ ბულგარელ მომავალ ჩემპიონ **ივან ილიევთან**, მოგვიანებით კი - ბრინჯაოსთვისაც მომავალ მესამე პრიზიორთან, რუს **მიხაილ სტარკოვთან**.

ჩვენი გუნდიდან სოფიაში უმედლოდ მხოლოდ სამი წარმომადგენელი დარჩა. მათგანაც ორი დებიუტანტია - **დიმიტრი მულაძე** (52) და **ბექა იმერლიშვილი** (62), ხოლო **დავით სვიმონიშვილი** (68) მსოფლიოს შარშანდელი ვიცე-ჩემპიონია. სამწუხაროდ, ვერაფერს გეტყვით გუნდურ ჩათვლაზე, რადგან სამბო კვლავაც სპორტის იმ სახეობათა შორისაა, სადაც ოფიციალური საიტი და ინფორმაციების ოპერატიულად მოწოდება თვით ისეთ სოლიდურ შეჯიბრებებზეც კი უცხო ხილია, როგორიც ევროპის ჩემპიონატია.

**ირაკლი თავაძე**

*სურათზე: უშანგი კუზანაშვილი (შუაში)*

ძიუდო

# ოლიმპიური გამოწვევა გორში

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში „ოლიმპიური გამოწვევის" ეგიდით ატარებს შეჯიბრებებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში. 14 - 15 მაისს გორის გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის დარბაზმა ამ პროექტის ფარგლებში უმასპინძლა ცნობილი ფალავანის, შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს ტურნირს ჭაბუკთა შორის ათზე მეტი ქალაქის წარმომადგენელთა მონაწილეობით. აქვე იყო ერთობლივ წვრთნებზე გორში მყოფი აზერბაიჯანის ძიუდოს ორი კლუბის გუნდი. ორივე საშეჯიბრო დღეს დარბაზში სავსე ტრიბუნების წინ ჩაიარა.

ღონისძიებას უამრავი სტუმარი ესწრებოდა სპორტის სამინისტროდან, ძიუდოს ფედერაციიდან, ადგილობრივი ხელისუფლებიდან.

„ოლიმპიური გამოწვევის" ეგიდით ეს მეორე ღონისძიება იყო ჩვენ მიერ ორგანიზებული. პირველი ჩავატარეთ კარატეში. მეორე ძიუდოში და საამისოდ გორი იმიტომ შევარჩიეთ, რომ ტრადიცია აქვს ამ ქალაქს. ამასთან შოთა ჩოჩიშვილის სახელი მივანიჭეთ ამ ღონისძიებას. ბუნებრივია, გვინდა ამ ასაკშივე გამოვავლინოთ ის ტალანტები, რომლებიც ცოტა ხანში უკვე ასაკობრივი ნაკრებების თავკაცთა თვალთახედვის არეში მოხვდებიან. კარგია, რომ სტუმრებიც გვყავდა აზერბაიჯანიდან, რომლებმაც საკმაოდ მძაფრი კონკურენცია გაუწიეს ჩვენს ძიუდოისტებს. სულ ათზე მეტ ღონისძიებას ჩავატარებთ ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებში ბავშვთა და მოზარდთა ასაკში. ამის საშუალებებიც გვაქვს და რესურსიც. ასე რომ, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში სპორტსმენები თუ ზოგადად სპორტის ქომაგები საინტერესო სპორტული ღონისძიებების მოლოდინში უნდა იყვნენ", - გვითხრა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე **დავით ნამგალაურმა.**

გაგაცნობთ გამარჯვებულებსა და პრიზიორებს:

**გოგონები. 40 კგ** - 1. ეთერ ლიპარტელიანი (მესტია), 2. მარიამ ილურიძე (სამაჩაბლო), 3. ნატო ყიფშიძე და ქეთი ჩხეიძე (ორივე - თბილისი); **44 კგ** - 1. მზია ბებოშვილი, 2. ლიკა როგავა (ორივე - თბილისი), 3. ნინო ვართანიანი (წყნეთი) და მარი ზანგალაძე (სამაჩაბლო); **48 კგ** - 1. სალომე აბაშიძე, 2. თეა მარგიანი, 3. დიანა ურუსიანი და ინა გალუსტიანი (ოთხივე - თბილისი): **52 კგ** - 1. გურანდა შოთაძე (აჭარა), 2. სალომე მარგიანი, 3. სალომე მჭედლიშვილი და ტატიანა ჯოხაძე (სამივე - თბილისი). **57 კგ** - 1. მარი ჯანაშვილი 2. თამარ მჭედლიშვილი (ორივე თბილისი), 3. თამარ საითიძე და მარი მახარაშვილი (ორივე - გორი). **მძიმე** - 1. ანი მინდიაშვილი, 2. ნათია ყავრელიშვილი (ორივე გორი), 3. ხატია ჯანაშვილი და ნია ნატროშვილი (ორივე - დედოფლისწყარო)

**ბიჭები. 38 კგ** - 1. ასიმან რაგიმოვი (აზერბაიჯანი), 2. თორნიკე ტიტვინიძე (ქარელი), 3. ნიკო ჭიკაიძე (ახმეტა) და ვასილ ქერდიყოშვილი (გორი); **42 კგ** - 1. მეხტი ასკეროვი (აზერბაიჯანი), 2. არჩილ კუჭუაშვილი (საგარეჯო), 3. გიორგი დოლონაძე და გიორგი აბაშიძე (ორივე - თბილისი) **46კგ** - 1. არიფ გასიმოვი (აზერბაიჯანი), 2. თორნიკე მათიაშვილი (საგარეჯო), 3. გაგა იმერლიშვილი (ახმეტა) და ფუად ბეიბუტლუ (აზერბაიჯანი): **50 კგ** - 1. კამილ ჯაბაევი (აზერბაიჯანი), 2. დავით ოძელაშილი (თბილისი), 3. ირაკლი გოგატიშვილი (გორი) და ბექა ტერტერაშვილი (საგარეჯო); **55 კგ** - 1. რაუფ ხალილოვი, 2. ელვარ აბდულაევი (ორივე - აზერბაიჯანი), 3. ზაზა ბერაშვილი (გორი) და ჭაბუკა კირაკოზაშვილი (საგარეჯო); **60 კგ** - 1. სიმონ მამარდაშვილი (საგარეჯო), 2. ფადაილ სალიმანოვი, 3. ჰუსეინ ჯანატოვი (ორივე - აზერბაიჯანი) და დიმიტრი გიგაური (გორი); **66 კგ** - 1. მათე ბენდელიანი (ლენტეხი), 2. დავით იმერლიშვილი (ქარელი), 3. მათე გელაშვილი (ლენტეხი) და გიორგი შალვაშვილი (საგარეჯო); **73 კგ** - 1. დიმიტრი წურიაშვილი, 2. ვალერი ჭილლაძე (ორივე - გორი), 3. გიორგი თედიაშვილი (ქარელი) და ანდრო მაისურაძე (გორი); **მძიმე** - 1. თედო წოწინაშვილი (მცხეთა), 2. გიორგი ქანთარია (თბილისი), 3. გიორგი მჭედლიშვილი (გორი) და საბირ აგაევი (აზერბაიჯანი)

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან



გამარჯვებულებს აჯილდოებს
შოთა ჩოჩიშვილის ვაჟი რამაზ ჩოჩიშვილი

მძლეოსნობა

# სპორტის დედოფალს ფანებიც მოეფერებიან

გასულ უქმეებზე მთელ მსოფლიოში მეთექვსმეტედ აღინიშნა მძლეოსნობის საერთაშორისო დღეები. ქართველმა ათლეტებმა ეროვნულ სტადიონზე მოსინჯეს ძალები. გოგონები და ვაჟები ერთმანეთს ორ ასაკობრივ ჯგუფში ეჯიბრებოდნენ. პროგრამაში, დებულებით, სხვადასხვა დისტანციაზე რბენა შედიოდა, მაგრამ მწვრთნელთა თხოვნით ორგანიზატორებმა (მთავარი მსაჯი **ედუარდ ლომთაძე**) ხტომები და ტყორცნებიც დაამატეს. ეს იმით იყო განპირობებული, რომ მომავალ შაბათ-კვირას ახალგაზრდა მძლეოსანთა საქართველოს პირველობა გაიმართება, მაისის მიწურულს კი - ეროვნული ჩემპიონატი. ზოგიერთმა სპორტსმენმა ტურნირი სასინჯ სტარტად გამოიყენა. მაგალითად, სამხტომში **ნესტან დათუაშვილი** (თბილისი, 9,76) და **გიორგი რურუა** (მარტვილი, 12,14) ასპარეზობდნენ, უროს ტყორცნაში - თბილისელები: **სოფიო მათიაშვილი** (28,05), **ვერონიკა გალუზინსკაია** (თბილისი, 27,90), **გელა აბაშმაძე** (36,98) და **გიორგი ონიანი** (28,10), ბადროს ტყორცნაში - **ბესიკ ნიკლაური** (33,60), მარიამ ქანთარია (28,80) და **ქეთევან ქემოკლიძე** (ყველა-თბილისი, 17,40), ბირთვის კვრაში - **თორნიკე სვანიძე** (თბილისი, 13,34), **მუხტარ ალმაზოვი** (გარდაბანი, 11,08) და **ბესიკ ნიკლაური** (10,66).

საგულისხმოა, რომ შეჯიბრების პარალელურად ეროვნულ სტადიონზე მძლეოსნობის ფანკლუბი დაარსდა, რომლის შემადგენლობაშიც საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები გაერთიანდნენ. ისინი სპორტის ამ სახეობის მხარდასაჭერ აქციებს გამართავენ...

ახლა კი სხვადასხვა დისტანციაზე რბენაში გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას გაგაცნობთ.

**1994-1995 წლებში დაბადებულნი. გოგონები. 100 მ.** 1. სალომე სირაძე (ქუთაისი, 12,6), 2. სოფი ჩალაშვილი (თბილისი, 12,8), 3. სალომე ჩაბაკაური (თბილისი, 14,5). **200 მ.** 1. სოფი ჩალაშვილი (თბილისი, 26,5), 2. ანა ვახტანგაძე (თბილისი, 29,2), 3. სალომე ჩაბაკაური (თბილისი, 29,9). **400 მ.** 1. სოფიკო ჩილინგარაშვილი (ახალციხე, 1.01,7), 2. ანა ვახტანგაძე (თბილისი, 1.04,6), 3. თამრიკო შამოევა (თბილისი, 1.06,2). **800 მ.** 1. თინათინ პაპუაშვილი (ბორჯომი, 2..23,3), 2. სოფიო ჩილინგარაშვილი (ახალციხე, 2.31,7). **1500 მ.** 1. თინათინ პაპუაშვილი (ბორჯომი, 5.05,9), 2. ანიჩკა მურადიანი (ახალციხე, 5.33,3). **3000 მ.** 1. ანიჩკა მურადიანი (ახალციხე, 11.54,9), 2. თამრიკო შამოევა (თბილისი, 13.09,0). **სიგრძეზე ხტომა.** 1. ნესტან დათუნაშვილი (თბილისი, 4,72), 2. მირანდა გოგოჭური (თბილისი, 4.51), 3. ელიზა გაჯიევა (თბილისი, 3.73). **ვაჟები. 100 მ.** 1. გიგა ჭიკაძე (თბილისი, 11,4), 2. გიორგი აზარაშვილი (თბილისი, 11,6), 3. ბესო სამხარაძე (გარდაბანი, 13,3). **200 მ.** 1. გიგა ჭიკაძე (თბილისი, 23,3), 2. თემო აზრუმელაშვილი (თბილისი, 24,6), 3. ვაჟა ძაგანია (ფოთი, 25,3). **400 მ.** 1. დათო ძიმისტარაშვილი (ქუთაისი, 53,7), 2. ნიკა დაგარგულია (ზუგდიდი, 56,3), 3. ვაჟა ძაგანია (ფოთი, 56,8). **800 მ.** 1. არმენ სტეფანიანი (ბორჯომი, 2.07,1), 2. ნიკა დაგარგულია (ზუგდიდი, 2.11,9), 3. დავით ძიმისტარაშვილი (ქუთაისი, 2.12,2). **1500 მ.** 1. არმენ სტეფანიანი (ბორჯომი, 4.35,2), 2. რევაზ დაგარგულია (ზუგდიდი, 4.54,6).

**სიგრძეზე ხტომა**. 1. ლაშა ლულელაური (ახმეტა, 7,19), 2. ლაშა ნუცუბიძე (ქუთაისი, 5,96), 3. გიორგი რურუა (მარტვილი, 5,48). **სიმაღლეზე ხტომა**. 1. ავთო ლონლაძე (ქუთაისი, 165), 2. დათო ალხანიშვილი (მარტვილი, 160), 3. ლაშა ნუცუბიძე (ქუთაისი, 160).

**1996-1999 წლებში დაბადებულნი. გოგონები. 80 მ.** 1. მარიამ ბედუკაძე (თბილისი, 10,6), 2. ალექსანდრა მშვიდობაძე (თბილისი, 10,7), 3. ანი სირაძე (ქუთაისი, 10,8). **150 მ.** 1. მარიამ ბედუკაძე (თბილისი, 20,3), 2. ალექსანდრა მშვიდობაძე (თბილისი, 20,6), 3. ნინო ზიბზიბაძე (თბილისი, 21,5). **1000 მ.** 1. დიანა ჯინისიანი (ახალციხე, 3.24,8), 2. მარი მიროტაძე (ჭიათურა, 3.25,8), 3. სალომე ფოცხვერაშვილი (ბორჯომი, 3.29,3). **ვაჟები. 80 მ.** 1. გიგა ბერძენიშვილი (თბილისი, 9,6), 2. ვაჟა უტურაშვილი (თბილისი, 9,7), 3. ნოდარ ტატალაშვილი (ახალციხე, 10,3). **150 მ.** 1. გიგა ბერძენიშვილი (თბილისი, 17,8), 2. ვაჟა უტურაშვილი (თბილისი, 18,6), 3. თორნიკე კვანტალიანი (ქუთაისი, 18,9). **1000 მ.** 1. რუდიკ მინასიანი (ახალციხე, 2.59,3), 2. გელა ტაბატაძე (ახალციხე, 3.02,0), 3. თორნიკე კვანტალიანი (ქუთაისი, 3.03,8).

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტ **ალექსი ახვლედიანსა** და ფანკლუბის დაფუძნების ერთ-ერთ ორგანიზატორ **მათე ტაკიძეს** ვესაუბრე, რომელსაც „ლელოს" ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.

**ვაჟა დანელია**



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უნივერსიადა 2011


თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# ტექნიკოსები ტრადიციას ერთგულებენ

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ეროვნულმა ფედერაციამ (პრეზიდენტი **ნიკოლოზ ამაშუკელი**) ... ლსაჩინოდ გამოაცოცხლა სტუდენტური სპორტული ცხოვრება. 14 მსხვილი უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები დიდი ინტერესით და ხალისით მონაწილეობენ სპორტის ყველასთვის ხელმისაწვდომ სახეობებში. უნივერსიადის პრ...რამით კარატეში, მაგიდის ჩოგბურთსაი და ტყვიით სროლაში შედეგების შეჯამების შემდეგ საერთო გუნდურ ჩათვლაში თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი ათლეტები ლიდერობენ. ცხრილში, რომელსაც აქვე გთავაზობთ, მოცემულია ვის რამდენი და რა ხარისხის მედალი აქვს მოპოვებული.

ტექნიკური უნივერსიტეტი სპორტული ტრადიციების ერთგული რჩება, რასაც თსუ-ზე ვერ ვიტყვით.

| | ო | ვ. | ბ. | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. სტუ | 2 | 2 | 2 | 6 |
| 2. ილიას უნივერსიტეტი | 2 | 0 | 0 | 2 |
| 3. სასულიერო აკადემია | 1 | 1 | 1 | 3 |
| 4. აგრარული უნ. | 1 | 0 | 2 | 3 |
| 5. ბათუმის საზღ. აკად. | 1 | 0 | 0 | 1 |
| 6. სამხატვრო აკად. | 1 | 0 | 0 | 1 |
| 7. რკინიგზ. უმაღ. სასწ. | 1 | 0 | 0 | 1 |
| 8. თსუ | 0 | 2 | 0 | 2 |
| 9. ბათუმის სახელმ. უნ. | 0 | 1 | 1 | 2 |
| 10. სამედიცინო უნ. | 0 | 1 | 0 | 1 |
| 11. ქუთ. ა. წერეთლის უნ. | 0 | 1 | 0 | 1 |
| 12. საერთ. ურთიერთ. უნ. | 0 | 1 | 0 | 1 |
| 13. სეუ | 0 | 0 | 5 | 5 |
| 14. საქართველო | 0 | 0 | 2 | 2 |

„უნივერსიადა 2011" გრძელდება.

**თენგიზ თომაშვილი**

## ჭადრაკი

# დაზავებით ლიდერობა შეინარჩუნეს

ერთდღიანი შესვენების შემდეგ „შერატონ მეტეხი პალასში" გუშინ განახლდა მოჭადრაკე ქალთა ევროპის ჩემპიონატი. ყველაზე დიდ ინტერესს, ცხადია, ტურის ცენტრალური შეხვედრა იწვევდა: 6-6 ქულით დაწინაურებული **ბელა ხოტენაშვილი** და **ვიქტორია ჩმილიტე** (ლიტვა) დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მეტოქეებმა ზენონის დაცვა გაითამაშეს. მე-13 g4 სვლით ქართველმა დიდოსტატმა არაორდინარული გადაწყვეტილება მიიღო - თეორიას გადაუხვია და პოზიცია გაართულა. ენდშპილში გადასვლისას ბევრად უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა, მაგრამ ბოლომდე მისი რეალიზება ვერ მოახერხა და მეტოქეს ნახევარი ქულის მოპოვების შანსი მისცა. ამდენად, რვა ტურის შემდეგ ჩმილიტე და ხოტენაშვილი 6,5-6,5 ქულით კვლავ ლიდერებად რჩებიან. შვიდი ტურის შემდეგ 5,5-5,5 ქულით მესამე-მეხუთე ადგილებს **ლელა ჯავახიშვილი**, ორგზის ევროპის ჩემპიონები - **კატერინა ლახნო** (უკრაინა) და **პია კრამლინგი** (შვედეთი) იყოფდნენ. გუშინ დაზავდნენ კრამლინგი-ჯავახიშვილი, ანა მუზიჩუკი (სლოვენია) და ლახნო. ხუთქულიანთაგან წარმატებას მიაღწიეს ტატიანა კოსინცევამ (რუსეთი), ელინა დანიელიანმა (სომხეთი), ანტოანეტა სტეფანოვამ (ბულგარეთი) და **ქეთევან არახამია-გრანტმა,** რომლებმაც, შესაბამისად, სალომე მელია, ჰოანგ თან თრანგი (უნგრეთი), ანასტასია ბოდნარუკი (რუსეთი) და ლილით გალოიანი (სომხეთი) დაამარცხეს. დაზავდნენ: **ნინო ხურციძე**-ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი), ანასტასია სავინა (რუსეთი)-ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი), **ნაზი პაიკიძე**-ევგენია ოვოდი (რუსეთი), ხოლო მარია რომანკომ (რუსეთი) თეთრებით **ნინო ბაციაშვილთან** წააგო.

რვა ტურის შემდეგ სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ჩმილიტე, ხოტენაშვილი-6,5-6,5, დანიელიანი, ლახნო, სტეფანოვა, ჯავახიშვილი, კრამლინგი, ტ. კოსინცევა, არახამია-გრანტი-6-6, პაიკიძე, ოვოდი, ნ. კოსინცევა, ა. მუზიჩუკი, ხურციძე, სავინა, კოსტენიუკი, ბაციაშვილი, მანაკოვა, მატვეევა-5,5-5,5 ქულა.

დღეს მე-9 ტურში ითამაშებენ: ჩმილიტე-კრამლინგი, ლახნო-ხოტენაშვილი, დანიელიანი-ტ. კოსინცევა, ჯავახიშვილი-სტეფანოვა, კოსტენიუკი-არახამია-გრანტი, ნ. კოსინცევა-სავინა, ოვოდი-ა. მუზიჩუკი, ბაციაშვილი-ხურციძე, მატვეევა-პაიკიძე, ბოდნარუკი-მანაკოვა, სოფიო გურამიშვილი (5)-ჰოანგ თან თრანგი (5), ნათია ჯანჯღავა (5)-ევა მოზერი (5), მელია (5)-ბულმაგა (5), მერი არაბიძე (5)-ნანა ძაგნიძე (4,5)...



**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

## ავტოსპორტი

# პრეზიდენტი დიდ რბოლებში

„ლეგენდა" - ასე ჰქვია ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ ეტაპს ავტორბოლაში, რომელიც ამ დღეებში გაიმართა დანიის „პადბორგის" ტრასაზე. დანიის, ბელგიის, ჰოლანდიის, საფრანგეთის, რუსეთის და სხვა ქვეყნების მრბოლთა შორის იყო თბილისელი **შოთა აფხაზავა,** რომელმაც ეტაპის სამი რბოლიდან ორჯერ მეხუთე იყო, ბოლო სტარტი კი მეოთხე ადგილზე დაასრულა.

2008-2010 წლებში შოთა აფხაზავას ზემოხსენებული ასპარეზობის რუსეთის სერია აქვს მოგებული. 2008 წელს ლას-ვეგასში ფინალურ ეტაპზე მეორე შედეგი ჰქონდა. აი, ევროპის ჩემპიონატში კი პირველად გამოვიდა.

**შოთა აფხაზავა საქართველოს საავტომობილო სპორტის ასოციაციის (სსსა) პრეზიდენტი, პროფესიონალი საბრძოლო ინჟინერი და „ფორმულა 3"-ის საავტომობილო კლასის კონსტრუქტორია. ამჟამად მისი ინვესტირებით ხორციელდება რუსთავის ავტოდრომის რეკონსტრუქცია.**

**თენგიზ თომაშვილი**

## სუმო. ნაცუ ბაშო. 8-22 მაისი



# ტოჩინოშინი იბრძვის ჩემპიონობისთვის

ტოკიოში ზაფხულის ბაშომ ეკვატორი გადაკვეთა და სასიხარულოა, რომ საჩემპიონო ბრძოლაში ქართველიც მონაწილეობს - 23 წლის მე-6 მაეგაშირა **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** 7-1 ბალანსით ლიდერთა შორისაა.

ამ უქმეებზე ლევანმა ორი ორთაბრძოლა მოიგო. შაბათს მან უხერხულ მეტოქე **ასასეკირიუს** აჯობა. „წითელ გველეშაპს" სურდა, ხერხით ეჯობნა ქართველისთვის, მაგრამ სასტარტო დაჯახებისგან თავის არიდება ლევანმა მონღოლს არ დაანება. ამის მიუხედავად, ღონიერ ტოჩინოშინს 2 წუთზე მეტი ხანი დასჭირდა მეტოქის დოჰიოს რკალიდან გასაყვანად.

გუშინ ტოჩინოშინი მე-9 მაეგაშირა **ტოსაიუტაკას** შეხვდა. გამარჯვება ჩვენებურს აქაც ძნელად ერგო - დიდი ხანი ვერ ახერხებდა ქართველი მისთვის მოსახერხებელი დგომის მიღებას შესატევად. ბოლოს ტოჩინოშინმა ჰაერში აიტაცა მეტოქე, მაგრამ რკალს მიღმა მაინც ვერ გაიყვანა, ამიტომაც უვატენაგეს ილეთით დააგდო ტოსაიუტაკა კიდესთან.

ამით ლევანმა 2009 წლის ნოემბრის ბაშოს შედეგი გაიმეორა, როცა 8 დღის შემდეგ 7-1 ბალანსი ჰქონდა, საბოლოოდ კი ვიცე-ჩემპიონი გახდა 12-3 ბალანსით. ტოჩინოშინის დღევანდელი მეტოქე 27 წლის **ვაკაკოიუა**, რომელიც მე-10 მაეგაშირას სტატუსით გამოდის მაისის ბაშოზე. ჩვენებური ორჯერ შეხვედრია იაპონელს, 2007 და 2008 წლებში და ორჯერვე უჯობნია.

ცუდი უქმეები ჰქონდა მე-14 მაეგაშირა **გაგამარუს (თეიმურაზ ჯუღელი)**, მან ორივე ორთაბრძოლა წააგო და 3-5 ბალანსით თავი კვლავ ხიფათში ჩაიგდო, ასე ელიტიდან გავარდნამდე შორი აღარაა. 200-კილოიანმა ქართველმა შაბათს **ტოჩინოვაკას** მავაშის დაჭერის საშუალება მისცა და მეტოქემაც იოლად განახორციელა უვატენაგეს ილეთი. გუშინ გაგამარუ დოჰიოზე დაუმარცხებელი დებიუტანტის წინააღმდეგ დადგა - ბრაზილიელი **კაისეი** ამ ბაშოს ნამდვილი აღმოჩენაა. კაისეი ორივე ხელით ჩაეჭიდა ქართველის მავაშის და ყველაზე მძიმე რიკიში დოჰიოს კიდემდე მიიყვანა, მაგრამ თეიმურაზმა მას უვატენაგეს ილეთის განხორციელების საშუალება არ მისცა. თუმცა **რიკარდო სუგანომ** (კაისეის ნამდვილი სახელი და გვარია) ტაქტიკა შეცვალა და ჩვენებური სუკუინაგეს ილეთით დაამარცხა. დღეს გაგამარუ მძიმეწონოსან **მიაბიამას** დაეჭიდება. ყოფილ ოძეკის ის პირველად შარშან შეხვდა და ჰიკიოტოშით დამარცხდა.

ძურიოს დივიზიონში მოასპარეზე **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** ერთი ორთაბრძოლა მოიგო და ერთი წააგო. „შავ ზღვას" 2-6 ბალანსი აქვს და დღეს **იოშიაზუმას** შეერკინება.

ბაშოს ორი დაუმარცხებელი სუმოისტი ლიდერობს - ერთი დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰოა**, მეორე კი რანგით ელიტის უკანასკნელი რიკიში, დებიუტანტი კაისეი. მათ უკვე გაინაღდეს დადებითი ბალანსი. 7-7 მოგებაც მხოლოდ ორს აქვს, ლევან გორგაძეს და ესტონელ ოძეკი **ბარუტოს**. მოკლედ, ლიდერთა ოთხეულში ერთი იაპონელიც არ არის. ჩემპიონობისთვის ბრძოლის შანსს ინარჩუნებს ვეტერანი ოძეკი **კაიო** (6 მოგება).

### VII დღე

**მაკუუჩი:** ჰაკუჰო-კაკურიუ (იორიკირი), ბარუტო-კიტატაიკი (ცურიდაში), ოკინოუმი-ჰარუმაფუჯი (იორიტაოში), კოტოოშუ-ამინიშიკი (იორიკირი), კაიო-კოტოშოგიკუ (ჰიკიოტოში), კისენოსატო-გოეიდო (ცუკიოტოში), ტოიონოშიმა-ჰომაშო (იორიკირი), ტაკეკაძე-ტოჩიოძანი (იორიკირი), იოშიკაძე-არანი (მსაჯთა გადაწყვეტილებით), ვაკანოსატო-კიოკუტენჰო (იორიკირი), ტამავაში-ტოსაიუტაკა (ცუკიდაში), **ტოჩინოშინი**-ასასეკირიუ (იორიკირი), ვაკაკოიუ-შოტენრო (ოშიდაში), ტოჩინოვაკა-**გაგამარუ** (უვატენაგე), ტოჩინონადა-ტოიოჰიბიკი (ცუკიოტოში), კიმურაიამა-ტოკიტენკუ (ჰიკიოტოში), კაისეი-ტაკამისაკარი (იორიკირი), მიაბიამა-ტამანოშიმა (ოკურიდაში); **ძურიო:** შირონორიუ-**კოკაი** (ვატაშიკომი).

### VIII დღე

**მაკუუჩი:** ჰაკუჰო-ოკინოუმი (შიტატედაშინაგე), კაკურიუ-ჰარუმაფუჯი (ჰატაკიკომი), კოტოოშუ-ტოიონოშიმა (ოშიდაში), კაიო-ამინიშიკი (ჰატაკიკომი), ბარუტო-ტაკეკაძე (იორიკირი), ჰომაშო-კისენოსატო (ჰიკიოტოში), კოტოშოგიკუ-გოეიდო (იორიკირი), კიტატაიკი-ტოჩიოძანი (ოშიდაში), იოშიკაძე-ვაკანოსატო (ჰიკიოტოში), კიოკუტენჰო-არანი (იორიკირი), **ტოჩინოშინი**-ტოსაიუტაკა (უვატენაგე), ტამავაში-ვაკაკოიუ (ჰატაკიკომი), შოტენრო-ტოჩინოვაკა (ოშიდაში), კიმურაიამა-ასასეკირიუ (ოშიდაში), ტოიოჰიბიკი-მიაბიამა (ოშიდაში), ტაკამისაკარი-ტოკიტენკუ (იორიკირი), ტოჩინონადა-სადანოუმი (შიტატენაგე), კაისეი-**გაგამარუ** (სუკუინაგე); **ძურიო: კოკაი**-ტაკაიასუ (იორიკირი).

### სატურნირო მდგომარეობა

**8-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), კაისეი (მაეგაშირა 16).

**7-1:** ბარუტო (ოძეკი), **ტოჩინოშინი** (მ 6).

**6-2:** კაიო (ოძეკი), კოტოშოგიკუ (სეკივაკე), იოშიკაძე (მ 7), ტოიოჰიბიკი (მ 12)... **3-5:** **გაგამარუ** (მ 14).

### IX დღე

**მნიშვნელოვანი ბრძოლები - მაკუუჩი:** ჰაკუჰო-ტაკეკაძე, კოტოოშუ-ოკინოუმი, კაიო-კაკურიუ, ბარუტო-ტოიონოშიმა, ჰარუმაფუჯი-არანი, კოტოშოგიკუ-ჰომაშო, კისენოსატო-ტოჩიოძანი, გოეიდო-კიტატაიკი, ამინიშიკი-ვაკანოსატო, **ტოჩინოშინი**-ვაკაკოიუ, **გაგამარუ**-მიაბიამა; **ძურიო: კოკაი**-იოშიაზუმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ჩოგბურთი

# ქვაცაბაია ფინალს ვერ შეწვდა, ჩახნაშვილი ძირითად ბადეს



გასულ კვირას ჩვენს თანამემამულეთაგან კორტებს ბოლომდე 22 წლის **სოფიო ქვაცაბაია** (412) შემორჩა, რომელიც სტამბოლის საერთაშორისო ტურნირში ასპარეზობდა. მართალია, ქართველმა წინა კვირის მიღწევა (მაშინ სტამბოლში ანალოგიური ტურნირი მოიგო) ვერ გაიმეორა, მაგრამ მაინც აქტივში ჩავუთვლით ამ გამოსვლას. მე-3 ნომრად განთესილი ქვაცაბაია ნახევარფინალში მე-8 ნომრად განთესილ იტალიელ **ანდრეა-როქსანა ვაიდეანუსთან** (757) დამარცხდა - 2:6, 2:6. ქვაცაბაიამ 6 სარეიტინგო ქულა გაინაღდა.

28 წლის **მაკა ჩახნაშვილმა** ვტა-ს პრემიერ კატეგორიის ტურნირში სცადა ძალები - ის ბრიუსელის „ლედის ოფენზე" საკვალიფიკაციო ბადეში ჩაერთო, მაგრამ პირველ წრეში მასპინძელ **ალისონ ვან უიტვანკთან** დამარცხდა - 3:6, 2:6. აღსანიშნავია, რომ იმავე ბადეში მე-6 ნომრად **ოქსანა კალაშნიკოვაა** განთესილი და ის მეორე წრიდან იწყებს ბრძოლას.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ნაგვიანები გამარჯვება

„დევისის თასის" ევროპა-აფრიკის III ჯგუფში საქართველოს ნაკრებმა (კაპიტანი **ვიქტორ ბაქში**) საბოლოოდ 12 ნაკრებში საზიარო მე-9 ადგილი (სან მარინოსთან ერთად!) დაიკავა. ჩვენი გუნდი გაისადაც ამავე ჯგუფში ითამაშებს. მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში ორგანიზატორებმა II ჯგუფის 2 საგზურისთვის მებრძოლი 12 გუნდი 4 სამნაკრებიან ქვეჯგუფად დაჰყვეს, საიდანაც ბრძოლას პლეი ოფში მხოლოდ გამარჯვებულები აგრძელებდნენ. ჩვენ უკვე ვწერდით საქართველოს ნაკრების ორი წაგების შესახებ ც ქვეჯგუფში. დავამატებთ მხოლოდ, რომ სომხებთან მარცხში (1:2) ერთადერთი მოგება ნაკრებს **ალექსანდრე მეტრეველმა** მოუტანა. ჩვენი ქვეჯგუფის ბოლო მატჩში ჩერნოგორიამ 2:1 დაამარცხა სომხეთი და პლეი ოფში გავიდა.

ამის შემდეგ ჩვენებმა კიდევ ერთი მატჩი გამართეს - მე-9 ადგილისთვის ბრძოლაში მალტის ნაკრებს 3:0 მოუგეს. **გიორგი ცივაძემ დენზილ აგიუსს** სძლია - 6:2, 6:0. ხოლო ალექსანდრე მეტრეველმა **მარკ გატს აჯობა** - 6:1, 6:0. წყვილებში **ნიკა დოლიძემ** და ალექსანდრე მეტრეველმა აგიუსსა და გატს მოუგეს - 6:0, 6:3.

ევროპა-აფრიკის II ჯგუფის საგზურები თურქეთისა და მოლდოვის ნაკრებებმა მოიპოვეს. თურქებმა მასპინძელ მაკედონიელებს მოუგეს - 2:0, ხოლო მოლდოველებმა - ჩერნოგორიას - 2:1.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. რისკი; 8. ფოქსტროტი; 9. დრეიფი; 10. ნიკუ; 11. კლასიფიკაცია; 13. ძალამიძე; 16. იონანიძე; 18. თამასა; 21. "გიმარაეში"; 22. ინიესტა; 24. ხავი; 25. ბირჰოფი; 26. პიაფე; 28. ლამპარდი; 29. ევანსი.

**შვეულად:** 1. რუდაკოვი; 2. სმეტანინა; 3. ინფაიტინგი; 4. ნორაკიძე; 5. ასა; 6. არენა; 7. სტეკი; 12. ცალქალამანიძე; 14. მთავარი; 15. ძიაპშიპა; 17. ძენგა; 19. გეიმბოლი; 20. ტიურამი; 23. სროლა; 27. ფია.

# ოლიმპიური საქართველო 1952-2012

## ჰელსინკიდან-ლონდონამდე

„საქართველო თავისი ტერიტორიითა და მოსახლეობით პატარა სახელმწიფოა, თავისი სპორტული ტრადიციებითა და პოტენციალით კი დიდი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება“.

ხუან ანტონიო სამარანჩი

### ოლიმპიადიდან ოლიმპიადამდე

# 1964–1968




1964 წლის ოლიმპიურ თამაშებში მოპოვებულმა წარმატებებმა ქართული სპორტის სწორი გზით განვითარების უტყუარობა დაადასტურა. საბჭოთა კავშირის სპორტის მმართველ სტრუქტურებში უკვე აშკარად ლაპარაკობდნენ იმ გამოცდილების განზოგადებაზე, რაც საქართველოში დაგროვდა და, რაც მთავარია, წარმატებით გაიარა გამოცდა. შედეგის მომტანი მდგრადი სისტემა ყველა რგოლში და დონეზე თავდადებული შრომის შედეგად ჩამოყალიბდა. გაოცებას იწვევდა სპორტის სათამაშო სახეობებში წინსვლა, დაწინაურდა ცურვა, წყალში ხტომა. ქართული და მსოფლიოს ველოსპორტის ისტორიაში ამობრწყინდა ახალი ვარსკვლავი — **ომარ ფხაკაძე.** ომარმა ქართველ ველოსიპედისტთა შორის პირველმა მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული 1965 წლის 9 სექტემბერს ესპანეთის ქალაქ სან სებასტიანში გამართულ პლანეტის უძლიერეს მრბოლებთან ტრეკზე შეჯიბრებაში. მეხიკოს ოლიმპიადისთვის მას უკვე ბადალი არ ჰყავდა მთელ საბჭოეთში და ღირსეულად დაიმკვიდრა ოლიმპიურ ნაკრებში ადგილი. ასევე პირველად მოხვდა რჩეულთა შორის ოლიმპიურ ნაკრებში მესტენდური — **შოთა ქველიაშვილი.** პირველად გაემგზავრა ოლიმპიადაზე ქართველი მოცურავე ქალი, ეს იყო **თინათინ ლეკვეიშვილი.** არ შეიძლება არ აღინიშნოს **ვიქტორ სანეევის** სენსაციური წინსვლა 1968 წლის ოლიმპიურ ციკლში, პირველად მან თავი გამოიჩინა საკავშირო ჩემპიონატში, ოლიმპიადის წელს კი ორგზის გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი სამხტომში, ხოლო ოლიმპიადაზე პირველად მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი. რამდენიმე ქართველი ათლეტი უკვე ზედიზედ მეორედ მოხვდა საკავშირო ოლიმპიურ ნაკრებში.

1968 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება კარგად იქნა გამოყენებული საქართველოში სპორტის პოპულარობისა და მასობრიობის დონის ასამაღლებლად. საქართველოს ოლიმპიელთა მიღწევები სტიმულს აძლევდა ახალგაზრდა სპორტსმენებს. არნახულად სწორედ სპორტის იმ სახეობისადმი გაიზარდა სწრაფვა, სადაც მისაბაძი მაგალითი ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები იყვნენ.

**მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში საქართველოდან მონაწილეობდა 14 სპორტსმენი. ეს წინა ოლიმპიადასთან შედარებით ოთხით ნაკლები იყო, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ უზარმაზარ საბჭოთა კავშირში სპორტს ყველამ აუღო ალღო და ოლიმპიურ სარბიელზე თავმომწონედ გამოსვლა ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ღირსების საქმედ იქცა. ამდენად, უმწვავესი კონკურენციის პირობებში ჩვენი 14 ოლიმპიელის გამგზავრება მეხიკოში სულაც არ ყოფილა უკან გადადგმული ნაბიჯი.**

**თენგიზ თომაშვილი**

### შეკითხვა ლელოს

**კითხვა:** ინტერნეტის ერთ-ერთ საიტზე საქართველოდან ოლიმპიურ ჩემპიონთა ჩამონათვალში ოქროს მედალოსანთა შორის (ჰელსინკი, 1952 წ) მოხსენიებულია გალინა შარაბიძე. ვფიქრობ, შეცდომაა, რადგან აქამდე ვიცოდით, რომ გვყავს 33 (და არა 34) ოლიმპიური ჩემპიონი, რომლებსაც 36 ოქროს მედალი (და არა 37) აქვთ მოპოვებული. რაშია საქმე. გვთხოვთ გაგვარკვიოთ.

**ლაშა მინდელი**
თბილისი

**პასუხი:** თქვენი ეჭვი უსაფუძვლო არ არის. სწორედ, რომ 33 და 36 და არა 34 და 37. გთავაზობთ ამონაწერს „სპორტის ენციკლოპედიიდან“ (თბილისი, 2006): **„გალინა შარაბიძე (მინაიჩევა)** დაიბადა 29. 12. 1929, მოსკოვი (რუსეთი). სპორტული ტანვარჯიში. 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში... 1953 წლამდე გამოდიოდა მოსკოვის სახელით“. ასე რომ, ამ ტანმოვარჯიშის 1952 წლის მიღწევის საქართველოს ოლიმპიელთა წარმატებებში მითვლა უსაფუძვლოა.

### თქვენთვის, ერუდიტებო

**ვიქტორინა**

**ეძღვნება XX ოლიმპიურ თამაშებს**

**1. სად ჩატარდა მეხიკოს შემდეგ მომდევნო ოლიმპიური თამაშები 1972 წელს?**
ა — მონრეალში
ბ — მოსკოვში
გ — მიუნხენში

**2. რამდენი ოქროს მედალი მოიპოვეს საქართველოს ათლეტებმა 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებში?**
ა — 4
ბ — 6
გ — 8

**3. საქართველოს სპორტსმენებმა სულ რამდენი მედალი მოიპოვეს XX ოლიმპიურ თამაშებში?**
ა — 5
ბ — 8
გ — 11

**4. რომელმა ქართველმა სპორტსმენმა მოიპოვა 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებში მეხიკოს შემდეგ ზედიზედ მეორედ ვერცხლის მედალი?**
ა — რომან რურუამ
ბ — დიტო შანიძემ
გ — შოთა ქველიაშვილმა

**5. საქართველოდან რამდენი სპორტსმენი მონაწილეობდა 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებში?**
ა — 16
ბ — 18
გ — 21

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-გ, 4-ბ, 5-ა

### საქართველოს სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებზე



**ვიქტორ სანეევი**

**დაიბადა** 03. 10. 1945, სოხუმში. მძლეოსნობა, სამხტომი. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი (1968, მეხიკო-17,39მ; 1972, მიუნხენი-17,35მ; 1976, მონრეალი-17,29 მ) და მეორე პრიზიორი (1980, მოსკოვი-17,24), ევროპის ზამთრისა და ზაფხულის ჩემპიონატებში რვაგზის გამარჯვებული (1969-72, 74-77) და ორგზის მეორე პრიზიორი (1971, 78), სსრკ ექვსგზის ჩემპიონი (1968-70, 73-74, 78) და მეორე პრიზიორი (1967), სსრკ ხალხთა V (1971) და VI (1975) სპარტაკიადების ჩემპიონი, ევროპის თასის ოთხგზის მფლობელი (1970, 73-75), მსოფლიოს უნივერსიადის ჩემპიონი (1971), სამგზის მსოფლიო რეკორდსმენი (1968-17,23 და 17,39 მ; 1972-17,44 მ), საუკეთესო პირადი შედეგი-17,44 მ. საქართველოს სამგზის წლის საუკეთესო სპორტსმენი (1968, 72, 76). საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი (ოქროს პრიზი). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. სოკის, ღირსების, ვახტანგ გორგასლის I და II ხარისხის ორდენების კავალერი. 1992 წლიდან ცხოვრობს ავსტრალიაში და არის ამ ქვეყნის მოქალაქე. სიდნეის ოლიმპიადაზე (2000) იყო საქართველოს ოლიმპიური ატაშე.



**რომან რურუა**

დაიბადა 25. 11. 1942, მუხურჩაში, მარტვილი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (63 და 68 კგ). 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიადის მეორე პრიზიორი, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი (1966, 67, 69, 70). სსრკ ხალხთა III, IV, V სპარტაკიადების ჩემპიონი (1963, 76, 71), სსრკ სამგზის ჩემპიონი (1964, 65, 70), ივან პოდდუბნის სახელობის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული (1966). იყო საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი (1984-85) და სსრკ ნაკრების მწვრთნელი (1984-87). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ღირსების, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის, სოკ-ისა და ფილა-ს ორდენების კავალერი.

# წლები და შედეგები

## ოლიმპიადა: XIX, 1968 წ. მეხიკო

***I ადგილი:* ვიქტორ სანეევი** - მძლეოსნობა (სამხტომი); **რომან რურუა** - ბ\რ ჭიდაობა (63კგ).

***II ადგილი:* შოთა ლომიძე** - თავისუფალი ჭიდაობა (97 კგ); **დიტო შანიძე** - ძალოსნობა (60კგ, სამჭიდი).

***III ადგილი:* ზურაბ საკანდელიძე** - კალათბურთი; **სერგეი კოვალენკო** - კალათბურთი.

***IV ადგილი:* თინათინ ლეკვეიშვილი** - ცურვა (კომბინირებული ესტაფეტა, 25-ე 200მ გულაღმა); **ომარ ფხაკაძე** - ველოსპორტი ( ტრეკი. სპრინტი), **შოთა ქველიაშვილი** - სროლა (მაშხანა).

***V ადგილი:* ზარბეგ ბერიაშვილი** - თავისუფალი ჭიდაობა (70).

**I – VI ადგილებს მიღმა დარჩნენ: *ბორის პოლულიახი*** - წყალში ხტომა (ტრამპლინი, XX ადგილი), **გურამ გუდაშვილი** - მძლეოსნობა (ბადრო), **ლუდმილა ივლევა** - მძლეოსნობა (80მ თარჯრბენი), **იგორ დელა-როსა** - მძლეოსნობა (სპორტული სიარული 50კმ);

***მონაწილე*** - 14. ოქრო-2, ვერცხლი-2, ბრინჯაო-2; სულ მედალი-6.

### გაზეთი მემატიანე

# ლელო და ლელოელები

„ლელოს“ ისტორია განუყოფელია ქართული სპორტის ისტორიისგან. ვაგრძელებთ „ლელოს“ ვეტერანი ჟურნალისტის **თენგიზ გიორგაძის** მოგონებების ციკლს „ლელოსა“ და ლელოელებზე.

1964 წელს „ლელოში“ რომ დაბრუნდა, მიხეილ კაკაბაძემ გაზეთს ახალი სუნთქვა შემატა. გაჩნდნენ ახალი თანამშრომლები. იგი ცდილობდა ეროვნული სპორტული საკითხების წინ წამოწევას, წარსულის მნიშვნელოვანი მოვლენების „გაცოცხლებასა“ და თანამედროვეობასთან კავშირში გაანალიზებას. არც სპორტის ისტორია ავიწყდებოდა.

ამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი მინდა გავიხსენო, რაც, ალბათ, არასოდეს დამავიწყდება.

იმ წლებში დიდი გატაცებით ვმუშაობდი ქართული ჭადრაკის წარსულის საკითხებზე, ყველაფერზე ხელი არ მიმიწვდებოდა. დროც არ მრჩებოდა. განსაკუთრებით თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ძველი ისტორიის „ჩიჩქნა“ მიჭირდა ჭადრაკზე მასალების მოსაძიებლად. ერთხელ ჩემი გულისტკივილი მიშას გავუზიარე. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე-მეთქი, რომ ლიტერატორები, ისტორიკოსები და სხვები ვაიძულო დამეხმარონ.

- ეს ძნელი არ უნდა იყოს, - მცირე დუმილის მერე თქვა მიშამ. - შენ ისეთი რამე დაწერე, რომ მათ თავი ვალდებულად იგრძნონ, გამოგვეხმაურონ. დაწერე, მაგალითად, თითქოს „გრიგოლის ცხოვრებაში“ მოხსენიებულია ჭადრაკი.

- კი, მაგრამ, ორივე გრიგოლის - ნოსელისა და ნაზიანზელის დროს ჭადრაკი საერთოდ არ არსებობდა, ეს ხომ მე ვიცი. ასე რომ, წერილი აშკარად შეცდომიანი იქნება.

- მართალია, მაგრამ ამ წერილს რომ ნახავენ, „ლელოს“ ყველა კითხულობს, უთუოდ ხმას აიმაღლებენ, შეცდომას არ გაპატიებენ, - მომიგო მიშამ.

- მაგრამ შენ დაბეჭდავ ასეთ პროვოკაციულ წერილს?

- დავბეჭდავ. პოლემიკა ყველასთვის საინტერესო და სასარგებლო იქნება. ეგ არის, ცოტას გაგვკენწლავენ, მაგრამ ნუ შეშინდები, ჭეშმარიტება მსხვერპლს მოითხოვს, - ღიმილით დაასრულა მიშამ.

„ლელოს“ 1966 წლის 28 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა ჩემი წერილი „რომელი გრიგოლის ცხოვრება?“ როგორც ველოდით, წერილს მალე გამოეხმაურნენ ცნობილი ახალგაზრდა მეცნიერები სარგის ცაიშვილი (შემდგომ მეცნიერებათა დოქტორი. პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი) და გურამ კარტოზია (ცნობილი ენათმეცნიერი). მათი პასუხის დაბეჭდვას „ლელოს“ თითქმის ორი გვერდი დასჭირდა. მათ, რა თქმა უნდა, გააბათილეს ჩემი „მოსაზრებები“ და, რაც მთავარია, მოიყვანეს თითქმის ყველა ცნობა ჭადრაკზე, რომელიც მოიპოვებოდა ძველ ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში. ამ მასალამ დიდად შემიწყო ხელი ჩემს შემდგომ მუშაობაში.

მიშა კაკაბაძეზე, როგორც ადამიანსა და რედაქტორზე, ბევრი შეიძლება ითქვას. იგი ჭეშმარიტი მამულიშვილი, პროფესიონალი და საზოგადო მოღვაწე გახლდათ. მაგალითად, 1954-1956 წლებში საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას თავკაცობდა.

იყო მზრუნველი მამა. მისი ორივე ვაჟი - გიგა და დავითი ჟურნალისტიკას ეზიარა. სწორედ მათი თაოსნობით, 2003 წელს გამოვიდა მამისადმი მიძღვნილი სქელტანიანი წიგნი „მიხეილ კაკაბაძე“, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

მიშა კაკაბაძემ გამორჩეული მეგობრობა იცოდა. სხვისი შრომის დამფასებელი, თავადაც მუყაითი მშრომელი იყო. თავს „აკლავდა“ „ლელოს “თითოეულ ნომერს. მას შესაშური ადამიანური ხიბლი ჰქონდა, ადვილად პოულობდა საერთო ენას სხვადასხვა ხასიათის ადამიანებთან. რა თქმა უნდა, უნაკლო არც ის იყო. მაგალითად, არ მახსოვს ვინმესთვის კარგი მუშაობისთვის ბრძანებით მადლობა გამოეცხადებინოს. იტყოდა, დავაფასე, კარგი ჰონორარი გამოვუწერეო.

ყველა, ვინც მიშა კაკაბაძის გვერდით ვმუშაობდით, სამუდამოდ დავრჩით პროფესიონალ ჟურნალისტებად. მრავალს საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება და საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მიხეილ კაკაბაძის სახელობის პრემია მოგვენიჭა. ჩვენს თაობას თავმოსაწონად აქვს, რომ დიდი სპორტული ჟურნალისტის, კაცური კაცის - მიხეილ კაკაბაძის „გორისა“ ვართ.



1967 წელი. ნონა გაფრინდაშვილი და მიხეილ კაკაბაძე

„დიდი სპორტული ქვეყნების ტოლი, სწორი და ბადალი“ /ზაურ ბოლქვაძე/



პროექტის ავტორია პელოპონესის უნივერსიტეტის ოლიმპიური აკადემიის ასპირანტი თორნიკე გაჩეჩილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სუპერლიგა. 1/2 ფინალი

# არმია ფინალშია, ყოჩაღ სოხუმი, მსაჯობა მისახედია!



| 14 მაისი. თბილისი, სპორტის სასახლე | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმი-არმია 65:71 | | | | | | | | |
| 21:16, 11:22, 13:18, 20:15 | | | | | | | | |
| მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, დ. ბერიშვილი | | | | | | | | |
| სოხუმი | წთ | მ | პ | ფ | შ | ჩ | დ | ქ |
| ფარლალავა | 34:42 | 4 | 4 | 3 | 4 | 1 | 0 | 7 |
| ჰარისი | 33:56 | 5 | 5 | 2 | 0 | 1 | 0 | 8 |
| ჩლაიძე | 08:18 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 |
| შანიძე | 17:03 | 2 | 1 | 1 | 0 | 1 | 1 | 2 |
| სორდია | 09:54 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 8 |
| კანკია | 18:47 | 0 | 3 | 3 | 0 | 1 | 0 | 6 |
| კ. დამუსი | 29:18 | 15 | 0 | 3 | 5 | 0 | 0 | 16 |
| რ. დამუსი | 12:20 | 4 | 0 | 2 | 0 | 0 | 1 | 6 |
| ფაცაცია | 35:42 | 6 | 1 | 5 | 5 | 2 | 1 | 12 |
| არმია | წთ | მ | პ | ფ | შ | ჩ | დ | ქ |
| ბაბიაშვილი | 25:41 | 8 | 0 | 2 | 0 | 0 | 1 | 13 |
| ბოისა | 36:24 | 9 | 1 | 1 | 2 | 1 | 0 | 11 |
| ტულუში | 38:47 | 4 | 5 | 2 | 4 | 3 | 0 | 22 |
| პირველაშვილი | 13:04 | 2 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 5 |
| ათანელიშვილი | 14:55 | 2 | 0 | 2 | 1 | 2 | 0 | 4 |
| შარაბიძე | 34:46 | 8 | 1 | 4 | 0 | 1 | 1 | 14 |
| ბ. ბერიშვილი | 36:23 | 4 | 4 | 2 | 2 | 3 | 0 | 2 |
| სერია მოიგო არმიამ – 3:1 | | | | | | | | |

*შენიშვნა: წთ - წუთი, ქ - ქულა, მ - მოხსნა, პ - პასი, ჩ - ჩაჭრა, დ - დაფარება, ფ - ფოლი, შ - შეცდომა.*

„არმიამ" დასახულ მიზანს მიაღწია - ფინალში გავიდა. „სოხუმი" მე-3 ადგილისთვის „ქუთაისთან" იბრძოლებს. ნახევარფინალების დასრულების შემდეგ ასე მშვიდად ლაპარაკი იოლია, მაგრამ 1/2 - ფინალურმა სერიამ იმდენი ემოცია ჩაიტია, რომ ძნელი იყო, ის ნეიტრალურ ჟურნალისტსაც არ გადასდებოდა.

■ ■ ■

ემოცია დადებითიც იყო და უარყოფითიც. დავიწყოთ უარყოფითით. შეიძლება, ამა თუ იმ მატჩის შემდეგ ერთი გუნდი მსაჯობით უკმაყოფილო დარჩეს, მაგრამ არ შეიძლება ეს შეგრძნება ჟურნალისტს გადაედოს, რომელიც შვეიცარიასავით ნეიტრალურია. „სოხუმი"-„არმიას" მეოთხე მატჩის შემდეგ პრესლოჟაში მსხდარი ჟურნალისტები ერთხმად ამბობდნენ - მსაჯმა შეცდომები „არმიას" სასარგებლოდ დაუშვაო. ახლა, კონკრეტული მაგალითების მოყვანას არ მოვუყვებით, რადგან არბიტრების განსჯა მათი ზემდგომი ორგანოს, სამსაჯო კომიტეტის პრეროგატივაა. ამ სეზონში უკვე ორი არბიტრი დაისაჯა - **ზაზა მაჩალაძე** და **მალხაზ ანდღულაძე** (ეს უკანასკნელი სეზონის ბოლომდე მოკვეთეს). ჰოდა, თუ მართლა იყო შეცდომები, იმედია, სათანადო რეაგირება არ დააყოვნებს.

მაგრამ იცით, რა არის სამწუხარო? - ქვეყანაში, სადაც მსაჯებს დღესაც სცემენ, ამ საქმისთვის ხელის მოკიდება არავის სურს. ამიტომაა, სუპერლიგის პლეი ოფებს ორ-ორი მსაჯი რომ ემსახურება. არადა, ნახევარფინალებში შარშან და შარშანწინ სამ-სამი მსაჯი იყო. თუმცა მეოთხედფინალში ტვინის შერყევა მიიღო **მაკა კუპატაძემ** და ამიტომ, სუპერლიგის მოქმედ კალათბურთელ **ირაკლი ბერიშვილს** სთხოვეს ქუთაისში მსაჯობა. წლეულს, ალბათ, ფინანსური მდგომარეობის გამო უცხოელი არბიტრების მოწვევა ვერ მოხერხდა. თორემ, ერთ მატჩს სამი მსაჯი რომ უნდა სჯიდეს, ეს ყველას კარგად მოეხსენება.

როგორც შევიტყვეთ, წინასწარ ცნობილია, რომ ფინალურ სერიას სამი არბიტრი მოემსახურება. როგორც უნდა დასრულდეს ფინალები, ერთი რამ დღესვე ხმამაღლა უნდა ითქვას - მსაჯობა მისახედია!

■ ■ ■

ახლა დადებითზე. „არმიამ" სერია 3:1 მოიგო. კალათბურთელებმა ბოლომდე იბრძოლეს და მათი შრომის გაუფერულება იქნება, „სოხუმის" წაგება არბიტრებს დავაბრალოთ. **ტულუშმა, ბოისამ, ბაბიაშვილმა** და მათმა თანაგუნდელებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ გამოცდილება კალათბურთში ბევრს წყვეტს, ასევე დაგვანახვეს მაღალი კლასი (საქართველოს დონეზე). „არმია" სწორედ კლასის ხარჯზე გავიდა ფინალში, სადაც თსუ-ს დაუპირისპირდება.

■ ■ ■

„არმია"-„სოხუმის" ნახევარფინალურმა სერიამ მთავარი, რაც დაგვანახვა კალათბურთში მწვრთნელის მნიშვნელობა იყო. ორჯერ სუსტი შემადგენლობის „სოხუმმა" არმიელებს სწორედ მწვრთნელის, **აინარს ბაგაცკისის** წყალობით გაუჩალა თანაბარი ბრძოლა. ეს ახალგაზრდა ლატვიელი, შესაძლოა, ზოგჯერ მეტად ემოციურად რეაგირებდა მსაჯების მოქმედებაზე, მაგრამ მთავარია, ხუთ თვეში იმდენს მიაღწია, რომ მანამდე ინდივიდუალიზმის იმედზე მყოფი გუნდი მონოლითურ კოლექტივად შეკრა, ჯერ შსს ჩამოიტოვა, შემდეგ გაცილებით ძლიერ „არმიას" ფიცხელი ბრძოლა გაუჩალა. საქართველოში ჩამოსვლისას ბაგაცკისი წუხდა, ერთი-ორი კალათბურთელის დამატების საშუალება რომ მქონდეს, სულ სხვა კალათბურთს ვითამაშებდითო, მაგრამ მის ხელთ არსებული რესურსით მაინც მაქსიმუმზე მეტს მიაღწია.

## კომენტარი

### ვაჟა კვარაცხელია

(„სოხუმის" მეორე მწვრთნელი)

- კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ „სოხუმი" პლეი ოფს სათანადოდ მომზადებული შეხვდა. მთავარი მწვრთნელის მითითებით კალათბურთელებმა კარგად იშრომეს, რაც შსს-სთან მეოთხედფინალურ სერიაშიც გამოჩნდა და ნახევარფინალშიც. ბევრი ვიბრძოლეთ. მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. მომავალი სეზონისთვის ლეგიონერებით გავძლიერდებით, ჩვენს ხელთ არსებული რესურსიდან საუკეთესოებს დავტოვებთ და მეტის მიღწევას ვეცდებით.

# თსუ-მ დაამტკიცა

| 14 მაისი. ქუთაისი, სპორტის სასახლე | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქუთაისი-თსუ 74:80 | | | | | | | | |
| 17:21, 25:17, 18:20, 14:22 | | | | | | | | |
| ზ. მაჩალაძე, ი. ბერიშვილი | | | | | | | | |
| ქუთაისი | წთ | მ | პ | ფ | შ | ჩ | დ | ქ |
| ბაბუნაშვილი | 30:34 | 2 | 2 | 2 | 2 | 0 | 1 | 14 |
| დიდია | 33:14 | 9 | 2 | 3 | 5 | 2 | 0 | 17 |
| კვიმსაძე | 35:42 | 5 | 10 | 3 | 2 | 1 | 0 | 9 |
| ბოლქვაძე | 22:06 | 9 | 1 | 5 | 2 | 1 | 1 | 11 |
| ლომინაშვილი | 13:17 | 3 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 4 |
| გ. ბარბაძაძე | 25:42 | 4 | 0 | 2 | 3 | 1 | 0 | 5 |
| ცეკვავა | 31:16 | 2 | 8 | 3 | 3 | 2 | 2 | 12 |
| კოლუაშვილი | 08:09 | 2 | 0 | 4 | 1 | 0 | 0 | 2 |
| თსუ | წთ | მ | პ | ფ | შ | ჩ | დ | ქ |
| გაფრინდაშვილი | 31:56 | 0 | 3 | 3 | 3 | 3 | 0 | 2 |
| მარხვაშვილი | 30:04 | 4 | 2 | 0 | 1 | 2 | 0 | 24 |
| კოხრეიძე | 09:01 | 1 | 1 | 2 | 0 | 2 | 0 | 0 |
| ლონდარიძე | 26:59 | 10 | 3 | 4 | 1 | 1 | 1 | 15 |
| კორკოტაძე | 15:16 | 2 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 4 |
| ჩიტაშვილი | 10:37 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 |
| მათიაშვილი | 36:45 | 11 | 3 | 5 | 4 | 2 | 1 | 17 |
| მ. ბერიშვილი | 39:22 | 6 | 7 | 2 | 4 | 1 | 1 | 13 |
| სერიას მოიგო თსუ-მ – 3:1 | | | | | | | | |

*შენიშვნა: წთ - წუთი, ქ - ქულა, მ - მოხსნა, პ - პასი, ჩ - ჩაჭრა, დ - დაფარება, ფ - ფოლი, შ - შეცდომა.*

**ნუგზარ ქეიშვილის** თსუ სუპერლიგის ფინალში ზედიზედ მეორედ გავიდა. სტუდენტებმა ეს ამჯერადაც დაიმსახურეს - რეგულარული ეტაპის მეორე წრეში საუკეთესო კალათბურთი აჩვენეს.

მას მერე, რაც ქუთათურებმა ნახევარფინალურ სერიაში თბილისში ანგარიში გაათანაბრეს (1:1), იმერლებს გაუჩნდათ იმედი, რომ მომდევნო ორ მატჩს შინ უფრო თავდაჯერებით შეხვდებოდნენ. შეიძლება, ასეც მოხდა, მაგრამ თსუ-მ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ რეგულარულ ეტაპზე მეორე ადგილი შემთხვევით არ დაუკავებია - ჩვეული გუნდურობის წყალობით სერია 3:1 მოიგო.

გუნდის ერთ-ერთი ლიდერის, **მიხეილ ფანჩულიძის** არყოფნა სტუდენტებს **გიორგი მარხვაშვილმა** არ დაატყო, რომელმაც 7-დან 4 სამქულიანი ჩააგდო და მატჩის ბომბარდირი გახდა - 24 ქულა. ორმაგი დუბლები შეასრულეს **რიჩარდ მათიაშვილმა** (17 ქულა, 11 მოხსნა) და **ილია ლონდარიძემ** (15 ქულა, 10 მოხსნა).

როგორც „სოხუმზე" ვერ ვიტყვით აუგს, ასევე „ქუთაისზეც" - რიონისპირელებმა ხანგრძლივი შესვენების შემდეგ სუპერლიგაში დაბრუნება ნახევარფინალში გასვლით აღნიშნეს. იმედი დავიტოვოთ, რომ იმერლები ამაზე არ შეჩერდებიან და გაისად ისევე გააძლიერებენ გუნდს, როგორც „სოხუმი" აპირებს.



● ლეგიონი...



# მარკოიშვილი 16, სანიკიძე 14, ცინცაძე 13

განვლილ უქმეებზე ქართული საკალათბურთო ლეგიონიდან კარგი ამბებიც იყო და ცუდიც.

**მანუჩარ მარკოიშვილისა** და **ვიქტორ სანიკიძის** გუნდებმა ქართველების დახმარებით გაიმარჯვეს. მანუმ 16 ქულა ჩააგდო, ხოლო ვიქტორმა - 14. „კანტუმ" „ვარეზე" დაამარცხა - 75:66, ხოლო „ვირტუსმა" - „ტერამო" 96:94.

იტალიის მეორე ლიგაში პლეი ოფი გამარჯვებით გახსნა **ნიკა მეტრეველის** „რიმინიმ", რომელმაც „პრიმა ვეროლის" შინ 76:59 სძლია. ახალგაზრდა ქართველმა 14 წუთი ითამაშა და გუნდს 8 ქულით შეეწია.

სამწუხაროდ, ბელგიის ჩემპიონატის რეგულარული ეტაპის ბოლო მატჩი დათმო **თორნიკე შენგელიას** „პეპინსტერმა" (67:71). ამ წაგების შედეგად შენგელიას თანაგუნდელებმა პლეი ოფში ვერ გააღწიეს. თორნიკემ 3-3 ქულა-მოხსნა მოაგროვა.

ასევე არასასიამოვნო ცნობა მივიღეთ ესტონეთიდან - ფინალურ სერიაში მეოთხე მატჩიც წააგო „ტარტუ როკმა". თუმცა, ამჯერად ბოლომდე იბრძოლა და ოვერტაიმში დათმო - 86:89. **გიორგი ცინცაძე** „როკერთა" შორის გამორჩეული იყო: 32 წუთში 13 ქულა და 7 შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

სლოვენიის ჩემპიონატში კვლავ მცირე სათამაშო დრო ერგოთ **გიორგი შერმადინსა** და **ვლადიმერ ბოისას**. პირველმა 11 წუთში 9 ქულა მიითვალა, ხოლო მეორემ - 8 წუთში 4 ქულა. „ოლიმპიამ" კი „ზლატოროგის" ძლევით (70:55) პლეი ოფში გასვლის საკითხი დადებითად გადაწყვიტა.

### იტალიის ჩემპიონატი

**კანტუ-ვარეზე 75:66**

მანუჩარ მარკოიშვილი (კანტუ): 26 წუთი, 16 ქულა, 1 მოხსნა, 3 პასი.

**ვირტუსი-ტერამო 96:94**

ვიქტორ სანიკიძე (ვირტუსი): 29 წუთი, 14 ქულა, 5 მოხსნა, 2 პასი.

### ლეგადუე

**რიმინი-პრიმა ვეროლი 76:59**

ნიკა მეტრეველი (რიმინი): 14 წუთი, 8 ქულა, 3 მოხსნა, 1 ჩაჭრა.

### სლოვენიის ჩემპიონატი

**ზლატოროგი-ოლიმპია 55:70**

გიორგი შერმადინი (ოლიმპია): 11 წუთი, 9 ქულა, 2 მოხსნა, 1 დაფარება.

ვლადიმერ ბოისა (ოლიმპია): 8 წუთი, 4 ქულა, 1 მოხსნა.

### ესტონეთის ჩემპიონატი

**როკი-კალევი 86:89 დ.დ.**

გიორგი ცინცაძე (როკი): 32 წუთი, 13 ქულა, 7 პასი, 3 მოხსნა.

### ბელგიის ჩემპიონატი

**პეპინსტერი-ლუვენი 67:71**

თორნიკე შენგელია (პეპინსტერი): 14 წუთი, 3 ქულა, 3 მოხსნა.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი

ლეგიონერები

# კლერმონი და მონპელიე ნახევარფინალში



მამუკა გორგოძე შეუჩერებელი იყო

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში დასკვნითი ეტაპი დაიწყო. ნახევარფინალში გადასასვლელი პლეი ოფის ორი მატჩიდან ორივე ქართველ მორაგბეთა გუნდებმა „მონპელიემ და „კლერმონმა“ მოიგეს.

**დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი“ შინ ბასკურ „ბიარიცს“ დაუპირისპირდა და 27:17 სძლია. „ვულკანებმა“, როგორც ჩანს, მეტოქეს ალმაცერად შეხედეს, რისთვისაც კინაღამ სასტიკად დაისაჯნენ. პირველ ტაიმში ქვეყნის ჩემპიონები საკუთარ თავს არ ჰგავდნენ. ბასკებმა მასპინძლები შეცდომებზე დაიჭირეს და ორი ლელო გაუტანეს, აქედან ერთი ქართული წარმოშობის ცხრა ნომრის - **დიმიტრი იაშვილის** ანგარიშზეა. შედეგად, კლერმონელებმა პირველი ნახევარი 3:17 წააგეს.

მეორე ტაიმში, მას შემდეგ, რაც 44-ე წუთზე თამაშში საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯი დავით ზირაქაშვილი ჩაერთო, „ვულკანები“ მართლაც ვულკანს დაემსგავსნენ. თამაშის სადავეები მთლიანად ჩვენებურის გუნდმა იგდო ხელთ, რაშიც „ზირაქას“ საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვის.

მასპინძლებმა ორი ლელო გაიტანეს და ანგარიშში დაწინაურება 68-ე წუთზე შეძლეს 18:17. თამაშის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე კი გარემარბმა **ჟულიენ მალზიომ** გამარჯვების ლელო მიითვალა.

„კლერმონი“ ნახევარფინალში 27 მაისს დაუპირისპირდება რეგულარული გათამაშების გამარჯვებულ „ტულუზს“, რომელიც ჩემპიონობის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტია. თამაში მარსელში „სტად ველოდრომზე“ გაიმართება.

ამავე სტადიონზე, ოღონდ მეორე დღეს, ითამაშებს პარიზულ „მეტრო რასინგთან“ **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, გოდერძი შველიძის, გიორგი ჩხაიძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე“. ჩვენებურთა გუნდმა უმძიმეს შეხვედრაში მოუგო სტუმრად **ანტონ ფეიქრიშვილისა** და **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრს“ - 18:17.

კასტრელებმა, რომლებმაც მთელი სეზონი სტაბილურად ლიდერებში გაატარეს, სტუმართა გუნდს, ფაქტობრივად, ვერაფერში აჯობეს. „მონპელიეს“ მატჩის არბიტრმა არგენტინელი პირველხაზელი **ხუან გილერმო** და მეორეხაზელი **ალიკი ფაკატე** გაასინბინა, ასე რომ, სტუმრებს 20 წუთი კაცნაკლულებს მოუწიათ თამაშმა.

პირველი ნახევარი „კასტრმა“ 12:9 მოიგო. შესვენების შემდეგ თამაში ქულა-ქულაში მიდიოდა და, საბოლოოდ, მონპელიელებმა არგენტინელი გარემარბის **მარტინ ბუსტოს მოიანოს** ფეხბურთელობის წყალობით მოიგეს 18:17.

ჟღენტმა სრულად ითამაშა, გორგოძემ მხარი დაიშავა და 67-ე წუთზე შეცვალეს. შველიძე, ჩხაიძე, ნარიაშვილი, ფეიქრიშვილი და გიორგაძე განაცხადში არ იყვნენ.

**I დივიზიონი**

**პლეი ოფი**

**კლერმონი-ბიარიცი 27:17, კასტრი-მონპელიე 17:18**

**ნახევარფინალი**

**კლერმონი-ტულუზი, მონპელიე-მეტრო რასინგი**

მეორე დივიზიონში, როგორც უკვე ვიუწყებოდით, ელიტური, პირველი დივიზიონის ერთი საგზური ავტომატურად მოიპოვა **გურამ კავთიძის** „ლიონმა“, რომელმაც რეგულარული გათამაშება მოიგო.

მეორე საგზურისთვის პლეი ოფში **გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლი“ იბრძოდა. „ალპელებმა“ ნახევარფინალში „ბორდოსთან“ 12:19 წააგეს და ბრძოლას გამოეთიშნენ. მენაბდიშვილს არ უთამაშია.

მეორე ნახევარფინალურ წყვილში „ალბიმ“ შინ „მონ დე მარსანს“ სძლია - 21:16.

**II დივიზიონი**

**ნახევარფინალი**

**გრენობლი-ბორდო 12:19, ალბი-მონ დე მარსანი 21:16**

**ფინალი**

**ალბი-ბორდო**

ფედერალ 1 დივიზიონში პლეი ოფის მერვედფინალის განმეორებითი შეხვედრები გაიმართა. ქართველ მორაგბეთა ხუთი გუნდიდან მეოთხედფინალში მხოლოდ სამმა - „მასიმ“, „ბეზიემ“ და „პერიგომ“ გააღწია.



დავით ზირაქაშვილმა თამაშში გარდატეხა შეიტანა

ყველაზე მოულოდნელი შედეგი მონტობანში დაფიქსირდა. „მწვანეებმა“, რომელთა ძირითად შემადგენლობაშიც **გიორგი ნემსაძემ** 75 წუთი ითამაშა, შინ წააგეს „ვანთან“ - 20:22. არადა, „მონტობანს“ პირველი შეხვედრა მინიმალური სხვაობით 20:21 ჰქონდა წაგებული და შინ ორი ქულით მოგებაც ჰყოფნიდა. მოხდა პირიქით, ორი ქულით მეტოქემ გაიმარჯვა და ნემსაძე და კომპანია შეჯიბრებას გამოეთიშნენ.

პლეი ოფს გამოეთიშა **დავით კაჭარავას** „ნიცაც“, რომელმაც მერვედფინალის განმეორებით შეხვედრაში სტუმრად წააგო „ლიმოჟთან“ - 6:28. ნიცელებს პირველი მატჩიც წაგებული ჰქონდათ - 20:26.

დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა შინ „ლავორთან“ **თედო ზიბზიბაძის, ალექსანდრე მარგველაშვილის, ირაკლი ნინიძისა** და **დავით დადუნაშვილის** „პერიგომ“ - 56:10. ჩვენებურთა გუნდმა პირველი შეხვედრაც მოიგო სტუმრად 32:12, რითაც დაამტკიცა, რომ პლეი ოფის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტია.

„პერიგო“ მეოთხედფინალში ითამაშებს „ბობინისთან“. პირველ შეხვედრას ჩვენებურთა გუნდი სტუმრად 22 მაისს გამართავს. საპასუხოს კი შინ ითამაშებს ერთი კვირის თავზე.

ორი შეხვედრიდან ორივე მოუგო „მარმანდს“ **ლაშა მალაღურაძისა** და **გიორგი მჭედლიშვილის** „ბეზიემ“. ლანგედოკელებმა პირველ მატჩში, სტუმრად 25:22 იმარჯვეს, შინ კი მეტოქე 19:13 დაამარცხეს. „ბეზიეს“ მეტოქე მეოთხედფინალში „ბურგ ან ბრესი“ იქნება, რომელთანაც პირველ მატჩს ჩვენებურთა გუნდი სტუმრად გამართავს.

მეოთხედფინალში გააღწია **შალვა სუთიაშვილის, სანდრო ესაკიას, დავით აშვეთიასა** და **არჩილ კობაურის** „მასიმ“. პარიზელებმა განმეორებით შეხვედრაში შინ მოუგეს „ლანამეზანს“ - 27:9. მაშინ, როცა პირველი მატჩი სამი ქულის სხვაობით ჰქონდათ წაგებული - 29:26. „მასის“ მეოთხედფინალში სერიოზული მეტოქე „ლიმოჟი“ ერგო. პირველი მატჩი ჩვენებურთა მოედანზე გაიმართება.

**ფედერალ 1**

**მერვედფინალი**

**მასი-ლანამეზანი 27:9 (26:29), ლიმოჟი-ნიცა 28:6 (26:20), ბობინი-ლილი 27:15(3:15), პერიგო-ლავორი 56:10 (32:12), კასტანე-ბურგ ან ბრესი 20:16 (23:28), ბეზიე-მარმანდი 19:13 (25:22), ტიროსი-დიჟონი 23:3 (23:14), მონტობანი-ვანი 20:22 (20:21)**

**მეოთხედფინალი**

**მასი-ლიმოჟი, ბობინი-პერიგო, ბურგ ან ბრესი-ბეზიე, ტიროსი-ვანი**

ზე რაგბი



ბლუ ბულზი-მელბურნ რებლზი

# ხარებმა გაიღვიძეს, მაგრამ გვიანია?

ზერაგბის რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ხუთი ტური დარჩა. ერთადერთი გუნდი, რომელიც თავს მეტ-ნაკლებად მშვიდად უნდა გრძნობდეს, A ჯგუფის ლიდერი ბრისბენის „რედსია“, რომელსაც 50 ქულა დაუგროვდა და უახლოეს მდევარ სიდნეის „ვორათაზს“ 10 ქულით უსწრებს.

„რედსმა“ მე-13 ტურში B ჯგუფის პირველადგილოსან ოქლენდის „ბლუზს“ უმასპინძლა. მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, საკმაოდ საინტერესო გამოდგა და ბრისბენელთა გამარჯვებით 37:31 დასრულდა.

მასპინძლებმა გადამწყვეტ უპირატესობას პირველივე ტაიმში მიაღწიეს და 31-ე წუთისთვის უკვე 24:0-ს იგებდნენ. ამის შემდეგ ბრისბენელებმა ყურადღება მოადუნეს და პირველი ტაიმის დარჩენილ დროში ოქლენდელებს ორი ლელოს გატანის საშუალება მისცეს. თვითონ კი მონაგარს საჯარიმოთი მხოლოდ სამი ქულა მიუმატეს - 27:14.

მეორე ნახევარი უკვე „ბლუზის“ უპირატესობით წარიმართა, თუმცა თამაშის გადარჩენა მაინც ვერ შეძლეს. გუნდებმა ოთხ-ოთხი ლელო გაიტანეს, გამარჯვებას კი მასპინძლებმა ორით მეტი საჯარიმოს წყალობით მიაღწიეს.

ყველაზე მეტი ქულა „რედსს“ მგეზავმა **ქუადე კუპერმა** მოუტანა, მის ანგარიშზე ოთხი გარდასახვა და სამი საჯარიმოა (17 ქულა). მისმა ვიზავმა **ლუკ მაკალისტერმა** კი ოთხი გარდასახვა და ერთი საჯარიმო მიითვალა.

C ჯგუფის ლიდერმა, კეიპთაუნის „სტორმერზმა“ სტუმრად წააგო B ჯგუფის მეოთხეადგილოსან ჰემილთონის „ჩიფსთან“ - 23:30. აღსანიშნავია, რომ პირველ ტაიმში სტორმერზელებმა ორი ლელო მიითვალეს, მეტოქეს მხოლოდ ერთი საჯარიმოს გატანის საშუალება მისცეს და შესვენებაზე 17-ქულიანი უპირატესობით წავიდნენ.

მეორე ნახევარში როლები შეიცვალა იმ განსხვავებით, რომ ჰემილთონელებმა სამი ლელოს გატანა შეძლეს, სტუმრებს კი მხოლო ერთი საჯარიმო დაანებეს. მასპინძელთა მგეზავმა **სტივენ დონალდმა** 15 ქულა მოიპოვა (სამი საჯარიმო და სამი გარდასახვა). ვიზავი **პიტერ გრანტი** მას ორი ქულით ჩამორჩა (სამი საჯარიმო და ორი გარდასახვა).

„სტორმერზს“ ახლა 44 ქულა აქვს და მეორეადგილოსან დურბანის „ნატალ შარქს“, რომელიც ამ ტურში ისვენებდა, ერთი ქულით უსწრებს.

ოდნავ გამოიკეთა სატურნირო მდგომარეობა ზე რაგბის შარშანდელმა გამარჯვებულმა პრეტორიის „ბლუ ბულზმა“. გუნდმა, რომლის მოთამაშეთა უმრავლესობა სამხრეთ აფრიკის ნაკრებს შეადგენს, შინ დიდი ანგარიშით მოუგო გათამაშების დებიუტანტ „მელბურნ რებლზს“ - 47:10.

პრეტორიელებმა მეტოქეს შვიდი ლელო გაუტანეს, აქედან სამი „ბოკეს“ შუამარბის **ვინანდ ულიფიეს** ანგარიშზეა, ორი ლელო გაიტანა ფულბეკმა **ზან კირხნერმა,** თითო ლელო მიითვალეს გარემარბმა ბიორნ ბესონმა და ცხრა ნომერმა **ფური დუ პრიმ**. მგეზავმა **მორნი სტეინმა** ექვსი ლელო გარდასახა.

„ბლუ ბულზს“ ახლა 36 ქულა აქვს და C ჯგუფში მესამე ადგილზეა. მომდევნო ტურში „ლურჯ ხარებს“ ურთულესი მატჩი აქვთ სტუმრად „ნატალ შარქსთან“. გამარჯვების შემთხვევაში პრეტორიელთა პლეი ოფში მოხვედრის შანსი მნიშვნელოვნად გაიზრდება.

მოულოდნელად დამარცხდა სტუმრად ბლუმფონტეინის „ჩიტაზთან“ გათამაშების უმთავრესი ფავორიტი ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზი“ - 20:33. სტუმართა გუნდს ტრავმამოშუშებული, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მგეზავის, **დენ კარტერის** დაბრუნებამაც ვერ უშველა.

პირველი ტაიმი ქრაისთჩერჩელებმა მინიმალური სხვაობით - 17:16 მოიგეს. მეორეში კი მონაგარს მხოლოდ სამი ქულა მიუმატეს, მაშინ როცა „ჩიტაზმა“ ორი ლელოს გატანა შეძლო. მატჩის გმირი მასპინძელთა მგეზავი **იოსიას ებერსონი** გახდა, რომელმაც ერთი ლელო, სამი გარდასახვა და ოთხი საჯარიმო გაიტანა (23 ქულა)

**A ჯგუფი**

**XIII ტური**

**რედსი-ბლუზი 37:31, ბრამბიზი-ლაიონზი 20:29**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. რედსი - 50 ქულა, 2. ვორათაზი - 40, 3. ფორსი - 25, 4. ბრამბიზი - 22, 5. რებლზი - 19

**XIV ტური**

ვორათაზი-ლაიონზი, ფორსი-ბრამბიზი

**B ჯგუფი**

**ჰაილენდერზი-ჰარიკენზი 13:6, ჩიფსი-სტორმერზი 30:23**

1. ბლუზი - 49 ქულა, 2. კრუსეიდერზი - 44, 3. ჰაილენდერზი - 39, 4. ჩიფსი - 29, 5. ჰარიკენზი - 25

**XIV ტური**

**ბლუზი-სტორმერზი, კრუსეიდერზი-ჩიფსი**

**C ჯგუფი**

**ბლუ ბულზი-მელბურნ რებლზი 47:10, ჩიტაზი-კრუსეიდერზი 33:20**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სტორმერზი - 44 ქულა, 2. ნატალ შარქსი - 43, 3. ბლუ ბულზი - 36, 4. ჩიტაზი - 29, 5. ლაიონზი - 19.

**XIV ტური**

**ჩიტაზი-მელბურნ რებლზი, ნატალ შარქსი-ბლუ ბულზი**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# მაკგი გინესის წიგნში


მაკგის დანქი

წლევანდელ „ყველა ვარსკვლავის უქმეებზე“ „ვაშინგტონ უიზარდსის“ ფორვარდმა **ჯავალ მაკგიმ** ისე მოხიბლა ყველა თავისი ჩატენვით, რომ ამ საკალათბურთო ილეთის გინესის რეკორდების წიგნში შეტანაც კი განიზრახეს. მართალია, მაშინ მაკგიმ წააგო „კლიპერსის“ დებიუტანტ **ბლეიკ გრიფინთან** ჩატენვების კონკურსში, სამაგიეროდ, მისი „დანქი“ სამუდამოდ შევა ისტორიაში.

აი რა განცხადება გაავრცელეს გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლებმა:

*„ვაშინგტონის“ ფორვარდმა ჯავალ მაკგიმ ყველაზე რთული საკალათბურთო სლემ-დანკი შეასრულა, როცა ერთი ნახტომისას კალათში სამი ბურთის ჩატენვა მოასწრო.*

*ნახტომის შესრულების მომენტში მას ორი ბურთი ხელებში ეჭირა, მესამე კი თანაგუნდელ ჯონ უოლისგან მიიღო“.*

# დანკანი ჯერ არ მიდის

„სან ანტონიო სპურსის“ მთავარმა მწვრთნელმა **გრეგ პოპოვიჩმა** განაცხადა, რომ ბოლომდე ენდობა ვეტერან **ტიმ დანკანს** და მომავალ სეზონში ამ ფორვარდის დიდი იმედი აქვს. შეგახსენებთ, რომ ტიმმა წელს თავისი მრავალწლიანი კარიერის განმავლობაში ყველაზე ცუდი სეზონი ჩაატარა. საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ დანკანი პირველად ბოლო 14 წლის განმავლობაში ვერ მოხვდა საუკეთესო დამცველთა პირველ ან მეორე სიმბოლურ ნაკრებში.

*„ტიმს ჩემთვის არ უთქვამს, რომ ამ სეზონის შემდეგ კარიერის დასრულება უნდა. ასე რომ, ის გუნდში რჩება. მე მართლაც ვთქვი მისი კონტრაქტის პირობების გადახედვის შესახებ, მაგრამ ეს ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, კიდევ რამდენი ხანი აპირებს ის აქტიურ სპორტში დარჩენას“*, - განაცხადა „სპურსის“ დამრიგებელმა.

წლევანდელ რეგულარულში დანკანის მონაგარი 13.4 ქულასა და 8.9 მოხსნას შეადგენდა. „სან ანტონიომ“ დასავლეთ კონფერენციაში პირველი ადგილი დაიკავა, მაგრამ პლეი ოფის პირველივე წრეში წააგო სერია (2:4) მერვე ნომრად განთესილ „მემფის გრიზლისთან“.


ტიმ დანკანი

ამბები

## იაო სასამართლოში მიდის

„ჰიუსტონ როკეტსის“ ცენტრმა **იაო მინმა** სასამართლოში უჩივლა სპორტული ატრიბუტიკის მწარმოებელ ჩინურ კომპანიას.

როგორც ირკვევა, კომპანია Wuhan Yunhe Dashayu Sportswear უკანონოდ იყენებდა იაოს სახელს სარეკლამო მიზნებისთვის. ამ პროცესის მსვლელობისას ფირმამ საქმეში ჩართო ჩინელი ცენტრის ფოტო და ავტოგრაფი.

იაოს წარმომადგენლები ორი კვირის განმავლობაში სასამართლოს ჩარევის გარეშე ცდილობდნენ ამ პრობლემის მოგვარებას, მაგრამ მეორე მხარემ დათმობაზე წასვლა არ მოისურვა.

ამიტომაც მინმა სასამართლოს მიმართა. თუმცა ამ სარჩელის მთავარი მიზანი არა კომპენსაციის მიღება, არამედ სხვა კომპანიების გაფრთხილებაა, რათა მათ უკანონოდ არ გამოიყენონ საუკეთესო ჩინელი კალათბურთელის პოპულარობა.

## ლეიკერსს გამოცდილი მწვრთნელი უნდა

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ახალი მთავარი მწვრთნელის საკითხი კარგა ხანი აქტუალური იქნება. როგორც იცით, **ფილ ჯექსონის** ერთ-ერთ შემცვლელად პრესა მის ასისტენტს **ბრაიან შოუს** ასახელებდა. ამ სპეციალისტით „გოლდენ სტეიტიც“ დაინტერესდა და როგორც ახლა ირკვევა, „ლეიკერსის“ ხელმძღვანელობა ხელს არ შეუშლის შოუს „მეომრებთან“ გადასვლაში. იგივე ეხება ფილ ჯექსონის კიდევ ერთ ასისტენტს **ჩაკ პერსონს**.

აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ლეიკერსი“ არ აპირებს გამოუცდელი შოუსთვის ნდობის გამოცხადებას და სავარაუდოდ, უპირატესობას უფრო გამოცდილ მწვრთნელს მიანიჭებს. ერთი ასეთი კანდიდატი რამდენიმე დღის წინ დასახელდა - ეს გახლავთ **რიკ ადელმანი**.

რაც შეეხება შოუს, ის ოკლენდშია დაბადებული - სწორედ იმ ქალაქში, რომელშიც თავის საშინაო მატჩებს ატარებს „გოლდენ სტეიტი“. შარშან ამ მწვრთნელს აქტიურად ეპატიჟებოდა „კლივლენდი“, მაგრამ ბრაიანმა „ლეიკერსში“ დარჩენა ამჯობინა.

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი

# მემფისი არ ნებდება

„მემფისმა“ მეექვსე შეხვედრაში საკუთარ მოედანზე დაამარცხა „ოკლაჰომა სიტი“ და გაათანაბრა სერიაში ანგარიში. შესაბამისად, დასავლეთი კონფერენციის ფინალში „დალასის“ მეტოქეს მეშვიდე მატჩი გაარკვევს.

წინა შეხვედრის ჩაგდების შემდეგ „მემფისის“ 30 წლის ლიდერი **ზაკ რენდოლფი** ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო იყო. მეექვსე მატჩში მისი მონაგარი 30 ქულა (თამაშიდან - 12/22, საჯარიმოებიდან - 6/8), 13 მოხსნა და ორი დაფარება გახლდათ. სხვათა შორის, მაჩვენებელი „30+10“ ზაკმა მეოთხედ დააფიქსირა, რითაც პლეი ოფის ლიდერი გახდა. ასეთი შედეგი არც „სუპერმენ“ **დუაიტ ჰოვარდს**, არც **დუეინ უეიდსა** ან სხვა მეგავარსკვლავს აქვს.

თუმცა მეექვსე მატჩში ქება მხოლოდ რენდოლფს არ დაუმსახურებია. უნდა აღვნიშნოთ **ო ჯეი მაიო**, რომელიც „დათვების“ მთავარმა მწვრთნელმა **ჰოლინზმა** სასტარტო ხუთეულში გადაიყვანა - **სემ იანგის** ნაცვლად. მცველმა, რომელიც თითქმის მთელი სეზონი მწვრთნელს მოკვეთილი ჰყავდა, ამჯერად გაამართლა ნდობა - 39 წუთი ითამაშა, 16 ქულა დააგროვა და ამას 4 მოხსნა, ამდენივე ჩაჭრა და ორი შედეგიანი პასი დაუმატა.

კიდევ ერთ გმირად გამთამაშებელი **მაიკ კონლი** უნდა გამოვაცხადოთ, ვინც საკლუბო რეკორდი დაამყარა პლეი ოფში პასების რაოდენობით - 12 შედეგიანი გადაცემა. დაცვაში, როგორც ყოველთვის, კარგად გამოიყურებოდნენ **ტონი ალენი** და **შეინ ბატიე**. სასარგებლო იყო **მარკ გასოლიც**. შესაძლოა, მისი სტატისტიკა (8 ქულა, 9 მოხსნა, 3 დაფარება) შთამბეჭდავად ვერ გამოიყურება, მაგრამ ესპანელს საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა „პლუს-მინუსის“ მიხედვით - „+17“.

„თანდერის“ ვარსკვლავები კი ამჯერად ჩრდილში მოექცნენ. ამ მხრივ „რეკორდსმენი“ აღმოჩნდა **რასელ უესტბრუკი**. მიუხედავად იმისა, რომ 27 ქულა დააგროვა, მისი ნაყოფიერების კოეფიციენტი („-19“) აბსოლუტურად უარესი იყო ყველა კალათბურთელს შორის. საშინელი მატჩი ჩაატარა **დურანტმა**. მისგან, უპირველეს ყოვლისა, ქულების დაგროვებას ითხოვენ, მან კი 37 წუთის განმავლობაში თამაშიდან მხოლოდ სამი ბურთი (14 სროლიდან) ჩააგდო და პლეი ოფში შედეგიანობის პირადი ანტირეკორდი დაამყარა.

მატჩი ნერვიულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა და რამდენჯერმე საქმე კინაღამ ჩხუბამდე მივიდა. ამ მხრივ ყველაზე მეტად **სერჟ იბაკა** და ზაკ რენდოლფი აქტიურობდნენ.

რაც შეეხება მატჩის მსვლელობას, პირველი ტაიმი სტუმრების კატასტროფას არ მოასწავებდა. პირიქით, დიდი შესვენების წინ „ოკლაჰომამ“ 13 ქულით წაიყვანა ანგარიში - 54:41. სულ ცოტაც და მასპინძლები საბოლოოდ გატყდებოდნენ, თუმცა „მემფისმა“ დაამტკიცა, რომ არც ერთ სიტუაციაში არ შეიძლება ამ გუნდის ჩამოწერა.

მეორე მეოთხედი ბატიეს ზუსტი სამქულიანით დასრულდა და სწორედ ამ ტყორცნამ დაუდო სათავე 18:5 გაქცევას. მესამე 12-წუთეულში „ოკლაჰომამ“ მხოლოდ 6 ბურთი ჩააგდო (22-დან), მისმა მეტოქემ - 10 (18-დან). ბოლო შესვენებამდე 5 წუთითა და 19 წამით ადრე ანგარიში თანაბარი იყო - 59:59.

ნერვიულმა დაძაბულობამ პიკს სწორედ მეოთხე მეოთხედში მიაღწია და ამან მხოლოდ „ოკლაჰომას“ შეუშალა ხელი. გადამწყვეტი მომენტი გახდა კონლის გარღვევა მატჩის დასრულებამდე ორი წუთით ადრე - 90:79 „მემფისის“ სასარგებლოდ.

სტუმრებს თამაშის გადასარჩენად არც დრო ეყოთ და არც ძალა. ამიტომაც ახლა დურანტსა და კომპანიას შინ მეშვიდე მატჩში მოუწევთ „მემფისის“ წინააღმდეგობის გადალახვა, რაც იოლი არ იქნება.

**მემფისი-ოკლაჰომა 95:83**

**23:21, 21:33, 28:14, 23:15**

მ: რენდოლფი (30+13 მოხსნა+2 დაფარება), მაიო (16+4 ჩაჭრა), კონლი (11+12 პასი), ალენი (10+5 მოხსნა), არტური (8), მ. გასოლი (8+9 მოხსნა+3 დაფარება), იანგი (7), ბატიე (5+5 მოხსნა).

ო: უესტბრუკი (27+4 პასი), ჰარდენი (14+6 მოხსნა+5 პასი), დურანტი (11+7 მოხსნა), იბაკა (8+5 მოხსნა), პერკინსი (6+7 მოხსნა+2 დაფარება), კოლისონი (6), მეინორი (6), სეფოლოშა (4), მოჰამედი (1).

**სერია: 3-3**


ზაკ რენდოლფი

# შაკი ზაფხულში დაგვემშვიდობება

## დოკ რივერსი ლიგის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწვრთნელი გახდა

„ბოსტონ სელტიქსში“ საკალათბურთო ოპერაციების პრეზიდენტი **დენი ეინჯი** დარწმუნებულია, რომ NBA-ის ოთხგზის ჩემპიონი, ლეგენდარული ცენტრი **შაკილ ო'ნილი** ამ ზაფხულს ოფიციალურად გამოაცხადებს კარიერის დასრულების შესახებ.

*„ვფიქრობ, ეს ძალიან მალე მოხდება. ამჟამად საჭირო არ არის ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღება, მაგრამ თითქმის დარწმუნებული ვარ იმაში, რომ შაკი დაასრულებს კარიერას“*, - ამბობს ეინჯი ESPN-თვის მიცემულ კომენტარში.

ამ ვარაუდის გაზიარება სავსებით შესაძლებელია იმის გათვალისწინებით, რომ პირველი თებერვლის შემდეგ ო'ნილს მხოლოდ სამ მატჩში აქვს მონაწილეობა მიღებული, რისი მიზეზიც აქილევსის მყესის ტრავმა გახლავთ.

■ ■ ■

პრობლემები აქვს შაკის მოგვარეს, ასევე „ბოსტონის“ ცენტრ **ჯერმეინ ო'ნილს**. თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში მას მაჯის ტრავმა აწუხებდა, რომელიც რეგულარული ჩემპიონატის წინ მიიღო. ჯერმეინმა დაზიანება ბოლომდე ვერ მოირჩინა და ახლა ოპერაციას დათანხმდა.

*„ჯერმეინმა სრულფასოვანი სეზონი ვერ ჩაატარა. მარჯვენა ხელი მუდმივად აწუხებდა და ამან გავლენა იქონია მის სათამაშო ფორმაზე. მართალია, მოტეხილობა თავიდან აიცილა, მაგრამ ოპერაცია მაინც აუცილებელია“*, - განაცხადა დენი ეინჯმა.

„სელტიქსის“ კიდევ ერთ მოთამაშეს **რაჟონ რონდოს** გაუმართლა - იდაყვის ტრავმა იმდენად სერიოზული არ აღმოჩნდა, რომ მცველს ოპერაციისთვის მიემართა.

■ ■ ■

სანამ ბოსტონელი კალათბურთელები ტრავმებს იმკურნალებენ, კლუბის ხელმძღვანელობამ მწვრთნელის საკითხი დადებითად მოაგვარა. „მაიამისთან“ წაგებული სერიის შემდეგ „კელტების“ დამრიგებელმა **დოკ რივერსმა** გუნდში დარჩენის სურვილი გამოთქვა და კლუბის ბოსებმა მაშინვე შემხვედრი ნაბიჯი გადადგეს.

მხარეებმა უკვე გააფორმეს ხუთწლიანი კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც რივერსი ჯამში 35 მილიონ დოლარს მიიღებს. ამ ხელშეკრულების მიხედვით დოკი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწვრთნელი გახდება. აქამდე, NBA-ში ყველაზე მაღალი ხელფასები „სან ანტონიოსა“ და „ნიუ იორკის“ დამრიგებლებს - **გრეგ პოპოვიჩსა** და **მაიკ დ'ანტონის** ჰქონდათ. მათი წლიური ჯამაგირი დაახლოებით 6 მილიონი დოლარი გახლავთ.


შაკი აღარ ითამაშებს

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## უცხოური სპორტი

● ჰოკეი



ნორჩი უეინ გრეტცკი

# 35 წლის წინ

 წელს 35 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც მსოფლიოს ჩემპიონატზე სტუმრობა დაიწყეს NHL-ის მოთამაშეებმა.

1976 - ჰოკეის ეროვნული ლიგის მოთამაშეებს გზა პლანეტის პირველობაზე აშშ-ის ნაკრებმა გაუხსნა. ამ გუნდის რიგებში „მინესოტა ნორდ სტარზის“ სამი მოთამაშე ირიცხებოდა და კიდევ ოთხი - WHA-ის კლუბ „მინესოტა ფაიტინგ სენტსისგან“. პირველად ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, იანკები ბოლო ადგილს გასცდნენ და მეოთხე პოზიციაზეც კი აღმოჩდნენ.

1977 - კანადა რვაწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა მსოფლიოს ჩემპიონატზე და თან NHL-ის 19 მოთამაშე იახლა, მათ შორის ლეგენდარული ძმები **ესპოზიტოები**. მაგრამ ეს საპრიზო სამეულში შესასვლელადაც არ აღმოჩნდა საკმარისი. პირველი ოკეანისგაღმელი გამოჩნდა ფინეთში - მცველი **რაუტაკალიო** WHA-ის კლუბიდან.

1978 - პირველად NHL-დან დახმარებას მიმართა შვედეთის ნაკრებმა და მაშინვე მეოთხე ადგილამდე ჩამოქვეითდა. კანადელთა მთავარი ვარსკვლავი, ფორვარდი **მარსელ დიონი** NHL-ის პირველი მოთამაშე იყო, ვინც თავის ამპლუაში მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე გახდა.

1982 - პლეი ოფიდან „ედმონტონის“ სენსაციურად გავარდნის შემდეგ კანადელებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე დიადი **უეინ გრეტცკი** წაიყვანეს. NHL-ის საუკეთესო ბომბარდირმა აქაც გაიბრწყინა - 14 ქულა დააგროვა, მათ შორის ხუთი ქულა შვედეთთან მესამე ადგილისთვის მატჩში.

1983 - ჩეხოსლოვაკიის რიგებში ითამაშა NHL-ის პირველმა ლეგიონერმა - მცველმა **დვორჟაკმა**.

1985 - ახალგაზრდა კანადელის - **მარიო ლემიეს** ორმა გოლმა ოქროს მედლის შანსი მოუსპო სსრკ-ის ნაკრებს. მცველი **ჰიმერი** გახდა გფრ-ის ნაკრების პირველი მოთამაშე ოკეანის გაღმიდან.

1987 - პირველად NHL-ის მოთამაშეები მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ: შვედებმა - **სანდსტრიომმა, გუსტაფსონმა** და **ლოოზმა** შემტევი ტრიო შეადგინეს და „ტრე კრუნური“ ოქროს მედლებამდე მიიყვანეს.

1990 - NHL-ის პირველი მოთამაშეები გამოჩდნენ სსრკ-ის შემადგენლობაში. ესენი იყვნენ ლეგენდარული ხუთეულის წევრები - **ვიაჩესლავ ფეტისოვი** და **სერგეი მაკაროვი**.

1995 - ლოკაუტის გამო მსოფლიოს ჩემპიონატზე NHL-დან მხოლოდ 10 მოთამაშე ვიხილეთ. 1994 წელს მათი რიცხვი 67-ს შეადგენდა, 1996 წელს - 68-ს. ფინელებმა „ლეგიონერების“ გარეშე მოიპოვეს პირველი გამარჯვება მსოფლიოს ჩემპიონატზე.

2000 - NHL-ის 14-მა მოთამაშემ რუსეთის ნაკრებს მე-11 ადგილი მოუტანა, რაც ამ გუნდის ანტირეკორდი გახლავთ.

2005 - ისევე როგორც ათი წლის წინ, მსოფლიოს ჩემპიონატზე NHL-ის მოთამაშეების „შემოსევას“ (2004 წელს 106 ჰოკეისტი) ლოკაუტი მოჰყვა.

2008 - ცამეტმა ნაკრებმა შეიყვანა განაცხადში NHL-ის ლეგიონერი, მათ შორის სლოვენიამ და საფრანგეთმა. სულ მათი რიცხვი 115-ს შეადგენდა.



ნიკლას ლიდსტრიომი

# რას იზამს ლეგენდა?

„დეტროიტ რედ უინგზი“ მეოთხედფინალიდან გამოეთიშა პლეი ოფს და ახლა თავისი კაპიტნის გადაწყვეტილებას ელოდება. **ნიკლას ლიდსტრიომი** 41 წლისაა, თუმცა ასაკი ჯერჯერობით გავლენას ვერ ახდენს მის თამაშზე - ლეგენდარული შვედი კვლავინდებურად საიმედოა თავისი კარის სიახლოვეს და შედეგიანი შეტევების დროს. ამიტომაც არსებობს იმის საფუძველი, რომ ლიდსტრიომი კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივებს კარიერას.

*„გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია. კიდევ გარკვეული დრო დამჭირდება ამისთვის. ჯერ გუნდთან ერთად შევაჯამებთ განვლილ სეზონს და შემდეგ გამოვაცხადებ საბოლოო გადაწყვეტილებას“*, - ამბობს ლიდსტრიომი.

*„იმედი გვაქვს, რომ ის ჩვენთან ახალ კონტრაქტს ხელს მოაწერს. უახლოეს ორი-სამი კვირის განმავლობაში ვერაფერს შევიტყობთ, თუმცა ჩვენ პირველ ივლისამდე გვჭირდება საბოლოო პასუხი“*, - აღნიშნა „რედ უინგზის“ გენერალურმა მენეჯერმა **კენ ჰოლანდმა**.

გულშემატკივრებისთვის სამწუხაროდ, ეს სეზონი, შესაძლოა, ბოლო აღმოჩნდეს სუპერვეტერანებისთვის - ნიკლას ლიდსტრიომისთვის, **ტეემუ სელიანესა** და **მარკ რეკისთვის**.

● ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# შედევრი გრანლუნდისგან

სლოვაკეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე სკანდინავიური ფინალი უზრუნველყვეს ფინეთისა და შვედეთის ნაკრებებმა, რომლებმაც ნახევარფინალში მოუგეს ფავორიტებს - რუსეთსა და ჩეხეთს. ფინალი გუშინ გვიან დასრულდა და მასზე ხვალინდელ ნომერში მოგიყვებით, მანამდე კი ნახევარფინალურ მატჩებზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას.

**1/2 ფინალი**

**ჩეხეთი-შვედეთი 2:5**

**0:0, 1:2, 1:3**

**გოლები:** 1:0 ელიაში-3 (მ. მიხალეკი-2, ჟიდლიცკი-4), 1:1 ბერგლუნდი-7 (ეკმან ლარსონი-3), 1:2 ბეკლუნდი-3 (სიოგრენი-3), 1:3 ჯ. ერიქსონი-2 (ბეკლუნდი-2), 1:4 კრიუგერი-2 (ტედენბი-2), 2:4 ელიაში-4 (ვორაჩეკი-2), 2:5 ბერგლუნდი-8 (პეტრაშეკი-4).

ჩეხეთი ერთადერთი გუნდი იყო, რომელმაც ნახევარფინალამდე ყველა მატჩი ძირითად დროში მოიგო. სწორედ მოქმედმა ჩემპიონმა განვლო მთელი ეს დისტანცია სტაბილურად და ამიტომაც შვედეთთან ნახევარფინალში ფავორიტად მიიჩნეოდა. თანაც კარგ ფორმაში შევიდა ჩეხების 39 წლის ლიდერი **იარომირ იაგრი**, რომელმაც მეოთხედფინალში გერმანიასთან ჰეთ-თრიკის შესრულება შეძლო.

სწორედ ლეგენდარული ფორვარდის შეჩერება უნდა ყოფილიყო ნახევარფინალში „ტრე კრუნურის“ მთავარი საზრუნავი. სამი კვირის წინ, ევროტურის ეტაპზე („ჩეხეთის თამაშები“) სკანდინავებმა ეს ამოცანა „დალასის“ მცველ **ნიკლას გროსმანის** დახმარებით გადაჭრეს, მაგრამ ამ ჰოკეისტმა მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ტრავმა მიიღო და სლოვაკეთში ჩასვლა ვერ მოახერხა.

თუმცა გროსმანის გარეშეც შვედებმა კარგად გაართვეს თავი იაგრის ნეიტრალიზაციას - როგორც კი ვეტერანი მეტოქის ზონაში შედიოდა, მას მაშინვე ორი ჰოკეისტი იჭერდა. ამის გამო შეტევით ტრიოში იაგრის პარტნიორებს - **ჩერვენკასა** და **პლეკანეცს** მეტი თავისუფლება მიეცათ, თუმცა მათ რამდენიმე დარტყმას მეკარე **ფასტი** გადაელობა. სამაგიეროდ, გაიტანა **პატრიკ ელიაშმა** და ჩეხეთი მეორე პერიოდში დაწინაურდა.

მაგრამ როგორც კი ჩემპიონებმა ანგარიში გახსნეს, შვედეთმა დაივიწყა იაგრზე მეურვეობა, შეტევაში წავიდა და ეს საქმე თავდაცვაზე კარგად გამოუვიდა. **ბერგლუნდის, ბეკლუნდისა** და **ერიქსონის** ზედიზედ სამ გოლს ჩეხეთმა მხოლოდ იმავე ელიაშის შაიბით უპასუხა. სხვათა შორის, ამ უკანასკნელმა ერთგვარი ჰეთ-თრიკი შეასრულა - ფასტის კარში ორ გოლს ერთი ავტოგოლი დაუმატა, რომელმაც დაასრულა ამ ჩემპიონატზე ჩეხური ზღაპარი.

**ფინეთი-რუსეთი 3:0**

**0:0, 1:0, 2:0**

**გოლები:** 1:0 გრანლუნდი-2 (იმონენი-3), 2:0 ლაიუნენი-2, 3:0 იმონენი-8 (გრანლუნდი-6).

როგორც ჩანს, რუსეთის ნაკრებისთვის ერთადერთი გამაღიზიანებელი კანადის ნაკრებია. მეოთხედფინალში ოკეანისგაღმელთა გმირული დამარცხების შემდეგ ბევრს ეგონა, რომ რუსები საბოლოოდ შევიდნენ ფორმაში და მინიმუმ ფინალში თამაშის უფლებას მოიპოვებდნენ, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, რუსეთი ამ ჩემპიონატზე ერთი მატჩის გუნდი ყოფილა. **ვიაჩესლავ ბიკოვის** ნაკრებისთვის ეს იყო მეოთხე მარცხი ამ ტურნირზე, რაც კარგად მეტყველებს ფავორიტის (ფურცელზე) ამჟამინდელ კლასზე.

რაც შეეხება ფინეთს, მას მოტივაციის მხრივ პრობლემა არ ჰქონია. აქამდე „სუომის“ ერთადერთი წაგება ჰქონდა ჩეხეთთან, რუსეთს კი მეორე ჯგუფურ ეტაპზეც შეხვდა და იქ ბულიტების სერიაში იმარჯვა. გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ **იუკი იალონენის** შეგირდებს დიდი ხანი ჩემპიონატის ნახევარფინალური ეტაპი არ გაუვლით. სამი წლის წინ, კვებეკში მათ ეს შანსი სწორედ რუსეთმა მოუსპო, ასე რომ, ფინელებს რევანშზეც უნდა ეზრუნათ.

უგოლო პირველი პერიოდის შემდეგ ფინეთმა თამაშს მოუმატა და 26-ე წუთზე ანგარიში გახსნა. ნამდვილი შედევრი შემოგვთავაზა 19 წლის ვუნდერკინდმა, მსოფლიო ჰოკეის ამომავალმა ვარსკვლავმა **მიკაელ გრანლუნდმა** - მან უკნიდან შემოუარა **ბარულინის** კარს, შაიბა ყვანჯზე მოათავსა და ახლო კუთხის ცხრიანში შეიტანა კარში. რუსების გოლკიპერი და მცველები იუნიორისგან ასეთ „თავხედობას“ არ ელოდნენ და რეაგირების გარეშე დატოვეს ეს ტრიუკი.

მესამე პერიოდი რუსებისთვის ნამდვილ კოშმარად იქცა. ამ გუნდის ვარსკვლავების - **ოვეჩკინისა** და **კოვალჩუკის** გაძევებებმა ბარულინის კარში კიდევ ორი გოლი მოიტანა. ცხადი იყო, რომ ასეთი ინერტული თამაშით რუსები შეხვედრას ვერ გადაარჩენდნენ. ფინეთმა არ გაიმეორა კანადელთა შეცდომები და ფინალური ნაწილი მაქსიმალურად ფრთხილად ჩაატარა.



გრანლუნდი შედევრს ზეიმობს

● კალათბურთი

# ლიტველთა მესამე დანაკლისი

ევროპის მოახლოებული ჩემპიონატის წინ კიდევ ერთი სერიოზული დანაკლისი განიცადა მასპინძელმა - ლიტვის ნაკრებმა. იტალიის „მილანის“ მძიმე ფორვარდმა **იონას მაჩიულისმა** მძიმე ტრავმა მიიღო და ნახევარი წლით გამოეთიშა აქტიურ სპორტს.

უსიამოვნო ეპიზოდი იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში მოხდა, რომელშიც „მილანი“ „კრემონას“ ხვდებოდა. ლიტველმა ერთ-ერთ მეტოქესთან შეჯახებისას დაიზიანა მუხლი.

ექიმებმა დაადასტურეს სავალალო დიაგნოზი: მუხლის ჯვარედინი მყესების განწყვეტა, ოპერაცია და ნახევარწლიანი აღდგენითი კურსი.

ლიტვა ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას 18 ივლისს დაიწყებს, თუმცა უკვე დაკარგული ჰყავს წინა ხაზის ორი წამყვანი მოთამაშე: **ლინას კლეიზა** და **იონას მაჩიულისი**. გარდა ამისა, კითხვის ნიშნის ქვეშ არის „ვალგირისის“ მცველის **მარტინას პოჩიუსის** ევრობასკეტზე თამაში.

ამ სეზონში მაჩიულისი საშუალოდ 9.4 ქულასა და 4.4 მოხსნას აგროვებდა.

■ ■ ■

საფრანგეთის ნაკრების კიდევ ერთმა პოტენციურმა ლიდერმა, „პორტლენდის“ ფორვარდმა **ნიკოლა ბატუმმა** გამოთქვა ევროპის ჩემპიონატზე თამაშის სურვილი. ბატუმის თქმით, ის აუცილებლად შეუერთდება **ვენსან კოლეს** გუნდს და დაიწყებს მზადებას ევრობასკეტისთვის: *„დღეს ერთადერთი საკითხი, რაზეც სერიოზულად ვფიქრობ - ნაკრებში თამაშია, - განაცხადა ბატუმმა. - მინდა დავივიწყო თურქეთში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატი და ის წარუმატებელი თამაში, რომელიც იქ ვაჩვენეთ“*. პლანეტის პირველობაზე ფრანგები მე-13 ადგილზე გავიდნენ.

შეგახსენებთ, რომ ადრე ევრობასკეტზე დაადასტურეს გამოსვლა **ბორის დიაომ** და **რონი ტურიაფმა**. თითქმის გადაწყვეტილია ლიტვაში **ტონი პარკერის** თამაში. გარდა ამისა, მწვრთნელები **ჟოაკიმ ნოას** საბოლოო პასუხს ელოდებიან.



ნიკოლა ბატუმი

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## კრივი

# უორდი დაუმარცხებელია


ანდრე უორდი

გასულ უქმეებზე პროფესიული კრივის სამყაროში ერთი გამორჩეული ბრძოლა გაიმართა. ამერიკელმა **ანდრე უორდმა** კალიფორნიაში უმასპინძლა სომხური წარმოშობის გერმანელ **არტურ აბრაჰამს.** აქ სასწორზე იდო მეორე საშუალო წონაში WBA-ის ტიტული, რომლის მფლობელი უორდი იყო. გარდა ამისა, ეს გახლდათ საშუალოწონოსანთა ტურნირის - Super Six-ის ნახევარფინალი.

ბრძოლა სანახაობრივი თვალსაზრისით საინტერესო არ გამოვიდა. რინგზე უორდის საგრძნობი უპირატესობა შეიმჩნეოდა და მისი ქულებით გამარჯვებით დასრულდა. ეს იყო ამერიკელის 24-ე მოგება პროფესიულ რინგზე. ამასთან, პეკინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს კარიერაში ერთი წაგებაც არ აქვს.

შეხვედრის წინ მეტოქეებმა რეპლიკები გაცვალეს. უორდმა განაცხადა, რომ აბრაჰამი სულაც არ ფლობს მომაკვდინებელ დარტყმას - *„უფრო მეტიც, მე უფრო ძლიერად ვურტყამ. დიახ, ჩემი მეტოქე ამტანია, კარგად არის მომზადებული ფიზიკურად, მაგრამ მე მის სისწრაფეში დაჯაბნას ვაპირებ“.*

თავის მხრივ, სომეხმა გერმანელმა აღნიშნა, რომ არათუ გაიმარჯვებს, არამედ „გაანადგურებს“ უორდს. აბრაჰამმა კრივის ისტორიის კარგი ცოდნა გამოამჟღავნა. მან აღნიშნა, რომ 1936 წლის შემდეგ პირველი გერმანელი გახდება, ვინც ამერიკაში ტიტულს მოიპოვებს. ბოლოს ეს **მაქს შმელინგმა** გააკეთა, როცა ნოკაუტში გაუშვა ლეგენდარული **ჯო ლუისი**. *„მაგრამ მე პატივს ვცემ უორდს და ვფიქრობ, ჩვენი ბრძოლა რთული და აგრესიული გამოვა“*, - თქვა არტურმა.

პირველი სამი რაუნდი ინიციატივას აბრაჰამი ფლობდა, რომელიც მეტოქეზე აგრესიულად მოქმედებდა, ამერიკელი კი ოდნავ შებოჭილი ჩანდა. მაგრამ მასპინძელი დროულად მოეგო გონს და გერმანელს თავდაცვაზე გადასვლამ მოუწია, თანაც ბრძოლის დასაწყისში ბევრი ენერგია დახარჯა და მეხუთე-მეექვსე რაუნდი ფიზიკურად დათმო.

აბრაჰამი კარგად აცნობიერებდა, რომ მსაჯები ქულებით გამარჯვებას უორდს მისცემდნენ, ამიტომაც მერვე რაუნდში შეუტია, თუმცა მოძრაობასა და დარტყმებში სიმსუბუქე აკლდა. ამ ყველაფერს უორდი თავის სასარგებლოდ იყენებდა. შესაბამისად, ბრძოლის შედეგი ლოგიკური აღმოჩნდა - 120:108, 118:110, 118:111. უორდი კვლავაც დაუმარცხებელია პროფესიულ რინგზე.

Super Six-ის ფინალში ამერიკელის მეტოქე **კარლ ფროჩისა** და **გლენ ჯონსონის** შეხვედრაში გაირკვევა.

## ცხელი ხაზი

| კალათბურთი | |
|---|---|
| **NBA** | |
| ოკლაჰომა-მემფისი | 105:90 |
| **ესპანეთი** | |
| მენორკა-რეალი | 76:91 |
| ბარსელონა-უნიკახა | 79:84 |
| კახა ლაბორალი-ხირონა | 79:70 |
| ვალენსია-მანრესა | 81:68 |
| გრანადა-გრან კანარია | 69:93 |
| სარაგოსა-ალიკანტე | 90:86 |
| კახასოლი-ვალიადოლიდი | 98:75 |
| ფუენლაბრადა-ხუვენტუდი | 108:81 |
| ესტუდიანტესი-ბილბაო | 68:78 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| **ფინალი** | |
| პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი | 68:74 |
| **საფრანგეთის თასი** | |
| **ფინალი** | |
| ლიმოჟი-შალონი | 71:79 |
| **გერმანია** | |
| ალბა-ოლდენბურგი | 99:68 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (რ)-ბნეი ჰაშარონი | 105:95 (ო) |
| ჰაპოელი (ჰ)-ჰალილი | 65:72 |
| **იტალია** | |
| ბრინდიზი-აველინო | 68:112 |
| ვანოლი-სასარი | 82:88 |
| ბოლონია-ტერამო | 96:94 |
| კაზერტა-ბენეტონი | 76:88 |
| კანტუ-ვარეზე | 75:66 |
| მონტეგრანარო-ჯიელა | 79:82 |
| მონტეპასკი-რომი | 83:73 |
| სკავოლინი-მილანი | 82:71 |
| **რუსეთი** | |
| ნ. ნოვგოროდი-სპარტაკი | 84:73 |
| ენისეი-უნიქსი | 86:89 |
| კრ. კრილია-ტრიუმფი | 94:87 |
| **თურქეთი** | |
| ბეშიქთაში-გალათასარაი | 70:80 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **მე-3 ადგილისთვის** | |
| ჩეხეთი-რუსეთი | 7:4 |
| **ფინალი** | |
| შვედეთი-ფინეთი | 1:6 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. რომი** | |
| ნადალი-ჯოკოვიჩი | 4:6, 4:6 |
| **ATP. ნიცა** | |
| დევარმანი-მანარინო | 3:6, 6:7 |
| ვოლანდრი-დოლგოპოლოვი | 5:7, 3:6 |
| **WTA. რომი** | |
| შარაპოვა-სტოსური | 6:2, 6:4 |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| მონაკო-გოლუბევი | 6:4, 6:0 |
| ტიპსარევიჩი-კოლშრაიბერი | 4:6, 6:7 |
| ჩელა-კუკუშკინი | 6:1, 6:2 |
| გრანოლერსი-იუჟნი | 3:6, 4:6 |
| ხ. ტრავერო-ანდრეევი | 5:7, 6:4, 6:7 |

## ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია

# კონტადორმა ბრჭყალები გამოაჩინა


გატოს ფინიში

ჯირო დ'იტალია მთებს მიუახლოვდა და მალე დაიწყება იტალიური სუპერმარათონის მთავარი ფავორიტების ნამდვილი ბრძოლა. ამ მხრივ ერთგვარი რეპეტიცია იყო მერვე ეტაპი, რომელშიც თავისი ამბიციები გამოავლინა ესპანელმა სუპერვარსკვლავმა **ალბერტო კონტადორმა.**

წესით, ამ ეტაპზე სპრინტერების ბრძოლა უნდა გვეხილა - **ალესანდრო პეტაკისა** და **მარკ კევენდიშს** უნდა გაერკვიათ ჯიროზე საუკეთესო სპრინტერის ვინაობა, მაგრამ საქმეში ჩაერია ბოლო მთა, რომელზეც ფინიში იყო დაგეგმილი.

მთის სპეციალისტებისგან იქ შეტევას არ ელოდნენ, მაგრამ მოულოდნელად წინ გაიჭრა „ფარნეზეს“ 26 წლის ველომრბოლი **ოსკარ გატო**, რომელსაც მხოლოდ ალბერტო კონტადორი გამოედევნა. როგორც წესი, ესპანელი ასეთ მთებში არ უტევს და ჩრდილში ყოფნას ამჯობინებს, მაგრამ ამჯერად მომავალი ეტაპების წინ მეტოქეებზე ფსიქოლოგიური შეტევის მიტანა გადაწყვიტა და გამოუვიდა კიდეც. მართალია, ეტაპის მოგება ვერ შეძლო, მაგრამ ესპანელმა დაამტკიცა, რომ კვლავაც კარგ ფორმაშია და ჯიროს მთავარ ფავორიტად რჩება.

**VIII ეტაპი**

1. **ოსკარ გატო** (იტა, „ფარნეზე“) - 4:59.45; 2. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, „საქსობანკი“) - იგივე დრო; 3. **ალესანდრო პეტაკი** (იტა, „ლამპრე“) - +0.05; 4. **ალექსანდრ კრისტოფი** (ნორ, „ბიემსი“) - იგივე დრო; 5. **რობერტო ფერარი** (იტა, „ანდრონი ჯოკატოლი“); 6. დავიდე პოლონიო (იტა, „სკაი“) - იგივე დრო...

**საერთო ჩათვლა**

1. **პიტერ ვენინგი** (ჰოლ, „რაბობანკი“) - 28:09.49; 2. **კონსტანტინ სივცოვი** (ბლრ, „ჰაიროუდი“) - +0.02; 3. **მარკო პინოტი** (იტა, „ჰაიროუდი“) - +0.02; 4. **კრისტოფ ლე მეველი** (საფ, „საქსობანკი“) - +0.05; 5. **ალბერტო კონტადორი** (იტა, „საქსობანკი“) - +0.13; 6. **მიკელე სკარპონი** (იტა, „ლამპრე“) - +0.14...

## TV პროგრამა

**16 მაისი. ორშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-დეპორტივო.
**12:00** არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-რივერ პლეიტი.
**14:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-რეალი.
**16:00** იტალიის ჩემპიონატი. კიევო-უდინეზე.
**18:00** გერმანიის ჩემპიონატი. ფრაიბურგი-ლევერკუზენი.
**20:00** იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**21:00** არგენტინის ჩემპიონატი. ლანუსი-ველეს სარსფილდი.
**23:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ბრესტი-ლიონი (LIVE).
**01:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი**

**10:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ოკლაჰომა-მემფისი. VII მატჩი.
**12:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ჩიკაგო-მაიამი. I მატჩი.
**14:55** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი. დიუსელდორფი. გერმანია (LIVE).
**21:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ოკლაჰომა-მემფისი. VII მატჩი.
**00:05** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ჩიკაგო-მაიამი. I მატჩი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**22:55** საფრანგეთის ჩემპიონატი. ბრესტი-ლიონი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**14:55** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. გუნდური ჩემპიონატი. დიუსელდორფი. გერმანია (LIVE).

**EUROSPORT**

**01:30** ველოსპორტი. კალიფორნიის ტური. II ეტაპი. აშშ (LIVE).

## NHL პლეი ოფი. 1/2 ფინალი


ტამპა გოლს ზეიმობს

# დათვებს მეხი დაეცათ

„ტამპა ბეიმ“ ბრწყინვალე სტილში მოგებით გახსნა აღმოსავლეთი კონფერენციის ფინალური სერია. ბოსტონში სტუმრებმა წუთისა და 25 წამის ინტერვალით სამი შაიბა გაიტანეს. ეს პირველ პერიოდში მოხდა და ამის შემდეგ მასპინძლები მიღებული შოკიდან ვერ გამოვიდნენ. ეს იყო „ლაითნინგის“ ზედიზედ მერვე მოგება პლეი ოფში.

19 წამში ორი და 85 წამში გატანილი სამი შაიბა „ტამპას“ საკლუბო რეკორდი გახლავთ. ეს ბრწყინვალე სერია **შონ ბერგენჰაიმმა** გახსნა, რომელიც ამ პლეი ოფში აღმოჩენა გახლავთ. ამ ფორვარდმა რეგულარული ჩემპიონატის 82 მატჩში მხოლოდ 14 გოლი გაიტანა, პლეი ოფში კი უკვე რვა შაიბით იწონებს თავს.

ბერგენჰაიმმა **ტიმ ტომასის** ცუდად მოგერიებულს დაამატა და ასე გახსნა ანგარიში, მეორე გოლი **კლარკის** ინდივიდუალურ ოსტატობას მოჰყვა, ხოლო მესამე შაიბის დროს „ბოსტონის“ მცველი **ტომაშ კაბერლე** შეცდა, რითაც **პურსელმა** ისარგებლა.

ერთადერთი, ვისი გამოყოფაც „ბრუინზის“ რიგებში შეიძლებოდა, პლეი ოფის დებიუტანტი, დრაფტის მეორე ნომერი **ტაილერ სეგუინი** იყო. ის ტრავმირებულ **პატრის ბერჟერონს** ცვლიდა და შეხვედრა გოლითა და საგოლე პასით დაასრულა.

პლეი ოფში ეს ამ გუნდების პირველი სერიაა. საერთოდ, „ტამპას“ უჭირს ბოსტონის არენაზე თამაში - რეგულარულის დონეზე ჩატარებულ 35 მატჩში „ლაითნინგს“ მხოლოდ 4 შეხვედრა ჰქონდა მოგებული.

„ტამპამ“ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა, რამაც მას საკუთარი მოედნის უპირატესობა მოუტანა. თუმცა, რა თქმა უნდა, „ბოსტონის“ ჩამოწერას არავინ აპირებს. ყველას ახსოვს, როგორ დაიწყო პირველი წრის სერია „მონრეალის“ წინააღმდეგ - ორი საშინაო წაგებით, მაგრამ შემდეგ „დათვებისთვის“ ყველაფერი კარგად დასრულდა.

**აღმოსავლეთი**

**ბოსტონი-ტამპა ბეი 2:5**

**1:3, 0:0, 1:2**

**გოლები:** 0:1 ბერგენჰაიმი-8 (მური-7, ჰედმანი-4), 0:2 ბ. კლარკი-1, 0:3 პურსელი-2, 1:3 სეგუინი-1 (რაიდერი-4, პევერლი-6), 1:4 მ-ა. ბერჟერონი-2 (ბ. კლარკი-1, სენტ ლუისი-8), 1:5 საიმონ განიე-3 (პურსელი-11), 2:5 ბოიჩუკი-3 (სეგუინი-1).

**სერია: 0-1**

## არასასიამოვნო ამბები

# სამი ტრაგედია

ორი დღის წინ, 34 წლის ასაკში გარდაიცვალა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყოფილი მოთამაშე **რობერტ ტეილორი**, რომელიც წელს მექსიკაში ასრულებდა აქტიურ სპორტულ კარიერას. ის შინ იმყოფებოდა და ტელეფონით მეუღლეს ელაპარაკებოდა, როცა კავშირი შეწყდა...

1998 წლის დრაფტზე ტეილორი „დალასმა“ მეექვსე ნომრად აირჩია, რის შემდეგაც ის მაშინვე „მილუოკიში“ გაცვალა **დირკ ნოვიცკისა** და **პეტ გერიტის** სანაცვლოდ. სულ NBA-ში პუერტორიკოელმა შვიდი სეზონი ჩაატარა - ორ-ორი „მილუოკისა“ და „კლივლენდში“ და სამი - „ნიუ ორლეანში“.

2005 წელს რობერტმა აორტაზე ოპერაცია გადაიტანა, რის შემდეგაც დატოვა NBA. მან იტალიისა და ესპანეთის მესამეხარისხოვან გუნდებში გააგრძელა კარიერა, ბოლოს კი პუერტო რიკოსა და მექსიკის ლიგებში გამოჩნდა.

■ ■ ■

ასევე მოქმედი ჰოკეისტი დაკარგა ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ. მინეაპოლისში, საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს „ნიუ იორკ რეინჯერსის“ 28 წლის ფორვარდი **დერეკ ბუგარდი**. სიკვდილის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.

*„დერეკი ძალიან კეთილი და მზრუნველი ადამიანი იყო,* - ამბობს „რეინჯერსის“ პრეზიდენტი და გენერალური მენეჯერი **გლენ სატერი**. - *ის დააკლდება ყველას, ვინც მას იცნობდა“.*

ამ სეზონში ბუგარდმა 22 მატჩი ჩაატარა, 2 ქულა (1+1) დააგროვა და 45 საჯარიმო წუთი გამოიმუშავა.

■ ■ ■

კოლუმბიის ქალაქ მედელინში კი სპორტული ჩინოვნიკი **სერხიო როდრიგეს ხარამილიო** საკუთარ მანქანაში ჩაცხრილეს. მასზე თავდასხმა შაბათს მოხდა. ინციდენტის შემდეგ როდრიგესი საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა ის გზაში გარდაიცვალა. პოლიცია ეჭვმიტანილებისა და მკვლელობის მოტივების ძიებაშია.

როდრიგეს ხარამილიო პეკინის ოლიმპიადაზე კოლუმბიის ოლიმპიურ კომიტეტს წარმოადგენდა. ის აგრეთვე მუშაობდა 1991 წლის პანამერიკული თამაშების ორგანიზებაზე, ხელმძღვანელობდა სქვოშის რეგიონალურ ფედერაციას....


დერეკ ბუგარდი

მსგავსი ამბები კოლუმბიისთვის იშვიათობა არ არის. სულ ცოტა ხნის წინ ასეთივე ხელწერით გამოასალმეს სიცოცხლეს „ინდეპენდიენტე მედელინის“ ფეხბურთელი **ხუან გომეს რუა**. ის თავისი ავტომობილით ქალაქ ლა-ესტრელიაში მიდიოდა, როცა მოტოციკლისტი დაეწია და ცეცხლი გაუხსნა. გომესი და მისი ძმა ადგილზევე დაიღუპნენ.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი



ჯოკოვიჩი ფინალის შემდეგ

# ფენომენური ჯოკოვიჩი

**ნოვაკ ჯოკოვიჩი** აგრძელებს ამ სეზონში ფენომენურ სვლას. სერბმა გუშინ ზედიზედ მეორე მასტერსის ფინალი მოუგო **რაფაელ ნადალს** და კიდევ უფრო მიუახლოვდა რეიტინგის პირველ საფეხურს.

სანამ ფინალზე ვილაპარაკებთ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ნახევარფინალი ჯოკოვიჩსა და **ენდი მიურეის** შორის. ბრიტანელს მეტად რომ გამართლებოდა, გუშინ ნოვაკისა და რაფას კლასიკური ფინალი არ შედგებოდა.

თავიდან ჯოკოვიჩისთვის ეს ერთი ჩვეულებრივი მატჩი იყო - ბრიტანელმა პირველ პარტიაში ყველა თავისი მოწოდება წააგო და მხოლოდ ერთი პრესტიჟის ბრეიკი გააკეთა. მეორე სეტში სერბმა ძალების დაზოგვა დაიწყო და ამან შოტლანდიელს ინიციატივის ხელში ჩაგდების საშუალება მისცა. პარტიის შუაში მან ბრეიკი შეასრულა და ის გადამწყვეტი აღმოჩნდა.

მესამე სეტში ნამდვილი ბრძოლა გაიმართა. თავიდან წინ ჯოკოვიჩი გაიჭრა, მაგრამ სეტის ბოლოსკენ მიურეი დაწინაურდა. მან ურთულესი გეიმი აიღო და მატჩზე ჩაწოდების უფლება მოიპოვა. ნოვაკმა მეტოქეს მატჩბოლამდე მისვლის საშუალება არ მისცა, ბრეიკ-პოინტზე კი ბრიტანელმა სისუსტე გამოიჩინა და ორმაგი შეცდომა დაუშვა. ენდი ამან ძალიან გაანაწყენა, თუმცა ტაი-ბრეიკამდე მისვლა მაინც მოახერხა. მე-13 გეიმში სრულფასოვანი ბრძოლა აღარ შედგა - მიურეიმ ერთი-ორჯერ წარმატებულად გაისროლა, სხვა მხრივ კი ჯოკოვიჩი უკეთესად გამოიყურებოდა - 6:1, 3:6, 7:6(2).

ნადალმა, რომელიც კვირის დასაწყისში არც ისე დამაჯერებელ თამაშს აჩვენებდა და ტურნირიდან მოხსნასაც აპირებდა, თანდათან ფორმა აკრიფა და ფინალში დამაჯერებლად შეაბიჯა. ფედერერის მძლეველი **გასკე** მხოლოდ პირველ სეტში ეთამაშა თანაბრად მსოფლიოს პირველ ჩოგანს. ამ პარტიაში რაფას წარმატების შემდეგ ბრძოლა შეწყდა - 7:5, 6:1.

ფინალს არ ჰქონია დამაინტრიგებელი დასაწყისი. მერვე გეიმამდე ჩოგბურთელები დამაჯერებლად იგებდნენ საკუთარ მოწოდებებს, მერვეში კი ჯოკოვიჩმა პირველივე ცდაზე გამოიყენა ორმაგი ბრეიკ-პოინტი, თუმცა ნადალმა ხელები არ ჩამოუშვა და მომენტალურად უპასუხა მეტოქეს იმავეთი. ეს არ აღმოჩნდა ჯოკოვიჩისთვის ფსიქოლოგიური დარტყმა - კიდევ ერთი ბრეიკ-პოინტის გამოყენებით მან სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა - 6:4.

მეორე სეტიც პირველის მსგავსი აღმოჩნდა. მეორე გეიმი დროში გაიწელა და ნერვების თამაშში უფრო გამძლე ჯოკოვიჩი გამოდგა - მან ბრეიკი გააკეთა და ისევ ნადალმა მომდევნო გეიმშივე დაიბრუნდა დაკარგული მოწოდება. ვერც ამ წარმატებამ მოუტანა რაფაელს ფსიქოლოგიური უპირატესობა. განმეორდა პირველი სეტის ფინალი - 5:4-ზე სერბმა მორიგი ბრეიკით წერტილი დაუსვა შეხვედრას.

ჯოკოვიჩმა სეზონის სტარტიდან მოყოლებული ზედიზედ 39-ე მატჩი მოიგო (დევისის თასის შეხვედრების ჩათვლით), ის მეოთხედ შეხვდა წელს ნადალს ფინალში და მეოთხედ დაამარცხა, გარდა ამისა, ნოვაკი პირველი ჩოგბურთელი გახდა ისტორიაში, ვინც რაფაელს ერთ სეზონში ორჯერ მოუგო გრუნტზე - პირველად ეს ერთი კვირის წინ, მადრიდის მასტერსზე მოხდა.

**ATP**

**Internazionali BNL d'Italia**

რომი (იტალია). გრუნტი

**საპრიზო ფონდი:** 2 227 500 ევრო

**1/4 ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-მარინ ჩილიჩი (ხორ) 6:1, 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-რობინ სიოდერლინგი (შვედ, 5) 6:3, 6:0; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-ფლორიან მაიერი (გერ) 1:6, 6:1, 6:1; **რიშარ გასკე (საფ, 16)**-ტომაშ ბედიხი (ჩეხ, 7) 4:6, 6:2, 6:4.

**1/2 ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-რიშარ გასკე (საფ, 16) 7:5, 6:1; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-ენდი მიურეი (ბრიტ, 4) 6:1, 3:6, 7:6(2).

**1/2 ფინალი**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-რაფაელ ნადალი (ესპ, 1) 6:4, 6:4.

# მარიამაც გაიხარა

ძალიან კარგ ფორმაში ხვდება როლან გაროსს რუსი **მარია შარაპოვა**. რომში ტიტულამდე მან ურთულესი გზა გაიარა - მეოთხედფინალში მეტოქედ **ვიქტორია აზარენკა** ჰყავდა, ნახევარფინალში - მსოფლიოს პირველი ჩოგანი **კაროლინ ვოზნიაცკი** და ფინალში როლან გაროსის ფინალისტი **სამანტა სტოსური**.

ბოლოს შარაპოვა და ვოზნიაცკი ერთმანეთს ინდიან უელსის ნახევარფინალში შეხვდნენ და მაშინ დანიელმა 6:1, 6:2 გაანადგურა რუსი. ამიტომაც რომის ნახევარფინალში ფავორიტად კაროლინი მიიჩნეოდა, მიუხედავად იმისა, რომ გრუნტი სკანდინაველის სტიქია არ არის.

პირველ პარტიაში აქტიურმა დასაწყისმა მარიას პირველი ბრეიკი მოუტანა, რომელიც დანიელმა სეტის შუაში დაიბრუნა. თუმცა იმ მომენტში შარაპოვასაც კარგად გამოსდიოდა მიღებაზე თამაში და მან ვოზნიაცკის ორი გეიმი აიღო. სეტზე ჩაწოდება რუსმა მხოლოდ მეორე ცდიდან მოახერხა - 7:5. პირველ სეტში შეცდომების თანაბარი რაოდენობის ფონზე მარიას ცხრა „ვინერსით" მეტი ჰქონდა.

მეორე სეტის დასაწყისი შარაპოვას ჩავარდნით დაიწყო - კაროლინი 3:1 დაწინაურდა. მარიამ თამაში მას შემდეგ დაალაგა, რაც კორტზე მწვრთნელს უხმო და მისგან საჭირო რჩევები მიიღო. დახმარება დროული აღმოჩნდა - შარაპოვამ ბრწყინვალედ ითამაშა გადამწყვეტ მომენტებში, თითქმის ასი პროცენტით გამოიყენა გეიმბოლები და ბრეიკ-პოინტები. ამან მას ზედიზედ ხუთი გეიმის აღების საშუალება მისცა - 7:5, 6:3. აღსანიშნავია, რომ მარიამ ბოლოს მსოფლიოს პირველი ჩოგანი 2006 წლის სექტემბერში დაამარცხა - მაშინ მან ამერიკის ღიას ფინალში **ამელი მორესმოს** სძლია.

ფინალში შარაპოვას მეტოქე გახდა **სამანტა სტოსური**. ავსტრალიელმაც ორ სეტში მოიგო ნახევარფინალი, თუმცა პირველ პარტიაში მის მეტოქეს, ჩინელ **ნა ლის** სეტბოლი ჰქონდა. სამანტამ სეტი გადაარჩინა და ტაი-ბრეიკი მოიგო, მეორეში კი გეიმი არ დაუთმო მეტოქეს - 7:6(6), 6:0.



შარაპოვას პირველი პრიზი სეზონში

გადამწყვეტ მატჩში აშკარა ფავორიტი შარაპოვა იყო. აქამდე ის ექვსჯერ დაუპირისპირდა სტოსურს და ექვსჯერ მოუგო. ტრადიცია არც ამჯერად დაირღვა.

სასტარტო სეტმა მაყურებელს სანახაობრივი თამაში აჩუქა. რუსმა ზედიზედ ოთხი გეიმის მოგებით დაიწყო, რასაც სტოსურმა მხოლოდ ერთი ბრეიკითა და ერთი საკუთარი გეიმის აღებით უპასუხა. თავის მხრივ, რუსმა მესამე ბრეიკი გააკეთა სეტში და გაანადგურა ავსტრალიელი.

შარაპოვამ მეორე სეტიც ბრეიკით გახსნა, თუმცა სტოსურმა საპასუხო ბრეიკით გაათანაბრა ანგარიში. ამ პარტიაში გადამწყვეტი მომენტი იყო მეხუთე გეიმი, როცა შარაპოვამ ბრეიკ-პოინტი გამოიყენა. ავსტრალიელმა სცადა მატჩისთვის ინტრიგის შენარჩუნება, რამდენიმე ბრეიკ-პოინტიც მიიღო, მაგრამ მათი გამოყენება ვერ მოახერხა.

მარიასთვის ეს იყო კარიერაში 23-ე ტიტული და პირველი მიმდინარე სეზონში.

**WTA**

**Internazionali BNL d'Italia**

რომი (იტალია). გრუნტი

**საპრიზო ფონდი:** 2 050 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 5) 6:3, 1:6, 6:3; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 6)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 2) 6:2, 6:4; **მარია შარაპოვა (რუს, 7)**-ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 3) 4:6, 3:0 უარი; **ნა ლი (ჩინ, 4)**-გრეტა არნი (უნგ) 6:3, 6:1.

**1/2 ფინალი**

**მარია შარაპოვა (რუს, 7)**-კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1) 7:5, 6:3; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 6)**-ნა ლი (ჩინ, 4) 7:6(6), 6:0.

**ფინალი**

**მარია შარაპოვა (რუს, 7)**-სამანტა სტოსური (ავსტრა, 6) 6:2, 6:4.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ტურნირები

# კლაისტერსის კი, უილიამსების არა

სასიამოვნო ამბავი შეიტყვეს **კიმ კლაისტერსის** გულშემატკივრებმა. დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ ბელგიელი ჩოგბურთელი საფრანგეთის ღია პირველობაზე ითამაშებს, რომელიც 22 მაისს როლან გაროსის კორტებზე დაიწყება. კიმის გამოჯანმრთელების პროცესი ძალიან სწრაფ ტემპში მიმდინარეობს და ასეთი თამამი პროგნოზიც სწორედ აქედან მომდინარეობს.

*„ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის. უახლოესი უქმეების შემდეგ კლაისტერსი საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს - ითამაშებს პარიზში ან შინ დარჩენასა და უიმბლდონისთვის სერიოზულ მზადებას მიანიჭებს უპირატესობას"*, - განაცხადა ბელგიელის წარმომადგენელმა **გერტ ვან გულენმა**.

შეგახსენებთ, რომ კლაისტერსს ბოლო პერიოდში ერთდროულად აწუხებდა მაჯის, მხრისა და ფეხის ტრავმა. „დიდი სლემის" ტურნირების ოთხგზის გამარჯვებულს როლან გაროსი არასოდეს მოუგია - მას იქ ორი ფინალი აქვს წაგებული.

■ ■ ■

თუ კიმის ამბავი ჯერ კიდევ გასარკვევია, უკვე ოფიციალურად გახდა ცნობილი, რომ როლან გაროსზე გამოსვლას არ აპირებენ დები **უილიამსები**. **სერენამ** და **ვენუსმა** ორი დღის ინტერვალით განაცხადეს უარი პარიზში ჩასვლაზე. ასე რომ, 2003 წლიდან მოყოლებული პირველად ვერ ვიხილავთ საფრანგეთის ღია პირველობაზე ვერც ერთ დას.

შეგახსენებთ, რომ ვენუს უილიამსი ამ წლის ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ არ გასულა კორტზე, სერენას კი უიმბლდონზე შარშანდელი ტრიუმფის შემდეგ არ ჩაუტარებია ოფიციალური მატჩი.

# ბოდიში გინებისთვის

ბელარუსმა ჩოგბურთელმა **ვიქტორია აზარენკამ** სოციალური ქსელის - Twitter-ის მეშვეობით მოიხადა ბოდიში იმ არანორმატიული ლექსიკის გამო, რომელსაც რომის სუპერტურნირის მეოთხედფინალის დროს ჰქონდა ადგილი. აზარენკამ იმ მატჩში პირველი სეტი მოუგო **მარია შარაპოვას**, მაგრამ მეორე პარტიაში ვერ შეძლო ბრძოლის გაგრძელება. ინციდენტი კი პირველი სეტის მოგების შემდეგ მოხდა - ბელარუსმა გათამაშების დასრულების შემდეგ წამოიძახა - fucking bitch.

*„ეს ძალიან რთული და ნაღვლიანი დღე იყო, - დაწერა თავის ბლოგში ვიქტორიამ. - სამწუხაროა, როცა ასე ასრულებ მატჩსა და მთლიანად ტურნირს. იმ შეხვედრის დროს უსიამოვნო და არაკორექტული ფრაზა წამოვცდა საკუთარი თავის მიმართ, რასაც ძალიან ვნანობ, თუმცა ეს სიტყვები სამართლიანი იყო.*

*ძალიან გაბრაზებული ვიყავი საკუთარ თავზე. მსგავსი სიტყვები მეტოქის მიმართ არსად და არასდროს წამომცდენია. პროფესიულ ტურში ნებისმიერ მოწინააღმდეგეს პატივს ვცემ. მინდა ბოდიში მოვუხადო იმათ, ვინც ჩემს სიტყვებში სხვა აზრი ამოიკითხა. ეს უბრალოდ გაუგებრობაა".*



ვიქტორია აზარენკა

ხელბურთი

# ნორვეგიული ტრიუმფი

გაირკვა ქალთა შორის ევროპის საუკეთესო კლუბი. ჩემპიონთა ლიგის ფინალში ნორვეგიულმა „ლარვიკმა" ორი მატჩის ჯამში დაამარცხა ესპანური „იჩაკო".

პამპლონაში ნორვეგიელებმა მინიმალური სხვაობით წააგეს - 24:25 (არადა, 49-ე წუთისთვის ოთხი ბურთით იყვნენ წინ - 20:16), მაგრამ შინ მოპოვებული ორბურთიანი უპირატესობის (23:21) წყალობით „ლარვიკმა" ჩემპიონთა ლიგა დაიპყრო.

სულ წლევანდელ გათამაშებაში ნორვეგიულმა კლუბმა 15 მატჩი ჩაატარა, 13 მოიგო და მხოლოდ ორში დამარცხდა.

გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა ნორვეგიის ნაკრების ხაზის მოთამაშე **ჰაიდი ლიოკე**. 28 წლის ხელბურთელის ანგარიშზე 369 გოლი მოდის. ლიოკე ახალ სეზონს უნგრეთის „დიორში" (ამ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისტი) ჩაატარებს.

ქალთა ჩემპიონთა ლიგაზე ბოლო ხუთი გამარჯვებულის სია:

**2010/11 ლარვიკი (ნორვეგია)**
**2009/10 ვიბორგი (დანია)**
**2008/09 ვიბორგი (დანია)**
**2007/08 ზვეზდა (რუსეთი)**
**2006/07 სლაგელსე (დანია)**




ლარვიკი ზეიმობს